

კონსულტატი მუშაობა

უნარ-ჩვევები და სტრატეგიები

ედენება სამი წლის ნურას და სამი თვის ჯესიკას, რომელთაც თავისი წვლილი შეიტანეს ამ წიგნის მომზადებაში. ვინდლო მათ და მათმა თაობამ იცხოვრონ მშვიდობიან მსოფლიოში.

კონსულტაქტა მუშაობა

უნარ-ჩვევები და სტრატეგიები

- ◆ საიმონ ფიშერი
- ◆ დეზა იზრაჰიმ აბდი
- ◆ ჯავედ ლუდინი
- ◆ რიჩარდ სპითი
- ◆ სტივ უილიამსი
- ◆ სიუ უილიამსი



საიმონ ფიშერი, დეკა იბრაჰიმ აბდი, ჯავედ ლუდინი, რიჩარდ სმიტი, სტივ უილიამსი, სიუ უილიამსი. **კონფლიქტზე მუშაობა: უნარ-ჩვევები და სტრატეგიები**

მთარგმნელი: ასმათ ლეკიაშვილი
რედაქტორი: ზეინაბ სარაძე

ქართული თარგმანის რეცენზენტი: მარინა ელბაქიძე

© ქართული თარგმანი: შშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, 2002

წიგნი გამოიცა დიდი ბრიტანეთის საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტის ფინანსური მხარდაჭერით

ISBN 99928-37-38-1

Simon Fisher, Dekha Ibrahim Abdi, Jawed Ludin, Richard Smith, Steve Williams, Sue Williams, **WORKING WITH CONFLICT: SKILLS AND STRATEGIES FOR ACTION**

Caucasus Institute for Peace, Democracy and Development, Tbilisi, 2002

© Responding to Conflict, 2000

This book is published thanks to assistance from the UK Department for International Development

გამომცემელი – შშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი

თბილისი, მერაბ ალექსიძის 1, ტელ. 334081, ფაქსი 334163
ვებ გვერდი: <http://www.cipdd.org>

კონფლიქტი პასუხის (RTC – Responding to Conflict) შესახებ



კონფლიქტი პასუხის – საერთაშორისო არაკომერციული ორგანიზაცია – დაფუძნდა ბირმინგემში (გაერთიანებული სამეფო). ის უზრუნველყოფს კონსულტაციებს, კულტურათმორის ტრენინგებს და გრძელვადიან დახმარებას იმ პირთათვის, რომელთა საქმიანობა მიმართულია მშვიდობის, განვითარების, ადამიანის უფლებების დაცვისა და საგანგებო ღონისძიებებისადმი იმ საზოგადოებებში, სადაც არსებობს მწვავე კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის საშიშროება. RTC მუშაობს რამდენიმე ენაზე; ურთიერთობს როგორც პირველად, ისე სამთავრობო და საერთაშორისო დონეებზე. ძირითად ყურადღებას უთმობს პრაქტიკულ და პოლიტიკის შემუშავებელ ღონისძიებებს და მიზნად ისახავს მხარი დაუჭიროს კონფლიქტის ტრანსფორმაციისა და მშვიდობის დამყარების ეფექტური მექანიზმების შექმნას იმ რეგიონებში, სადაც ეს ყველაზე მეტადაა საჭირო.

RTC-ზე შემდგომი ინფორმაციის მისაღებად იხ. თავი 10.

RTC, 1046 Bristol Road, Birmingham, B29 6LJ, UK

Tel + 44 121 415 5641 Fax + 44 121 415 4119

Email: enquiries@respond.org / Website: www.respond.org.

UK registered charity No. 1015906.

ავტორთა შესახებ	xi
ლირსაცნობარნი	xiii
წინასიტყვაობა	xv

ნაწილი I: ანალიზი	1
--------------------------------	---

თავი 1 - კონფლიქტის სწავლა

კონცეფტუალური სქემა	
კონფლიქტის არსში გარკვევა	3
კონფლიქტის მართვა	5
სხვადასხვა მიდგომა: კონფლიქტის მართვა, გადაჭრა	
თუ ტრანსფორმაცია	8
თეორიები კონფლიქტის მიზეზების შესახებ	10
ძალადობა უფრო მეტია, ვიდრე ქცევა:	
იგი ასევე მოიცავს კონტექსტს და განწყობებს	11
ძალადობა და ძალის არგამოყენება როგორც არსებული	
მდგომარეობის შეცვლის გზები	13
მშვიდობა როგორც პროცესი	15
რას ნიშნავს მშვიდობის შენება?	16
როგორ ვვობს დაწყება?	18

თავი 2 - კონფლიქტის ანალიზის მეთოდები

შესავალი	21
რას ნიშნავს კონფლიქტის ანალიზი?	21
კონფლიქტური სიტუაციების ანალიზის სხვადასხვა ტექნიკა	22
კონფლიქტის სტადიები	23
დროითი წრფივი	26
კონფლიქტის კარტოგრაფია	27
სამკუთხედი ABC	31
ხახვი	33
კონფლიქტის ხე	36
ძალთა ველის ანალიზი	37
სვეტები	38
პირამიდა	40
რა საკითხები განვიხილეთ და რის განხილვას ვაპირებთ	43

თავი 3 - საკვანძო საკითხები

შესავალი	45
ძალაუფლება	46
კულტურა	51
გენდერი	59

უფლებები	63
დასკვნა	66

ნაწილი II: სტრატეგია 69

თავი 4 - კონფლიქტზე მუშაობის სტრატეგიის შემუშავება

შესავალი	71
მომავლის ხედვა: შემუშავება და გაზიარება	74
მრავალდონიანი სამკუთხედები	75
ჩარევის წერტილთა კარტოგრაფია	78
ცხაურა: იდეები კონფლიქტის მოსაგვარებლად	80
ბორბალი	84
დახმარება და კონფლიქტი	85
კონფლიქტებზე დახმარების და განვითარების პროგრამების ზემოქმედების კარტოგრაფია	88
სტრატეგიის წრე	91

თავი 5 - ზემოქმედება პოლიტიკაზე

შესავალი	97
როგორ გამოვიყენოთ ეს თავი	98
ღირებულებათა ხე: რისთვის ირჯებით?	99
სტრატეგიის ვარიანტების სპექტრი	101
კონფლიქტის რეგიონში მომუშავე NGO-ების საკონტროლო კითხვარი	102
საორგანიზაციო შესაძლებლობათა შეფასება	102
როგორ დავეხმაროთ ადამიანებს გარდაქმნაში	107

ნაწილი III: მოქმედება 111

თავი 6 - კონფლიქტში უშუალო ჩარევა

შესავალი	115
კონფლიქტში ჩარევის არაძალადობრივი გზა	116
მოსამზადებელი ნაბიჯები	117
საზოგადოების ინფორმირება და მისი მობილიზება ცვლილებების გასახორციელებლად	121
პრევენცია	125
მოვლენათა შუაგულში	129
კონფლიქტის მოსაგვარებლად გარემოს შექმნა	137

თავი 7 - კონფლიქტის შედეგებზე მუშაობა

შესავალი	153
ომისშემდგომი რეკონსტრუქცია: მატერიალური და სოციალური ასპექტების ერთობლიობა	155
ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია: წარსულის მძიმე მოვლენებთან გამკლავება	158
სოციალური რეაბილიტაცია: ურთიერთობების დამყარება	161
დასკვნა	170

თავი 8 - მუშაობა სოციალურ სტრუქტურებში

შესავალი 171
განათლება მშვიდობისა და სამართლიანობის სფეროში..... 172
გადაწყვეტილების მიღებაში ხალხის მონაწილეობის წახალისება 179
კარგი მმართველობის განვითარება 182

ნაწილი IV: სწავლა 189

თავი 9 - შეფასება

შესავალი 191
კონფლიქტზე მუშაობის შეფასება 194
შეფასების ქსელი 196
ზემოქმედების შეფასება 197
ინდიკატორები 198
შეფასებითი სამუშაოს ძირითადი ასპექტები 201

თავი 10 - მოიქიე მათი

შესავალი 205
ორგანიზაციები 205
წყაროები 211

სახელთა საძიებელი 221

საიონო ზიშარი RTC-ის (კონფლიქტზე პასუხი) დირექტორია მისი დაარსების (1991 წ.) დღიდან და ხელმძღვანელობს კონფლიქტის ტრანსფორმაციის ტრენინგისა და მხარდაჭერის პროგრამებს მსოფლიო მასშტაბით. დაიბადა 1948 წელს; პროფესიით მასწავლებელია. მუშაობდა ბევრ ქვეყანაში, მათ შორის ალჟირში, გაერთიანებულ სამეფოში, კონგოში (ზაირში), სამხრეთ აფრიკისა და სამხრეთი წყნარი ოკეანის ზოგ ქვეყანაში განათლების, განვითარების და მშვიდობის დამყარების პრობლემებზე. იგი ბევრს წერს და, სხვათა შორის, არის მასწავლებელთათვის განკუთვნილი სახელმძღვანელოს თანაავტორი. ამჟამად აქტიურად თანამშრომლობს პარტნიორებთან ბალკანეთში, ყაზახეთში, ავღანეთში, სუდანსა და დასავლეთ აფრიკაში; არის წევრი კონფლიქტის ტრანსფორმაციის სათაო კომიტეტისა, რაც წარმოადგენს პრაქტიკოს მოღვაწეთა საერთაშორისო ქსელს. ამავე დროს, როგორც მეუღლე და ოთხი შვილის მამა, ცდილობს გამონახოს დრო პირადი ცხოვრებისთვისაც.

ჯოიდ ლუდინი არის ლონდონში ბრიტანეთის ლტოლვილთა საბჭოს ავღანეთის პროექტის კოორდინატორი; იგი თანამშრომლობს ასევე ავღანეთის დახმარებისა და განვითარების ბრიტანულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან. 1994 წლიდან მუშაობს განვითარებისა და მშვიდობიანი საზოგადოების მშენებლობის სფეროში; მოღვაწეობდა ავღანეთისა და პაკისტანის მრავალ ეროვნულ და საერთაშორისო წარმომადგენლობებში. 1996 წლიდან გაწევრიანდა RTC – ში და ეწევა ტრენინგების ხელშემწყობ საქმიანობას როგორც თავის რეგიონში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. ამჟამად ლონდონის უნივერსიტეტში გადის ასპირანტურის კურსს პოლიტოლოგიაში და სოციოლოგიაში.

სიუ უილიამს აქვს მრავალწლიანი გამოცდილება კონფლიქტთა მოგვარებისა და პოლიტიკური მედიატორობის სფეროში სხვადასხვა ქვეყანაში, კერძოდ, უგანდაში 1984-85 და 1990-91 წლებში და ჩრდილოეთ ირლანდიაში 1987 წლიდან დღემდე. 1998 წლამდე ხელმძღვანელობდა RTC-ის სტრატეგიისა და ტაქტიკის განყოფილებას, შემდეგ კი იყო INCORE-ის (ინიციატივა კონფლიქტის გადაწყვეტისა და ეთნიკურობისათვის) პოლიტიკისა და შეფასების განყოფილების ხელმძღვანელი ოლსტერის უნივერსიტეტსა და გაერთიანებული ერების უნივერსიტეტში. იგი მუშაობს კონსულტანტად იმ ჯგუფებთან, რომელთა საქმიანობაც უკავშირდება კონფლიქტებს სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის კამბოჯაში, გვატემალაში, რუანდაში, ბურუნდიში, კონგოსა და კენიაში. 1987 წლიდან ცხოვრობს ჩრდილოეთ ირლანდიაში.

სთივ უილიამსი – RTC-ის შტატგარეშე სპეციალური კონსულტანტი – თავისი საცხოვრებელი ადგილიდან, ჩრდილოეთ ირლანდიიდან, ეწევა საქმიანობას. 1997-99 წლებში იყო RTC-ის კონფლიქტოლოგიის ოთხი კურსის სრულშტატიანი მასწავლებელი, მათ შორის 10-კვირიანი კურსისა სამხრეთ აფრიკაში 1997 წლის მიწურულს. 1994 წლიდან მოღვაწეობს RTC-ში როგორც სწავლების კურსთა ორგანიზატორი და პედაგოგი, თანადროულად ხელმძღვანელობს კონფლიქტების დამლევის მეთოდის განყოფილებას. ამ პერიოდში RTC-ის პარტნიორებთან ერთად მუშაობდა საზღვარგარეთ: ნიგერიაში, კამბოჯასა და ეთიოპიაში, ხოლო ჩრდილო-

ეთ ირლანდიაში ეწეოდა სატრენინგო და საკონსულტაციო საქმიანობას. მანამდე მუშაობდა ფართომასშტაბიან მედიატორულ და საშემრიგებლო ინციატივებზე უგანდაში, კენიასა და ბოტსვანაში. შედარებით სანმოკლე ვიზიტებით ეწვია სამხრეთ აფრიკას, ახლო აღმოსავლეთს, ფიჯის, ახალ ზელანდიას, ავსტრალიას და შრი ლანკას იმ პერიოდში, როცა აგროვებდა მასალას წიგნისათვის “განაპირას მყოფი იყო შუაგულში: არაოფიციალური პოლიტიკური შუამავლობის კვაკერული გამოცდილება” (Williams Sessions, York, England, 1994), რომლის თანაავტორია სიუ უილიამსი. სთივი დაიბადა 1951 წელს აშშ-ში და ამჟამად არის როგორც გაერთიანებული სამეფოს, ისე აშშ-ის მოქალაქე.

დეჟა იბრაჰიმ აბდი მოღვაწეობდა ვაჯირში, ჩრდილო-აღმოსავლეთ კენიაში, როგორც განათლების მუშაკი, მუშაობდა საზოგადოებრივი განვითარებისა და კონფლიქტების მოგვარების სფეროში. მას, როგორც ტრენერს, აქვს მნიშვნელოვანი გამოცდილება; 1997 წელს მონაწილეობას იღებდა ურწყავი მიწების რესურსების მართვის პროექტში (ALRMP), რომელსაც აფინანსებდა მსოფლიო ბანკი და მართავდა კენიის პრეზიდენტის აპარატი. 1997 წელს თანამშრომლობდა ორგანიზაციასთან „მშვიდობის კოალიცია აფრიკაში“ (COPA) სამხრეთ აფრიკაში და 1995-97 წლებში RTC-თან ბირმინგემში (გაერთიანებული სამეფო). არის RTC-ის ტრენერი და კონფლიქტთა დაძლევის კურსის სასწავლო პროცესის კოორდინატორი და უფროსი კურატორი. დეჟას აქვს გამოცდილება კონფლიქტურ თემებს შორის შუამავლობისა, განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მუშაობა ჩრდილო კენიის მეჯოგე თემთან. არის ჩრდილო კენიის ვაჯირის და მის მუზობელ რეგიონებში სხვადასხვა სამშვიდობო ინციატივების ერთ-ერთი მთავარი მონაწილე. დეჟას დიდი წვლილი მიუძღვის მეჯოგეთა თემების განვითარების სფეროში, განსაკუთრებით – ეფექტიანი განათლების სისტემის შექმნაში, სადაც მან მოძრავი სკოლის კონცეფცია შეიმუშავა.

რიჩარდ სითი 1999 წლის აპრილიდან 2000 წლის აგვისტომდე იყო RTC-ის სტუმარი მეცნიერი. ამ პერიოდში ის ატარებდა ფართომასშტაბიან ტრენინგებს კონფლიქტის დაძლევის, მხარდაჭერის პოლიტიკისა და პრაქტიკის კურსებზე. ამავე დროს, სუდანსა და შრი-ლანკაში ეწეოდა საკონსულტაციო საქმიანობას RTC-ისათვის. თავდაპირველი გამოცდილება მიიღო სამხრეთ აფრიკაში როგორც ანტი-აპარტეიდული მოძრაობის აქტივისტმა, შემდგომ კი როგორც გარდაქმნისა და შერიგების პროცესების მონაწილემ. სამხრეთ აფრიკაში იგი მონაწილეობდა დამოუკიდებელი საარჩევნო კომისიის მუშაობაში, აგრეთვე მოღვაწეობდა სამართლიანობის და შერიგების კომისიაში, ხოლო სათემო დონეზე სამხრეთი კონცნის რეგიონში თანამშრომლობდა რეკონსტრუქციისა და საზოგადოებრივი განვითარების პროგრამის ჯგუფთან. ჰქონდა რა საკმაო გამოცდილება მოზრდილთა განვითარების, სწავლებისა და ტრენინგის სფეროში, ინტენსიურად მოღვაწეობდა ეთიოპიაში, სუდანში, სომალილენდსა და ერიტრეაში. არის ორგანიზაცია „მშვიდობის კოალიცია აფრიკაში“ წევრი და კონფლიქტთა ტრანსფორმაციის ხელმძღვანელი კომიტეტის – პრაქტიკოს მოღვაწეთა საერთაშორისო ქსელის – აქტიური თანამშრომელი.

ეს ფიზიკი არის შიდეგი მსოფლიოს მრავალი კუთხის მრავალი პრამტიკოსისა და ფასილიტატორის შრომისა, რომლებიც თავიანთ საქმიანობას სხვადასხვა ქვეყანასა და გარემოში სხვადასხვა ენაზე ეწეოდნენ. ნაშრომი მათ მიმდინარე საქმიანობას ეფუძნება და, ცხადია, უპირველესად პატივი მათ უნდა მიეკეთა და იმათაც, ვისთანაც თანამშრომლობდნენ.

„კონფლიქტზე მუშაობა“ დაკავშირებულია საქმიანობის ისეთი სფეროსთან, სადაც ადამიანები დიდსულოვნად უზიარებენ ერთმანეთს აზრებსა და საკუთარ განჭვრეტებს, კონკრეტული მოთხოვნილებების შესაბამისად ახდენენ მათ ადაპტირებას. კონფლიქტზე პასუხის ორგანიზაცია (RTC) ამ პროცესის ნაწილია. ჩვენ განუწყვეტლივ ვსესხულობთ, ვუსადაგებთ, შევიმუშავებთ და ვიზიარებთ იდეებსა და მეთოდებს. ეს არსებითია, თუ გვინდა ჩვენი შემოქმედებითი მიდგომა კონფლიქტის საკითხებისადმი გაიზარდოს. ზოგჯერ შეიძლება მხედველობიდან გამოგვრჩეს ამა თუ იმ იდეის ავტორი და ამდენად პატივი ვერ მივაკეთებთ იმ ადამიანებს, რომლებიც უდავოდ იმსახურებენ ამას. ჩვენ ვცდილობთ დავასახელოთ ისინი, ვისი ნაშრომების ციტირებასაც ვახდენთ. ვწუხვართ, თუკი სადმე გამოგვრჩა სათანადო აღნიშვნა და გთხოვთ, შეგვატყობინოთ ასეთი ფაქტების შესახებ, რათა შემდგომ გამოცემებში აღმოგვჩვენოთ ეს ხარვეზი.

დავასახელებთ მსოფლიო რამდენიმე ავტორს იმათგან, ვისგან ნაშრომებზე და იდეებზეც გადამწყვეტი როლი შეასრულა RTC-ის განვითარებასა და ჩვენი სტრატეგიის შემუშავებაში. ესენია: ჯონ პოლ ლედერანი, კრის მითჩელი, მარი ფიცდაფი, ადამ ქერლი, პაოლო ფრეირე, სელი ტომელი და ენ ჰოუფი.

კრის ბარბერი იყო RTC-ის შიქმის ერთ-ერთი მოთავე. იგი გონივრულად და თავდაუზოგავად ხელმძღვანელობდა ნდობით აღჭურვილ პირებს ამ ორგანიზაციის შექმნის პირველ წლებში. შემდგომ კრისი შეცვალა ველ ფერგიუსონმა, რომელიც ასეთივე საქმის ერთგული და ენერგიული თავმჯდომარეა; მან, სხვა ნდობით აღჭურვილმა პირებმა და საკონსულტაციო ჯგუფის წევრებმა უზრუნველყვეს RTC-ის შემდგომი განვითარება. ნიკოლას და ბევის ყილეტებმა ფასდაუდებელი სამსახური გაუწიეს ამ ორგანიზაციას მისი არსებობის საწყის, ყველაზე რთულ პერიოდში.

განსაკუთრებული მადლიერებით უნდა მოვიხსენიოთ RTC-ის დამფუძნებელი და თანამშრომელი ჯუთიდ ლარჯი, რომელიც საყოველთაო პატივისცემით სარგებლობს. მან დიდი წვლილი შეიტანა RTC-ის სტრატეგიისა და მისი კონცეპტუალური ბაზის შექმნაში ჩვენი საქმიანობის საწყის ეტაპზე. დიდი შრომა გასწია აგრეთვე ამ წიგნის შედგენისას: როგორც უშუალოდ, როცა მონაწილეობას იღებდა გარკვეული მეთოდებისა და განმარტებების შემუშავებასა და ფორმირებაში, ისე გაშუალებით, როდესაც მისი მოღვაწეობა გავლენას ახდენდა მთელი ორგანიზაციის ორიენტაციაზე. მადლობას ვუხდით მას და ვუსურვებთ წარმატებას ახლანდელ საქმიანობაში.

ასევე მადლიერი ვართ პოლ კლიფორდისა, რომელიც RTC-ის ეგიდით მოღვაწეობს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში და გვიზიარებს თავის ცოდნასა და ახალ

იდევს, განსაკუთრებით, მოლაპარაკებების წარმოებისა და მედიატორული საქმიანობის შესახებ.

მადლობას ვფირავთ ფონდებს, განსაკუთრებით ჯოზეფ რაუნტრი საქველმოქმედო ტრასტს, პოლდენ ჰუქჰემის ფონდს, ელუარდ ქედბერის საქველმოქმედო ტრასტს მათი უშურველი და მუდმივი მხარდაჭერისათვის. მადლობას ვუხდით ასევე პოლანდიის მთავრობას და ალენ ლეინის ფონდს, რომელმაც დააფინანსა ამ წიგნის დაწერა, პუბლიკაცია და გავრცელება.

ვასდაუღებელი დანხარება გაგვიწია რამდენიმე ადამიანმა უშუალოდ წიგნის შედგენის პროცესში; ბრიჯით უოქერმა მონაწილეობა მიიღო მე-3 და მე-9 თავების ვრცელი მონაკვეთების დამუშავებაში და მრავალჯონს წამოსწია გენდერისა და უფლებების საკითხები. მერი ლუ ლევიტმა გადაამუშავა მე-9 თავი და სერიოზულად დაგვაფიქრა არაძალადობაზე, როგორც მოქმედების მეთოდზე. ორივე მათგანმა, ისევე როგორც რუთ მასგრეივმა, დონა ქოპნელმა, როზმარი თაკერმა, შომარი უალინგამინამ და გვენ პრინსმა, წაიკითხა მთელი ხელნაწერი და გამოთქვა საყურადღებო შენიშვნები. სხვებმა დრო არ დაიშურეს, რათა ანალიზის და სტრატეგიის შემუშავების პრაქტიკული მეთოდები გამოეცადათ „საკვლე პირობებში“; ამან მოიცვა სელი ოუკის კოლეჯთა ფედერაციის „საზოგადოებრივი განვითარების კვლევის“ კურსი, ასევე 1999 წლის საშემოდგომო სემესტრში ვუდბრუკის კოლეჯის მრავალი სტუდენტის აქტივობა.

განსაკუთრებული მადლიერებით მოვისხენიებთ კიბ პრისლის, ჯონ მენსფილდს, კარმე ლინს და ჯეიმ მურს – RTC-ის ადმინისტრაციულ და ფინანსურ გუნდს –, რომლებიც ხალისით გვიწევდნენ ქმედით დანხარებას, ვიდრე წიგნის კონცეფცია საბოლოო ფორმას მიიღებდა.

მადლობას მოვასხენებთ:

- ფაკიმ ჰაქიმს რამდენიმე ნახატი-სათვის.
- მარი ფიცდაფს მე-4 თავში ცრურწმენებისა და დისკრიმინაციის საკითხებზე გამოთქმული მოსაზრებებისათვის და იმისათვისაც, ნება რომ დაგვართო, ციტატა მოგვეტანა მისი მოხსენებიდან.
- შომარი უალინგამინას მე-9 თავის 8.2 სექციაში წარმოდგენილი ნახატი-სათვის.
- ოქფამ სუდანს „ღირებულებათა ხისთვის“ (გვ. 99)
- ტრევორ ფინდლეს (VERTIC), მე-9 თავში წარმოდგენილი ვერიფიკაციის აღწერისათვის.
- ომისშემდგომი რეკონსტრუქციისა და განვითარების განყოფილებას, იორკის უნივერსიტეტი (იხ. რეკონსტრუქციის შესახებ, გვ. 155)

ზემოთ ჩამოთვლილთა გარდა წიგნში სხვადასხვა ადგილას მოხსენიებულია მრავალი ადამიანი, ვინც უშუალო წვლილი შეიტანა მის მომზადებაში. ამ წიგნის შექმნა არ მოხერხდებოდა მათი ღვაწლის გარეშე. კიდევ ერთხელ გამოვთქვამთ გულწრფელ მადლიერებას იმათ მიმართ, ვინც დანხარება გაგვიწია ამ საქმეში.

წიგნის შესახებ

ეს წიგნი დაგეგმარა პრაქტიკული სახელმძღვანელოა. იგი გვთავაზობს კონფლიქტზე მუშაობის ტექნიკას, თეორიებსა და მეთოდებს; იგი ეფუძნება უშუალოდ კონფლიქტურ სიტუაციაში მიღებული გამოცდილებიდან შემუშავებულ მოსაზრებებს.

„კონფლიქტზე მუშაობა“ გამიზნულია მათთვის, ვინც განურჩევლად აღმსარებლობისა და მსოფლმხედველობისა, უფრო სამართლიანი და მშვიდობიანი მსოფლიოსათვის იღწვის. მათი საქმიანობა შეიძლება აღიწეროს ისეთი ტერმინებით, როგორცაა: დახმარება და განვითარება, ადამიანის უფლებები, შიდაჯგუფური ურთიერთობები, მშვიდობა და სამართლიანობა, გადაუდებელი დახმარება, კონფლიქტის გადაჭრა და თავიდან აცილება; ზოგი ვინძლო სრულიად განსხვავებულ სფეროში მუშაობდეს, მაგრამ ყოველ მათგანს საერთო ფასეულობები აერთიანებს. მათ მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში შეიძლება შეხვდეთ, ყველგან, სადაც ერთმანეთს უპირისპირდებიან მმართველები და მართულები, მდიდრები და ღარიბები, საზოგადოება და მისი მარგინალური წევრები – ყველგან, სადაც კი არსებობს მდგომარეობის გაუმჯობესების იმედი.

წიგნის წინასწინტყვა იმ სამასი ადამიანის კოლექტიურ ნაზრამსა და გამოცდილებას, რომლებიც 1991 წლიდან თანამშრომლობენ კონფლიქტზე რეაგირების სააგენტოსთან RTC-თან. მრავალი მათგანი გახლდათ „კონფლიქტზე მუშაობის“ ათკვირიანი (აღრე თერთმეტკვირიანი) ან სხვა, უფრო ხანმოკლე კურსების მონაწილე და ხელმძღვანელი, სადაც ერთმანეთის პრობლემების შესწავლის და აგრეთვე გამოცდილებისა და აზრთა ურთიერთგაცვლის შედეგად მუშავდებოდა მსგავსი საკითხების მოგვარების ახალი მეთოდები და საშუალებები. მრავალმა ამ მონაწილეთაგან RTC-ის პერსონალი თავის რეგიონში მიიწვია სამუშაოდ: კერძოდ, აფრიკის სხვადასხვა რაიონში, ავღანეთსა და პაკისტანში, ყაზახეთსა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სხვა რაიონებში, აღმოსავლეთ ევროპაში, კამბოჯასა და ოკეანის ქვეყნებში. ყოველ კონკრეტულ რაიონში ხდებოდა ამ იდეებისა და მეთოდების მისადაგება ადგილობრივ მოთხოვნილებებსა და პირობებთან და, ამდენად, განუწყვეტლივ იცვლებოდა და დღემდე იცვლება ამ წიგნში მოცემული კონცეფციები. ჩვენ აუცილებლად მივიჩნიეთ მათი იმ ფორმით აღწერა, რა ფორმითაც არსებობდნენ დროის გარკვეულ ეტაპზე, მაგრამ გარწმუნებთ, იმ დროისთვის, როცა თქვენ გაეცნობით, მათ უკვე გავლილი ექნებათ განვითარების შემდგომი ეტაპი და შედეგად უამრავი ახალი იდეაც დაიბადება.

როგორ ვისარგებლოთ ამ წიგნით

ეს წიგნი დაგეგმარებათ:

- მოახდინოთ მიმდინარე სოციალური და პოლიტიკური კონფლიქტების ანალიზი.
- შეაფასოთ კონფლიქტზე მუშაობისას თქვენი ჯგუფის ან ორგანიზაციის შესაძლებლობები.
- გაიგოთ, რა ზეგავლენას ახდენს თქვენი მუშაობა კონფლიქტის მიმდინარეობაზე.
- გააცნობიეროთ თქვენი მიმდინარე საქმიანობის სუსტი მხარეები და ხარვეზები.
- შეიმუშავოთ სიტუაციის დინამიკის შესაბამისად ახალი ღონისძიებები და სტრატეგია.

- გამოიძუშავოთ თქვენი საქმიანობისათვის აუცილებელი ჩვევები.
- იქონიოთ გავლენა საკუთრივ თქვენი და ასევე სხვა ორგანიზაციების სტრატეგიაზე.
- მიიღოთ ცოდნა თქვენ მიერ გაწეული სამუშაოდან და შეძლოთ სხვებსაც დაეხმაროთ.


ამ წიგნის მეთოდური გამოყენება დაგეგმარებათ ბაერკვით დიდი თუ მცირე კონფლიქტების არსში, რომელთანაც გაქვთ შეხება, ასევე დაგეგმარებათ გაიღრმავოთ უნარი საკითხის შემოქმედებითი და ეფექტური გადაწყვეტისა.

წინამდებარე წიგნი ტრენერთა სახელმძღვანელოდ არ არის ჩაფიქრებული, მაგრამ აქ შემოთავაზებული თითქმის ყველა მოსაზრება და მეთოდი გამოიყენება პრაქტიკულ მეცადინეობებსა და კურსებზე; მომავალშიც ალბათ ხშირად გამოიყენებენ ამ სფეროში. ჩვენ ამას მივესალმებით და ველით თქვენს გამოხმაურებებს. საჭიროების შემთხვევაში თამამად შეგიძლიათ ამ წიგნის ფოტოკოპირება, ცხადია, სათანადო მითითებით.

არ არის აუცილებელი ამ წიგნის წაკითხვა პირველიდან ბოლო გვერდამდე. შეგიძლიათ ის ადგილები გადაიკითხოთ, რომლებიც გჭირდებათ. თუმცა კი მნიშვნელოვნად მიგვაჩნია წიგნის ნაწილების თანმიმდევრულობა. ასე რომ, თუ მის კითხვას პირველი თავიდან არ დაიწყებთ, შეიძლება წააწყდეთ კონცეფციებსა და მეთოდებს, რომელთა უკეთ გასაგებად მითითებული იქნება წინა თავები, სადაც ნახავთ კიდევ საჭირო განმარტებას.

წიგნი ოთხი ნაწილისაგან შედგება. ეს თვალნათლივ ჩანს იმ სქემიდანაც, რომელსაც ყოველი ნაწილის დასაწყისში იხილავთ (ანალიზი, სტრატეგია, მოქმედება, შესწავლა). ჩვენი აზრით, მკითხველს დახმარებას გაუწევს წიგნის სტრუქტურის ეტაპობრივი წარმოდგენა, რომლის გაცნობაც ნებისმიერი პუნქტიდან შეგიძლიათ დაიწყოთ. თუ წიგნს ბოლომდე წაიკითხავთ, ეს სქემა დაგეგმარებათ დაგეგმვასა და ეფექტურ მოქმედებაში, მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღებაში ყოველ მომდევნო ეტაპზე გადასვლისას; მაგრამ შესაძლოა რაიმე კონკრეტულ ინფორმაციას ეძებთ: მაგალითად, რა მეთოდით შეფასდება თქვენი პროგრამის ზეგავლენა თქვენსავე რეგიონში მიმდინარე კონფლიქტებზე ან როგორია უფრო დეტალური ინსტრუქცია მედიატორული საქმიანობის შესახებ. ასეთ შემთხვევაში, გირჩევთ, უშუალოდ იხილოთ შესაბამისი გვერდები საძიებლის მეშვეობით; მაგრამ წერიული სქემის რა პუნქტიდანაც არ უნდა დაიწყოთ შინაარსის გაცნობა, გიჯობთ მიჰყევთ წარმოდგენილ სქემას და მეთოდურად გააცნობიეროთ ზემოხსენებული ოთხივე ასპექტი.

დასასრულ, შევნიშნავთ: თქვენ შეიძლება მეტისმეტად რთულად მიიჩნიოთ პრაქტიკული გამოყენებისათვის რომელიმე მეთოდი ან ტექნიკა, მაგრამ ჩვენ მაინც ვიმედოვნებთ, რომ გეყოფათ გამბედაობა და მაინც შეეცდებით მის გამოყენებას. მაინცდამაინც „სწორად“ აკეთებთ თუ არა, ამაზე ნუ ინაღვლებთ. ყოველი მეთოდისათვის არსებობს მისი გამოყენების რამდენიმე გზა და არც ერთი მათგანი არ უნდა განვიხილოთ როგორც ობიექტურად საუკეთესო ან ყველაზე მართებულ ვარიანტი. თუ მიიღეთ შედეგი, ე.ი. ასეც უნდა მოქცეულიყავით. თქვენ მხოლოდ ეცადეთ! ვიმედოვნებთ, რომ ეს წიგნი სტიმულს მოგცემთ და დაგეგმარებათ თქვენს საქმიანობაში. გთხოვთ, გამოგვეხმაუროთ.



წიგნი ერთი გადახედვით

☀ ნანილი I: ანალიზი

წიგნის ეს ნაწილი წარმოადგენს იმ ქვაკუთხედს, რომელსაც შეიძლება დაეფუძნოს კონფლიქტურ რეგიონებში გაწეული ნებისმიერი საქმიანობა. ვიდრე ინდივიდუალურად ან ორგანიზაციის ფარგლებში შეუდგებოდეთ რაიმის კეთებას უშუალოდ კონფლიქტის მართვის კუთხით ან წამოიწყებდეთ სხვა სახის გარკვეულ სამუშაოს, აუცილებლად უკეთ უნდა გაერკვეთ არსებულ სიტუაციაში. სწორედ ამას ვუწოდებთ „ანალიზს“.

განსხვავებული თვალსაზრისები ყოველთვის იარსებებს. როდესაც ადამიანები ერთობლივად იკვლევენ რაღაც პრობლემას, ისინი ხშირად მიიჩნევენ, რომ ერთი და იმავე ფაქტიბიდან ყველამ ერთნაირი დასკვნა უნდა გამოიტანოს, მაგრამ ეს ასე არ გახლავთ: აზრთა სხვადასხვაობა სხვადასხვა განზომილებითაა განპირობებული: სტატუსით, ძალაუფლების ხარისხით, ქონებრივი მდგომარეობით, ასაკით, იმ როლით, რომელიც ეკისრება კონკრეტულ სქესს; მნიშვნელოვანია, აგრეთვე, თუ რომელ სოციალურ ჯგუფს მიეკუთვნება ადამიანი და ა.შ. სოციალური მდგომარეობის ეს ინდიკატორები ხშირად იმაზე მიანიშნებს, რომ ერთი და იმავე სიტუაციიდან ამ ადამიანებს სხვადასხვა შედეგის მიღება სურთ: როცა მათი მიზნები შეუთავსებელია ან არ ემთხვევა ერთმანეთს, კონფლიქტი წარმოიშვება.

თავი 1 ეს თავი გვაცნობს ძირეულ იდეებს კონფლიქტის, ძალადობისა და მშვიდობის საკითხების გასააზრებლად; აქ წარმოდგენილია აგრეთვე კონფლიქტში ჩარევის სხვადასხვა სქემაც.

თავი 2 განსხვავებული სამომავლო გზები და მიზნები, რასაც ხშირად პრობლემად მიიჩნევენ, შეიძლება ასევე განხილულ იქნას როგორც იმავე პრობლემის უფრო მრავალმხრივი გააზრების და არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების წყარო. სწორედ ამ გარემოების გათვალისწინებით გთავაზობთ ამ თავში ანალიზის ცხრა სხვადასხვა მეთოდს, რაც დაგეხმარებათ უკეთ გაერკვეთ კონფლიქტურ სიტუაციაში, გამოავლინოთ თქვენთვის ნაკლებად ცნობილი სფეროები და გაცნობიეროთ, რა მხრივ შეგიძლიათ კონფლიქტზე ზეგავლენის მოხდენა. ამ მეთოდებს იყენებდნენ ინდივიდუალურად მომუშავე პირებიცა და ჯგუფებიც, რომლებიც ცდილობდნენ მოეგვარებინათ მათ წინაშე არსებული კონფლიქტები, ასევე კონფლიქტის საპირისპირო მხარეთა ჯგუფები, რომლებსაც სურდათ ურთიერთგაგების მიღწევა. თქვენც სცადეთ მათი გამოყენება. ჩვენ ვნახეთ, რომ ადამიანები უკეთ ერკვევიან ამ მეთოდებში, როცა იწყებენ მათ გამოყენებას. მე-2 თავშივე განიხილება კონფლიქტის ანალიზის მნიშვნელობა: ანალიზი შესაძლებელია ნიშნავდეს როგორც კონფლიქტში ჩარევას, ასევე მომზადებას სამოქმედოდ. იმ ადამიანებთან თანამშრომლობის შედეგად, რომლებსაც საქმე აქვთ სოციალურ და პოლიტიკურ კონფლიქტებთან, მივედით ისეთ დასკვნამდე, რომ ყოველი კონკრეტული სიტუაციის დინამიკის, იქ არსებული ურთიერთობების და საკვანძო პრობლემების გაცნობიერება დიდად ეხმარება მათ დაგეგმონ თავიანთი საქმიანობა და უკეთ წარმართონ სტრატეგია. ასეთ გაგებას ორი გზით აღწევენ: ატარებენ კონფლიქტის გამოწვევილივით, ყოველმხრივ ანალიზს და იკვლევენ კონფლიქტებთან დაკავშირებულ სპეციფიკურ საკვანძო მომენტებსა და პრობლემებს.

თავი 3 ამ თავში განიხილება კონფლიქტების ანალიზთან დაკავშირებული რამდენიმე ძირითადი საკითხი: ძალაუფლება, კულტურა, იდენტობა, გენდერი, უფლებები. ეს თემები ბადებენ კითხვებს, რომლებზედაც არ არსებობს „სწორი“ პასუხი, მაგრამ მათ გვერდს ვერ აუქცევთ, თუ თქვენი ანალიზის საფუძველზე აპირებთ სტრატეგიის შემუშავებას და კონკრეტული საქმიანობის დაწყებას. უეჭველია, თქვენს საკუთარ კონტექსტში აუცილებლად წამოიჭრება სხვა საკვანძო საკითხებიც.

ნაწილი 1 ქმნის საფუძველს სტრატეგიის შესამუშავებლად. აქ წარმოდგენილია კონცეპტუალური სქემები, ანალიზის მეთოდების თანმიმდევრობა და პირველადი განხილვა იმ საკვანძო პრობლემებისა, რომელთაც შეიძლება გამოიწვიონ აზრთა სხვადასხვაობა; მაგრამ ასეთი წინააღმდეგობრივი პრობლემები ყოველთვის წამოიჭრება მშვიდობის დამყარებისა და კონფლიქტების ტრანსფორმაციის სფეროში ნებისმიერი სერიოზული მუშაობისას.

1 - კონფლიქტის ცნება

კონცეფტუალური სქემა

მოკლე მიმოხილვა ■ ამ თავში ვთავაზობთ კონფლიქტის გააზრებასთან დაკავშირებულ რამდენიმე ამოსავალ ცნებას. განვიხილავთ შემდეგ ძირითად თემებს:

- კონფლიქტის არსში გარკვევა
- კონფლიქტის წარმართვა
- სხვადასხვა მიდგომა: კონფლიქტის მართვა, გადაჭრა თუ ტრანსფორმაცია?
- მოსაზრებები კონფლიქტში ჩარევის სხვადასხვა კონცეფციის შესახებ
- ძალადობა უფრო მეტია ვიდრე ქცევა: ისიც მოიცავს გარემო პირობებს და განწყობილებებს
- ძალადობა და ძალის არგამოყენება – არსებული მდგომარეობის შეცვლის ორი გზა
- მშვიდობა, როგორც პროცესი
- რას ნიშნავს მშვიდობის შენება?
- რითი ჯობს დაწყება?


კონფლიქტის არსში ბარკვევა

სხვადასხვა სიღრმე

აღამიანები სხვადასხვაგვარად უყურებენ ცხოვრებას და ცხოვრებისეულ სიძნელეებს:

- ყოველ ჩვენგანს აქვს თავისი განსაკუთრებული გამოცდილება და ხასიათი.
- ყოველი ჩვენგანი გაჩენილია მამაკაცად ან ქალად.
- ყოველი ჩვენგანი დაბადებიდან დასაზღვრულია ცხოვრების განსაკუთრებული წესით: ჩრდილო კენის მომთაბარე მწყემსს და კუალა ლუმპურის ქალაქის მაცხოვრებელს სრულიად განსხვავებული გამოცდილება აქვთ, სხვადასხვაგვარად წარმოუდგენიათ სამყარო და თავისი ადგილი ამ სამყაროში.
- ყოველ ჩვენგანს აქვს საკუთარი ფასეულებები, რომლებიც წარმართავენ ჩვენს აზროვნებას და ქცევას და რო-

☞ **თუ არ გინახებიათ, არცა გცნობიათ ერთმანეთი. ჩინეთი**



© PETRA ROHR-ROUENDAAL

თუ ბორცვს არ სურს, მასზე ხალხმა იაროს, მაშინ მასზე არ უნდა მოვიდეს სკოლა. სივრა ლეონე

- რას ნიშნავს თქვენთვის ეს ანდაზა?
- ფიქრობთ, უკეთ გაიგებთ, თუ სხვებთან ერთად განიხილავთ?

მელთა საფუძველზეც ვდგამთ გარკვეულ ნაბიჯებს და თავს ვიკავებთ გარკვეული ქმედებისაგან.

ამდენად, სავსებით ბუნებრივია, რომ სხვებთან ერთობლივი მუშაობისას ხშირად თავს იჩენს ჩვენი განსხვავებული შეხედულებები სხვადასხვა საკითხზე. წუთით დავხედოთ წინა გვერდზე მოცემულ ნახატს.

- რას ხედავთ?
- მეორედ შეხედვისას შეგიძლიათ სხვა რამე დაინახოთ?

როგორც ერთსა და იმავე სურათზე შეიძლება დაინახონ განსხვავებული ხატები, ისე სხვადასხვაგვარად შეიძლება აღიქვან ადამიანებმა სოციალური და პოლიტიკური სიტუაციები. საგნების განსაკუთრებულ აღქმას განაპირობებს ჩვენი წარსული გამოცდილება.

განსხვავებული თვალსაზრისების არსებობა გარდაუვალია და ხშირად სასურველიც. როცა ადამიანები ერთობლივად იკვლევენ რაღაც პრობლემას, ისინი ხშირად თვლიან, რომ, რაკი ერთსა და იმავე ფაქტებზე მუშაობენ, დასკვნაც ერთნაირი უნდა გააკეთონ. ეს ასე არ არის. ერთსულოვნებას კიდევ უფრო ნაკლებ უნდა ველოდოთ, თუ ჩვენ ხსენებულ „ბუნებრივ“ განსხვავებულობასთან ერთად გავითვალისწინებთ მთელ რიგ სხვა ფაქტორებსაც: სტატუსს, ძალაუფლების ხარისხს, ქონებას, ასაკს, სქესისთვის მიწერილ როლს, სოციალურ მდგომარეობას და ა.შ. საზოგადოებრივი მდგომარეობის ეს მაჩვენებლები ხშირად იმაზე მიანიშნებს, რომ ერთი და იმავე სიტუაციიდან განსხვავებულ შედეგებს ელღობს: ზოგჯერ მათი მიზნები არ ემთხვევა ერთმანეთს ან ურთიერთგამომრიცხველია. ასე წარმოიშობა კონფლიქტი.

განსხვავებული ხედვა და მიზნები ხშირად ისეთ პრობლემად მიიჩნევა, რომლის გადაჭრაც მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ ყველა ერთ აზრზე დავდებით ან ერთის

აზრი გაიმარჯვებს სხვებისაზე. მეორე მხრივ, ის შეიძლება განხილულ იქნას როგორც რესურსი პრობლემის უფრო ფართე გაგებისათვის და მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

კონფლიქტი და ძალადობა სხვადასხვა რამეა

გთავაზობთ კონფლიქტისა და ძალადობის ასეთ ამოსავალ სამუშაო განსაზღვრებებს:

- **კონფლიქტი** არის ურთიერთმომართება ორ ან ორზე მეტ ისეთ მხარეს (პიროვნებას ან ჯგუფს) შორის, რომელთაც აქვთ, ან ფიქრობენ, რომ აქვთ, ურთიერთშეუთავსებელი მიზნები.¹
- **ძალადობა** მოიცავს ქმედებებს, სიტყვებს, ურთიერთგანწყობებს, სტრუქტურებს ან სისტემებს, რომელთაც მოაქვთ ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სოციალური ზიანი ან საარსებო გარემოს განადგურება და/ან ხელს უშლიან ადამიანებს თავიანთი პოტენციალის სრულ რეალიზაციაში.

კონფლიქტები ცხოვრების ნაწილია, გარდაუვალი და ხშირად შემოქმედებითი სტიმულის მატარებელი. კონფლიქტები წარმოიშობა მაშინ, როცა ერთმანეთს ეჯახება სხვადასხვა ადამიანის ინტერესები. უთანხმოებანი და კონფლიქტები, ჩვეულებრივ, ძალადობის გარეშე წყდება და ხშირად მათ შედეგად უმჯობესდება უმეტესი ან ყველა მონაწილე მხარის მდგომარეობა. ეს არც ისე ცუდია, მით უმეტეს, რომ კონფლიქტები მუდამ თან გვლევს, იქნება ეს პიროვნებათშორისი მიკროდონე, ჯგუფების, ორგანიზაციების, თემების, ერების ურთიერთობები, თუ სოციალური, ეკონომიკური და ძალაუფლების განაწილების ფორმები. ურთიერთობის ყველა ამ ფორმას ახასიათებს ზრდის, ცვლილებების და კონფლიქტების პერიოდი. კონფლიქტებს წარმოშობს ამ ურთიერთობათა დისბალანსი – უთანასწორო სოციალური სტატუსი, ქონებრივი უთანასწორობა, სხვადასხვა

რესურსებით სარგებლობის არათანაბარი პირობები და განსხვავებული ძალაუფლება; შედეგად კი ჩნდება ისეთი პრობლემები, როგორიცაა დისკრიმინაცია, უმუშევრობა, სიღატაკე, ჩაგვრა, კრიმინალი. ეს დონეები ერთმანეთთან არის დაკავშირებული და ერთობლიობაში ქმნის მძლავრ ჯაჭვს, რომელმაც საბოლოოდ შეიძლება გამოიწვიოს როგორც კონსტრუქციული, ისე დეკონსტრუქციული ცვლილებები.

ამ წიგნში ყურადღება გამახვილებულია საშუალო და მაღალ დონეებზე: თემობრივსა და ეროვნულზე. მაგრამ კითხვისას უნდა გვახსოვდეს, რომ არანაკლებ მნიშვნელოვანია ის პროცესები, რომლებიც მიმდინარეობს როგორც პიროვნებათშორის, ოჯახურ, ასევე რეგიონალურ და გლობალურ დონეებზე.

მაგალითად, საკმაოდ შორს მიმავალი შედეგები მოსდევს ოჯახში ბავშვთა სრულყოფას და ძალადობას ოჯახის წევრთა შორის; გლობალურ დონეზე კი ისეთი საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების გადაწყვეტილებებს, როგორიცაა საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია და მსოფლიო ბანკი, ძირეულად შეუძლიათ შეცვალონ სიტუაცია.

- ამ დროისთვის რამდენი კონფლიქტია თქვენთვის ცნობილი?
- შეგიძლიათ დაინახოთ კავშირი სხვადასხვა დონეზე მიმდინარე კონფლიქტებს შორის?

თუ ჩვენთვის ცხადია, რომ კონფლიქტები მუდამ თან გვდევს, მოგვწონს თუ არა, ერთი ნაბიჯიღა რჩება იმის გაცნობიერებამდე, რომ ისინი ჩვენ უბრალოდ გვჭირდება. არსებობს მრავალი ნაშრომი, განსაკუთრებით ბიზნესის სფეროში, რომლებშიც ლაპარაკია კონფლიქტების დადებით მხარეებზე. იგულისხმება ის, რომ მათი დახმარებით ადამიანები აცნობიერებენ არსებულ პრობლემებს, რომ კონფლიქტებმა შეიძლება ხელი შეუწყონ აუცილებელი ცვლილებების გან-

ხორციელებას, უკეთესი გადაწყვეტილებების მიღებას, მორალის ამაღლებას, პიროვნების განვითარებას, თვითშემეცნებას, ფსიქოლოგიურ მომწიფებას, ცხოვრებაში სიხალისის შემოტანას.²

ვინძლო თქვენი პირადი გამოცდილება არც გაძლევდეთ იმის საშუალებას, რომ აღიაროთ ზემოთ ჩამოთვლილი პოზიტიური მხარეების არსებობა, მაგრამ მაინც ინტერესდობებით არ უნდა იყოს მსჯელობა იმ დადებით წვლილზე, რაც შეიძლება შეიტანოს კონფლიქტებმა არა მხოლოდ ორგანიზაციათშორის, არამედ სხვა დონეებზეც. აბა, წარმოიდგინეთ, მათ გარეშე ხომ პიროვნება შეწყვეტდა განვითარებას მოტივაციის არარსებობის გამო, სხვადასხვა ჯგუფსა და ორგანიზაციას დაეწყებოდა სტაგნაცია და კვდომის პროცესი, ხოლო საზოგადოებები საკუთარ სიმძიმეს ვერ გაუძლებდნენ და დაინგრეოდნენ, ვერ შეეგუებოდნენ რა ცვალებად გარემოს და ძალაუფლების გადანაწილებებს. საყოველთაოდ მიღებული მოსაზრების თანახმად, რომის იმპერია დაინგრა იმის გამო, რომ ვერ შეძლო ადაპტირება და რეფორმირება.

- შეგიძლიათ თქვენი პირადი გამოცდილებიდან გაიხსენოთ სიტუაცია, როცა კონფლიქტმა დადებითი შედეგი გამოიღო?
- როგორ შეუწყო ხელი კონფლიქტმა მდგომარეობის შეცვლას?
- ეთანხმებით თუ არა იმ აზრს, რომ კონფლიქტს შეუძლია სტიმული მისცეს აუცილებელი ცვლილებების განხორციელებას?

კონფლიქტის მართვა

კონფლიქტის ინტენსიფიკაცია

ზოგჯერ აუცილებელი ხდება კონფლიქტის გამძაფრება. მაგალითად, როცა ადამიანები უზრუნველად ცხოვრობენ და საკმარისი ძალაუფლება და რესურსები გააჩნიათ თავიანთი მოთხოვნილე-

**სინარბე
კონფლიქტის
სათავა.
კამბოჯა**

ბების დასაკმაყოფილებლად, ისინი ვერ ამჩნევენ ან უარს აცხადებენ გააცნობიერონ ის ფაქტი, რომ სხვები შევიწროებულნი ან გარიყულნი არიან. ასეთ შემთხვევაში საჭიროა კონფლიქტის გამოვლენა, გამოაშკარავება, რათა შესაძლებელი გახდეს აუცილებელი ცვლილებების განხორციელება.

ადამიანები, რომლებიც მუშაობენ საზოგადოების განვითარების და ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში, ხშირად იძულებული არიან გააცნობიერონ, რომ ილწვიან არა კონფლიქტის გადასაწყვეტად, არამედ გასამძაფრებლად და გამოსამხეურებლად, რათა პრობლემა გააცნობიეროს საზოგადოების ფართო წრეებმა და მიღებულ იქნას ქმედითი ზომები მის მოსაგვარებლად. ეს შეიძლება ნიშნავდეს შევიწროებული ჯგუფისთვის მხარის დაჭერას და ხელშეწყობას. მაგალითად, სამხრეთ აფრიკაში მეოცე საუკუნის განმავლობაში რეფორმებისათვის მებრძოლი აქტივისტები ცდილობდნენ გამოემხეურებინათ ფარული ანუ ლატენტური კონფლიქტები ისე, რომ შესაძლებელი

ბელი გამხდარიყო მათი სასურველი გზით წარმართვა და მოგვარება.

NB: ამ წიგნში ერთმანეთისგან მკაფიოდ განვასხვავებთ:

- **კონფლიქტის ინტენსიფიკაციას**, რაც ნიშნავს ფარული კონფლიქტის გამოაშკარავებას მისი მიზანმიმართული არაძალადობრივი მოგვარების მიზნით და
- **კონფლიქტის ესკალაციას**, როცა იზრდება კონფლიქტის დაძაბულობის ხარისხი და ძალადობა.

ქვემოთ მოტანილ დიაგრამაზე ვთავაზობთ კონფლიქტის ზოგიერთი ძირითადი ასპექტის ილუსტრაციას (სქემა 1.1).³ კონფლიქტები კლასიფიცირებულია ორი განზომილებით: მიზნები და ქცევები. ეს შეესაბამება ჩვენს სამუშაო განსაზღვრებას, რომლის თანახმადაც „კონფლიქტი არის ურთიერთმიმართება ორ ან ორზე მეტ ისეთ მხარეს შორის, რომლებსაც აქვთ, ან ფიქრობენ, რომ აქვთ არათავსებადი მიზნები“.

**სქემა 1.1:
მიზნები და ქცევა**

		მიზნები	
		არა-მიზნობრივი	მიზნობრივი
ქცევა	ურთიერთ-შეთავსებადი მოქმედებები	<p>კონფლიქტი არ არის</p>	<p>ფარული კონფლიქტი</p>
	ურთიერთ-შეუთავსებადი მოქმედებები	<p>ზედაკირული კონფლიქტი</p>	<p>ღია კონფლიქტი</p>

ნახატის ოთხ უჯრედში წარმოდგენილია ურთიერთმიმართებები მიზნებსა და ქცევებს შორის და მოცემულია მათი ინტერპრეტაცია კონფლიქტის ტერმინებში. სქემის მიზანია წარმოაჩინოს კონფლიქტის ტიპები და შესაძლო ჩარევის სხვადასხვა გზა. ეს სცენარი არ ითვალისწინებს იდეალურ სიტუაციას, მაგრამ ოთხივე ტიპს თავისი პოტენციური და გამოწვევები გააჩნია.

- **არ არის კონფლიქტი:** ერთი შეხედვით, საუკეთესო ვარიანტად ზედა მარცხენა კუთხის უჯრედი შეიძლება მივიჩნიოთ – „არ არის კონფლიქტი“, მაგრამ ამავე დროს ნებისმიერი მშვიდობიანი ჯგუფის ან საზოგადოების სიცოცხლისუნარიანობა აუცილებლად გულისხმობს მის აქტიურობას და დინამიურობას, რაც, თავის მხრივ, ნიშნავს კონფლიქტებს ქმედებებსა და მიზნებს შორის და მათ შემოქმედებით წარმართვას.
- **ფარული კონფლიქტი** არ ჩანს ზედაპირულ დონეზე და, როგორც უკვე ითქვა, შესაძლოა საჭიროებდეს გამოამჟღავნებას მისი ეფექტური წარმართვის მიზნით.
- **ღია კონფლიქტს** ღრმა ფესვებიც აქვს, ზედაპირზეც ადვილად შესამჩნევია და საჭიროებს ისეთი ზომების მიღებას, რაც შეეხებოდა როგორც სიღრმისეულ მიზეზებს, ასევე გარეგნულ გამოვლინებებს.
- **ზედაპირულ კონფლიქტს** სუსტი ფესვები აქვს ან სულაც არ გააჩნია. ის შეიძლება გამოწვეული იყოს მიზანთა გაუგებრობით და ამიტომ შეიძლება მოგვარდეს კომუნიკაციის გაუმჯობესებით.

კონფლიქტის ჩანაწერი

კონფლიქტის ჩანაწერი სამომავლოდ ახალ პრობლემებს წარმოშობს. თავისთავად კონფლიქტური სიტუაცია იმდენადვე გულისხმობს მის მოგვარებას, რამდენადაც სერიოზული პრობლემის წარმოქმნას. კონფლიქტი გადაიზრდება ძალადობაში, როცა:

- არ არსებობს შესაბამისი არხები დიალოგის გასამართავად ან უთანხმოების გამოსასწავლად.
- არ ექცევა ყურადღება საწინააღმდეგო აზრს და ფარულ უკმაყოფილებას და შესაბამისად არც მათი სასურველი გზით წარმართვა ხდება.
- თემსა და საზოგადოებაში დასადგურებულია არასტაბილურობა, უსამართლობა და შიში.

ერთი ბლოკატორი ჩვენი წარსულიდან მომდინარე სულიერი ტრავმა და ტკივილია, რომელსაც ხშირად არ ექცევა სათანადო ყურადღება: ეს არის უბედურების, დანაკარგების, ტკივილის და ზოგჯერ ძალადობის პირადული ან კოლექტიური გამოცდილება. ომისა და გენოციდის შემთხვევაში ეს ფაქტორი ყველაზე დამანგრეველი და ხანგრძლივია.

ასეთ ტკივილს ცნობიერად თუ არაცნობიერად შეუძლია დიდი ხნით დაგვაკარგვინოს მოსვენება, თუ მას არ გამოვაგულენთ და არ ვუმკურნალებთ. უფრო მარტივ შემთხვევებში ის ხელს გვიშლის კონსტრუქციულ აზროვნებაში, ურთიერთობათა დამყარებასა და საქმიანობაში. მან შეიძლება მიიღოს უფრო სასტიკი ფორმაც და გამოინატოს სხვა ადამიანების ან ადამიანთა ჯგუფებისადმი დემონურ დამოკიდებულებაში და გახდეს საფუძველი მათი განადგურების მორალური დაკანონებისათვის, რაც კიდევ უფრო დაამძიმებს მდგომარეობას. იგივე მექანიზმი მოქმედებს სოციალურ დონეზე. თუ ადამიანთა რაღაც ჯგუფს ან ერს მიაჩნია, რომ მას წარსულში უკანონოდ ექცეოდნენ ან ავიწროებდნენ, ის ძნელად თუ დაივიწყებს ამგვარ უსამართლობას, ზოგჯერ გამეორების შიშით, ზოგჯერ – მოძალადისათვის სამაგიეროს გადახდის სურვილით.

როდესაც არსებობს ამგვარი ხელისშემშლელი ფაქტორები და როდესაც ისინი ერთ მთლიან ჯაჭვს ქმნიან პიროვნულიდან ეროვნულ მასშტაბამდე, ასეთ პირობებში ხალხი მზადაა, ძალა გამოიყენოს. ამასთან დაკავშირებით შეიძლება გავიხსენოთ ქალთა მოძრაობის ლოზუნგი „პირადული ნიშნავს პოლიტი-

**ტაფიდან
გადმოხტე
ცეცხლში
ჩავარდე.
ინგლისი**

კურს“. როცა ადამიანები შევიწროებულნი ან დათრგუნულნი არიან, პიროვნულ დონეზე განცდილმა ფარულმა კონფლიქტმა შეიძლება მათ ეროვნულ დონეზე პოლიტიკური აქციებისკენ უბიძგოს. ჩანს, რომელი კონფლიქტები ნოყიერ ნიადაგს ქმნის პოლიტიკოსების, სამხედროებისა თუ სხვადასხვა ჯურის ავანკებისათვის, რომელთაც შეუძლიათ უკმაყოფილონი და ჩაგრულნი სახელმწიფო დონეზე ძალაუფლებისა და გავლენის მოსაპოვებლად გამოიყენონ. სულ უფრო იზრდება ძალადობის პრაქტიკა, სადაც კონფლიქტების მოგვარება, როგორც წესი, ძალის გამოყენებით ხდება.

სხვადასხვა მიდგომა: კონფლიქტის მართვა, გადაჭრა თუ ტრანსფორმაცია

დღესდღეობით დიდი ძალისხმევა ხმარდება კონფლიქტების გადაჭრას. 80-ანი წლების ბოლომდე ომების უმეტესობა სახელმწიფოებს შორის წარმოებდა. ამჟამად ომების უმრავლესობა შინა და სამოქალაქო ომებია, ამიტომაც მათი მსხვერპლიც ძირითადად მშვიდობიანი მოსახლეობაა. მაშინ, როცა კაცები უფრო მეტად ილუპებიან, უკვალოდ „იკარგებიან“ ან ჩათრეულნი არიან საომარ მოქმედებებში, სწორედ ქალები და ბავშვები შეადგენენ იძულებით გადაადგილებულთა და ლტოლვილთა უმეტესობას. სამოქალაქო ომების ამგვარ ზრდას ბევრი უკავშირებს ცივი ომის დამთავრებას და „ბიპოლარული“ მსოფლიო წესრიგის დამხობის კვალდაკვალ ნაციონალიზმისა და ეთნიკური თვითშეგნების გამოღვივებას. საბჭოთა სოციალისტური გავლენის სფეროს რღვევას კაპიტალიზმის შეუნღლდავი გლობალიზაციაა მოჰყვა, რამაც სერიოზული დადი დაასვა ხალხთა ძალისხმევას აქმენებინათ დემოკრატიული საზოგადოებები და ეკონომიკური სისტემები.

ისეთი საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციები, როგორცაა მსოფლიო

ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ამჟამად უფრო სერიოზულ და გადამწყვეტ როლს ასრულებენ შედარებით სუსტი და ღარიბი ქვეყნების პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში. ამ ქვეყნებში ეკონომიკის ლიბერალიზაცია ხშირად იწვევდა დაძაბულობის ზრდას და კონფლიქტებს. შიდა კონფლიქტების გაძლიერება, ისევე როგორც კონფლიქტთა გლობალიზაცია, რამაც ზოგიერთი ქვეყანა არაკონტროლირებადი გახადა, გამოწვეული იყო ისეთი ურთიერთდაკავშირებული ტენდენციების ზრდითაც, როგორცაა სამხედრო დიქტატურა, პოლიტიკური კორუფცია და კრიმინალური ეკონომიკის ჩამოყალიბება. გარკვეული თვალსაზრისით, ცივი ომის დამთავრებამ ბევრგან გზა გაუხსნა სხვადასხვა მასშტაბის დაძაბულობას, რომელიც ადრე ძალით ითრგუნებოდა.

ამიტომაც დაიწყო ფართო მასშტაბის კვლევითი და პრაქტიკული საქმიანობა მწვავე კონფლიქტების განსამუხტავად. მთავრობებიცა და სამოქალაქო საზოგადოებებიც ცდილობდნენ მოექებნათ იმ პრობლემის გადაჭრის გზები, რაც აფერხებს ან სულაც ანშობს მრავალი რეგიონის განვითარებას. გაჩნდა ახალი ორგანიზაციები, მკვიდრდება ახალი ტერმინოლოგია. ამ ადრეულ სტადიაზე არსებობს მწვავე უთანხმოებები სხვადასხვა ტერმინის მნიშვნელობების ირგვლივ. ქვემოთ ვთავაზობთ კლასიფიკაციას, რომელიც, ჩვენი აზრით, თანმიმდევრულია, მაგრამ არ გვაქვს იმის პრეტენზია, რომ საყოველთაოდ იქნას მიღებული. ტერმინები აღწერენ კონფლიქტთა წარმართვის სხვადასხვა მიდგომას. ზოგჯერ ისინი განიხილებიან როგორც პროცესის შემადგენელი ნაბიჯები. ყოველი მომდევნო ნაბიჯი გულისხმობს წინამავალს (მაგალითად, **კონფლიქტის მოგვარება** გულისხმობს **კონფლიქტის თავიდან ამაცილებელ** ზომებსაც – კონფლიქტის პრევენციას). ამ წიგნში ჩვენ ვიყენებთ ტერმინს **კონფლიქტის ტრანსფორმაცია** მთელი პროცესის აღსანიშნად.

- **კონფლიქტის პრევენცია** მიზნად ისახავს არ დაუშვას მწვავე კონფლიქტის გაღვივება.
- **კონფლიქტის მოგვარება** მიზნად ისახავს ძალადობის აღკვეთას სამშვიდობო შეთანხმების გზით.
- **კონფლიქტის მართვა** მიმართულია იმაზე, რომ შეზღუდოს ძალადობა და სამომავლოდ მოახდინოს მისი პრევენცია მით, რომ კონფლიქტში ჩართულ მხარეთა ქმედებებში პოზიტიურ ცვლილებებს შეუწყოს ხელი.
- **კონფლიქტის გადაჭრა** გულისხმობს ყურადღების გამახვილებას კონფლიქტის მიზეზებზე და მოქიშპე მხარეებს შორის ახალი და ხანგრძლივი ურთიერთობების დამყარებას.
- **კონფლიქტის ტრანსფორმაცია** ნიშნავს კონფლიქტის გამომწვევი მნიშვნელოვანი სოციალური და პოლიტიკური წინაპირობების კონტროლს და ომის უარყოფითი ენერჯის მიმართვას პოზიტიური სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებების განსახორციელებლად.

სქემა 1.2. არ გვიხსნის იმას, თუ „როდის, რა გავაკეთოთ“, ის უბრალოდ ტერმინებს განმარტავს. ასე მაგალითად, „კონფლიქტის პრევენცია“ გულისხმობს ფარულ სტადიაში არსებული კონფლიქტის მართვის სტრატეგიას და გამიზნულია იმისთვის, რომ არ დაუშვას მისი

ძალადობაში გადაზრდა. „კონფლიქტის გადაჭრა“ უკავშირდება ღია კონფლიქტის მართვის სტრატეგიას და მიზნად ისახავს არა მარტო იმ შეთანხმების მიღწევას, რომელიც აღკვეთდა ძალადობას („კონფლიქტის მოგვარება“), არამედ მისი გამომწვევი წინააღმდეგობის გადაჭრასაც. „კონფლიქტის ტრანსფორმაცია“ კი წარმოადგენს ყოვლისმომცველ და შორსმომავალ სტრატეგიას და ყველაზე ხანგრძლივსა და მრავალმხრივ ძალისხმევას მოითხოვს.

მაგალითისთვის განვიხილოთ კოსოვოს 1999 წლის კონფლიქტი: ეს იყო ღია კონფლიქტი, სადაც აშკარად იკვეთებოდა ურთიერთდაპირისპირებული მიზნები და ქმედებები, რამაც, თავის მხრივ, მრავალი ადამიანის სიკვდილი ან საცხოვრებელი ადგილიდან აყრა გამოიწვია. საჭირო იყო ორივე მიმართულებით ჩარევა: როგორც „მოგვარება“, ასევე „გადაჭრა“. ძალადობის სერიოზული მასშტაბების გამო მშვიდობის დამყარების ბევრი მცდელობა აქ გამიზნული იყო მხოლოდ „მოგვარებისაკენ“. მაგრამ ამავე დროს ხორციელდებოდა გრძელვადიანი ინიციატივებიც; ეს გულისხმობდა დაპირისპირებულ მხარეთა გარკვეული ჯგუფების ჩარევას დიალოგში, რათა მათ საერთო მომავალზე ემსჯელათ. ომის დამთავრებისთანავე შეიქმნა საშუალო დონის ეფექტური საფუძველი მომავალი ურთიერთობების

სქემა 1.2: რითი ვუპასუხოთ კონფლიქტს ტერიტორიების აღრევივით?

მ შ ა რ დ ი	მ ზ ა რ დ ი ქ ა ლ ა დ ო ბ ა		
	ფარული კონფლიქტი	წვავიპირული კონფლიქტი	ღია კონფლიქტი
კონფლიქტის პრევენცია			
კონფლიქტის მოგვარება			
კონფლიქტის მართვა			
კონფლიქტის გადაჭრა			
კონფლიქტის ტრანსფორმაცია			

დასამყარებლად და საზოგადოებრივი ინსტიტუტების შესაქმნელად. აღნიშნული ინიციატივები მიმართული იყო „კონფლიქტის ტრანსფორმაციის“ გრძელვადიან ამოცანაზე.

თეორიები კონფლიქტის მიზაზების შესახებ

კონფლიქტზე მუშაობის მეთოდების გასაცნობად, გთავაზობთ კონფლიქტის გამომწვევებზე მიზნობრივ მკვლევარს;⁴ თითოეული მათგანი მიუთითებს კონფლიქტზე მუშაობის განსხვავებულ სამუშაოებსა და მიზნებზე.

საზოგადოებრივი ურთიერთობების თეორია გულისხმობს იმას, რომ კონფლიქტი გამოწვეულია საზოგადოების შიგნით სხვადასხვა ჯგუფის მზარდი პოლარიზაციით, ურთიერთუნდობლობით და მტრობით. „საზოგადოებრივი ურთიერთობების თეორიაზე“ დაფუძნებული მოქმედების მიზანია:

- კონფლიქტში ჩართულ ჯგუფებს შორის კომუნიკაციისა და ურთიერთგაგების გაუმჯობესება
- საზოგადოების შიგნით არსებული არაერთგვაროვნების მიმართ მეტი მიმდებლობისა და შემწყნარებლობის წახალისება.

პრინციპული მოლაპარაკების თეორიის თანახმად, კონფლიქტი გამოწვეულია იმით, რომ მასში მონაწილე მხარეებს ურთიერთშეუთავსებელი პოზიციები უკავიათ და ყოველი მათგანი კონფლიქტს ნულოვანი პოზიციიდან აფასებს. **პრინციპული მოლაპარაკების თეორიაზე** დაფუძნებული მოქმედების მიზანია:

- დაეხმაროს კონფლიქტში ჩართულ მხარეებს ერთმანეთისგან განაცალკევონ პიროვნული ფაქტორი და საკვანძო საკითხები, მოლაპარაკებები წარმართონ არა წინასწარ დაფიქსირებული პოზიციების, არამედ ამ მხარეების ინტერესთა საფუძველზე.

- ხელი შეუწყოს ისეთი შეთანხმებების მიღწევას, რომელიც სარგებელს მოუტანს კონფლიქტის ორივე (ყველა) მხარეს.

ადამიანურ მოთხოვნილებათა თეორია გულისხმობს, რომ ღრმად ფესვგადგმული კონფლიქტის მიზეზი არის ძირითადი ადამიანური მოთხოვნილებების (ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სოციალური) უგულვებელყოფა ან დათრგუნვა. ხშირად საუბრობენ უსაფრთხოებაზე, იდენტობაზე, აღიარებაზე, თანამონაწილეობასა და ავტონომიაზე. **ადამიანის მოთხოვნილებათა თეორიაზე** დაფუძნებული მოქმედების მიზანია:

- დაეხმაროს კონფლიქტში მონაწილე მხარეებს ერთმანეთის დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილებების გაცნობიერებასა და გაზიარებაში და ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების გზების პოვნაში.
- მხარეებმა მიაღწიონ ისეთ შეთანხმებებს, რომლებიც დააკმაყოფილებს ყოველი მათგანის ძირეულ ადამიანურ მოთხოვნილებებს.

იდენტობის თეორია გულისხმობს, რომ კონფლიქტი გამოწვეულია იმ საფრთხით, რომელიც იდენტობას ემუქრება; იგი ხშირად სათავეს იღებს წარსულის აუნაზღაურებელი დანაკარგიდან და ტანჯვიდან. **იდენტობის თეორიაზე** დაფუძნებული მოქმედების მიზანია:

- ფასილიტატორით წარმართული სემინარების საშუალებით დაეხმაროს კონფლიქტში მონაწილე მხარეებს გააცნობიერონ ის საკითხები და შიშები, რომელთაც განიცდის თითოეული მათგანი და მიაღწიონ ურთიერთგაგებასა და შეწყნარებას.
- ერთობლივი ძალისხმევით მივიღწენ ისეთ შეთანხმებამდე, რომელიც აღიარებს ყოველი მხარის თვითიდენტობის ძირითად მოთხოვნილებებს.

კულტურათმცოდნეობის თეორია გულისხმობს, რომ კონფლიქტი გამოწვეულია კულტურათა საკომუ-

ნიკაციო სტილთა ურთიერთშეუთავსებლობით. კულტურათმორისი გაუცხოების თეორიაზე დაფუძნებული მოქმედების მიზანია:

- სრულყოფილი კონფლიქტში მონაწილე მხარეების ინფორმაცია ერთმანეთის კულტურათა შესახებ.
- გაუნელოს მხარეებს უარყოფითი სტერეოტიპები ერთმანეთის მიმართ.
- საბოლოო ჯამში, მიაღწიოს ეფექტურ კულტურათმორის ურთიერთობათა დამყარებას.

კონფლიქტის ტრანსფორმაციის თეორია გულისხმობს, რომ კონფლიქტი გამოწვეულია უთანასწორობის და უსამართლობის იმ რეალური პრობლემებით, რომლებიც თავს იჩენენ მოქიშპე სოციალურ, კულტურულ და ეკონომიკურ სტრუქტურებში. **კონფლიქტის ტრანსფორმაციის თეორიაზე** დაფუძნებული მოქმედების მიზანია:

- უთანასწორობისა და უსამართლობის გამომწვევი სქემებისა და სტრუქტურების შეცვლა ეკონომიკური გადანაწილების ჩათვლით
- კონფლიქტში მონაწილე მხარეებს შორის გრძელვადიანი ურთიერთობების დამყარება და ურთიერთგანწყობის გაუმჯობესება
- ისეთ სისტემათა ჩამოყალიბება და პროცესთა ხელშეწყობა, რომლებიც განაპირობებენ სამართლიანობას, მშვიდობას, ურთიერთშენდობას, შერიგებასა და ურთიერთშეცნობას.

- ამ თეორიებიდან რომელიმე მაინც თუ შეესაბამება კონფლიქტზე მუშაობის თქვენს მეთოდს და, კერძოდ, რომელი?
- ემთხვევა თქვენი მიზნები ამ თეორიაში წარმოდგენილ მიზნებს?
- დაგეხმარებათ ეს თეორიები იმის უკეთ გაგებაში, თუ როგორ მუშაობენ სხვები ამავე კონფლიქტზე?

- თქვენ ან სხვა ვინმე ხომ არ იყენებს იმ მეთოდებს, რომლებიც არ არის აღნიშნული ზემოთჩამოთვლილ თეორიებში?
- ხომ არ შემოგვთავაზებდით დამატებით სხვა თეორიას?

ქალაქო უფრო მეტია, ვიდრე ქცევა:

იგი ასევე მოიცავს კონტაქტს და განწყობას

შეიძლება სასარგებლოდ მიგანდეთ თეორიები, შეიძლება – არა, მაგრამ სინამდვილეში რეალურ კონფლიქტთან გაქვთ საქმე. ნშირად ეს რეალობა გულისხმობს ძალადობის გარკვეულ ფორმებს, ეს უკანასკნელი კი სიტუაციის მართვის მთავარ ხელისშემშლელ დაბრკოლებად გვევლინება.

ბევრი ჩვენგანი ძალადობას ქცევის ფორმად მიიჩნევს. მკვლელობა, ცემა, წამება, დასახიჩრება ფიზიკური ძალადობის ის მაგალითებია, მრავლად რომ შეხვდებით ადამიანთა გართიანებებში, სხვადასხვა საზოგადოებასა თუ ქვეყანაში მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ომები ამ მოვლენის ყველაზე თვალსაჩინო და მწვავე გამოხატულებაა. ძალადობის უამრავი ფაქტის მოწმე ვხვდებით პირად ცხოვრებაშიც – მაგალითად, ოჯახებში, სადაც ქალები და ბავშვები განიცდიან ხელყოფას.

ქალაქო როგორც კონტაქტი ან სტრუქტურა

უკანასკნელ წლებში ჩვენი წარმოდგენა ძალადობაზე საკმაოდ გაფართოვდა და მოიცვა მისი სხვა ფორმებიც – მართალია, ნაკლებ თვალსაჩინო, მაგრამ ასევე დამანგრეველი და ვინძლო უფრო ძნელად სამართავიც კი.

ბევრი თვლის, რომ აზრი არა აქვს ერთმანეთისაგან მკაფიოდ გაგმიჯნოთ ისეთი ქმედებები, როგორცაა, ერთი მხრივ, ხალხის განადგურება იარაღის გამოყენებით და, მეორე მხრივ, იმავეს გაკეთება საკვების ან სხვა სასიცოცხ-

ლო რესურსების მოკლებით. ყველა შემთხვევაში ერთი ჯგუფი თრგუნავს მეორეს. ეს შეიძლება კეთდებოდეს შეგნებულად ან, უბრალოდ, სხვა ჯგუფების მოთხოვნილებათა გაუთვალისწინებლობის გამო. არსებობს ამ გზით მოქმედი უამრავი **სისტემა და სტრუქტურა**.

საერთაშორისო საფინანსო სისტემების ზოგიერთ მხარეს ბევრი მიიჩნევს ძალადობრივ **სტრუქტურად**, რომელიც საშუალებას აძლევს ერების ერთ ჯგუფს გამიზნულად დათრგუნოს სხვა ჯგუფები. მაგალითად გამოგვადგება მრავალი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელთა წაქეზებითაც აფრიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის ღარიბი ქვეყნები სესხად იღებენ უზარმაზარ თანხებს. ეს ვალები და მათი დაფარვის პირობები, რომლებსაც ახლა საერთაშორისო სავალუტო ფონდი განსაზღვრავს, აიძულებს ბევრ ღარიბ ქვეყანას თავისი ეკონომიკა სწორედ ამ ვალებს მიუსადაგოს და არა ხალხის უპირველეს მოთხოვნილებებს. ასეთი პოლიტიკის მსხვერპლთა და დაზარალებულთა რაოდენობა ხშირად ომის დამანგრეველი შედეგების ტოლფასია. ამ მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს ის ფაქტი, რომ ჩრდილოეთის და სამხრეთის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ლიდერთა შორის ხდება გარიგებები ასეთი ვალების გასაზრდელად, რითაც ისინი ფინანსურ მოგებას იღებენ; მოსახლეობის უმრავლესობისათვის ამას მხოლოდ უბედურება მოაქვს. ომები ხშირად თავსმოსვეულია იმათ მიერ, ვინც მოგებას ნახულობს დესტრუქციულ გარემოში, მაგ., იარაღის მწარმოებლები, იარაღით მოვაჭრენი და სამხედრო მეთაურები. ისეთი სისტემების არსებობას, რომელთა მოქმედებაც განაპირობებს უთანასწორობის წარმოშობას ადამიანთა ჯგუფებს, თემებსა თუ ერებს შორის იმ დონემდე, რომ საფრთხე ექმნება მათ სიცოცხლესა და სასიცოცხლო გარემოს, ყველგან შედეგად **სტრუქტურული ანუ ინსტიტუციონალური ძალადობის წარმოქმნა** მოსდევს.

ბანკოები და ლიკვიდაცია ძალადობის კავშირში

არსებობს ძალადობის უფრო სიღრმისეული განხილვა. იგი შეეხება უხილავ, მენტალურ პროცესებს: გრძნობებს, განწყობებს და ღირებულებებს. თავისთავად ისინი არ წარმოადგენენ ძალადობას, მაგრამ შესაძლოა იქცნენ მის წყაროდ ანდაც უბრალოდ ხელი არ შეუშალონ ძალადობრივ ქცევას და ძალადობრივი სტრუქტურის გამოვლენას. სიძულვილი, შიში და უნდობლობა ის გრძნობებია, რომლებიც გვიბიძგებენ, ადამიანები უმდაბლეს და უმაღლეს კატეგორიებად დავყოთ რასის, სქესის, რელიგიის, ეთნიკური კუთვნილების, გონებრივი თუ ფიზიკური შესაძლებლობების, პოლიტიკური იდეოლოგიისა და სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე. ეს გრძნობები აქცევენ ადამიანთა გარკვეულ ჯგუფებს შეუწყნარებლად ერთ-ერთი ან ყველა ამ ნიშნით მათგან განსხვავებულ ადამიანთა მიმართ. თუკი არსებობს ასეთი განწყობა და მასთან ერთად გარკვეული არასწორი ინფორმაცია, ერთი ნაბიჯია რჩებათ იქამდე, რომ მათგან განსხვავებული ჯგუფის წარმომადგენლები საერთოდ აღარ ჩათვალონ ადამიანებად და, ამდენად, მონაწილეობა მიიღონ ასეთი ჯგუფების წინააღმდეგ განხორციელებულ ანტიჰუმანურ ქმედებებში ან მღუმარე მოწონებით შესვდნენ მსგავს აქციებს.

სქემა 1.3. წარმოგვიდგენს სამი ელემენტის (ქცევა, კონტექსტი, განწყობები) ურთიერთკავშირს. ძალადობრივი ქმედებების შესაჩერებლად მიმართული მუშაობა, რაც არ უნდა დიდ მნიშვნელობას ვანიჭებდეთ მას, მაინც საჭიროებს გარემო პირობების მართვის ღონისძიებებით შევსებას, რათა მიღწეულ იქნას რეალური ანუ „პოზიტიური“ მშვიდობა. „ნეგატიური“ მშვიდობა, ანუ ძალადობის აქტების არარსებობა, დიდხანს არ გაგრძელდება, თუ მუშაობა არ განხორციელდა სხვა მიმართულებითაც. პოზიტიური მშვიდობის დასამყარებლად აუცილებელია აქტივობა სამივე განზომილებით.

სქემა 1.3: ქცევა, კონტექსტი და განწყობა

პირდაპირი ფიზიკური კალაღობა: ქცევა
 • მოკვლა • ცემა • ღაწინება • წამება



ქორნალის მიხედვით JOURNAL OF PEACE RESEARCH, ტ. 27, №3, 1990

- მიზანშეწონილად მიგვაჩნია ძალადობის გაფართოებული გაგება, რადგან:
- იგი აჩვენებს, რომ ძალადობის აქტები და ომი უმრავლეს შემთხვევაში კონფლიქტის მხოლოდ მცირე ნაწილია.
 - იგი წარმოაჩენს ამ სამი განზომილების ურთიერთკავშირს: ერთი მიმართულებით ჩარევა გავლენას ახდენს სხვა მიმართულებებზეც.
 - იგი საშუალებას გვაძლევს გამოვაყალიბოთ ის ხალხი, ვინც აწყობს არეულობებს და ხეირობს ამით; ზოგჯერ მათ უწოდებენ „კონფლიქტის ანტრეპრენიორებს“; ეს ხალხი დაინტერესებულია ძალადობის გაგრძელებით.
 - იგი მიათითებს კონფლიქტის ტრანსფორმაციის საკვანძო მიმართულებებზე სიტუაციის კონტექსტისა და განწყობის მიხედვით.
- შეგიძლიათ დაასახელოთ ის ძალადობრივი სტრუქტურები და პოზიციები, რომლებიც ხელს უწყობენ

ძალადობის გაღრმავებას იმ კონფლიქტებში, რომლებთანაც თქვენ გიწვეთ მუშაობა?

➤ გაცნობიერებული გაქვთ, ეს ფაქტორები როგორ აფერხებენ რეალურ ცვლილებებსა და მოძრაობას პოზიტიური მშვიდობის გზაზე?

ძალადობა და ძალის არბამოყენება – არსებული მდგომარეობის შეცვლის გზები

სხვადასხვა გარემოში მომუშავე ადამიანებთან ჩვენი თანამშრომლობის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ არსებობს აზრთა დიდი სხვადასხვაობა მოცემული მდგომარეობის შესაცვლელად ძალის გამოყენების თუ მისი არ გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ. გაგაცნობთ ორ ძირითად თვალსაზრისს ამ საკითხზე.

- არიან ადამიანები, რომლებიც აღიარებენ სხვათა დამორჩი-

ლების იმულებითი, მათ შორის, ძალისმიერი ზომების აუცილებლობას, როცა სხვა ყველა საშუალება ამოწურულია. არსებობს მრავალი მოსაზრება იმის შესახებ, თუ საკუთრივ როლის შეიძლება იყოს გამართლებული ძალის გამოყენება და ამ პრობლემის გადასაჭრელად მუშავდება თეორიები სამართლიანი ომის შესახებ. მაგალითად, ბევრი მიიჩნევს, რომ უნდა გავამართლოთ 1939 – 45 წლების მეორე მსოფლიო ომი, როგორც პიტლერისა და ნაცისტური გერმანიის მიერ ებრაელებისა და სხვა ეთნიკური უმცირესობების მიმართ ჩატარებული მასშტაბური ძალადობის აღკვეთის საშუალება, მაგრამ დღეს, ბირთვული იარაღის ეპოქაში, ბირთვული კატასტროფის საშიშროების გათვალისწინებით, ზოგი მათგანი ალბათ განაცხადებდა, რომ უკვე აღარაა გამართლებული სრულმასშტაბიანი ომის წარმოება. სხვები მიიჩნევენ, რომ მიზანშეწონილია ძალის გამოყენება ავტორიტარული და რეპრესიული რეჟიმებისაგან ხალხის გამოსახსნელად, როცა ადგილი აქვს ადამიანთა წამებას, ზოცვას და მათი უფლებებისა და თავისუფლების სასტიკ შეზღუდვას. ამგვარ ფასეულობებზე დაფუძნებული სტრატეგია ნშირად თავის სამიზნედ მატერიალურ ინფრასტრუქტურას ირჩევს და ცდილობს არაფერი ევნოს იმ ხალხს, რომლის მხარდაჭერაც ესოდენ სჭირდება მას.

- **არიან ისეთი ადამიანებიც, ვინც თვლის, რომ ძალის გამოყენება არანაირ სიტუაციაში არ მოიქმნის სამართლიან შედეგს – შესაბამისად ძალისმიერი მიდგომა გაუმართლებლად მიიჩნევა. სინამდვილეში, არაძალადობრივ სტრატეგიას ახორციელებს, ერთი მხრივ, ის ხალხი, რომელიც უპირობოდ იზიარებს ამ პოზიციას და, მეორე მხრივ, ისინი, ვინც სასურველად მიიჩნევენ არაძალისმიერი მეთოდების**

გამოყენებას იმიტომ, რომ გარკვეულ სიტუაციაში უფრო წარმატების მომტანად ესახებათ.

დალაი ლამას მიმდევარ ტიბეტელ ლტოლვილთა ლიდერების ერთგულება ძალის არგამოყენების პრინციპისადმი არის მიზნის იმისა, რომ არ ხდება შეიარაღებული ამბოხება ჩინეთის მიერ ტიბეტის ოკუპაციის წინააღმდეგ; პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციამ ანალოგიურ სიტუაციაში შეიარაღებული ბრძოლა აირჩია.

ამტიური არაძალადობა

არსებობს სხვა მეთოდიც შუალედური ამ ორ ზემოხსენებულს შორის. მათთვის, ვინც აღიარებს, აქტიურ არაძალადობას, მისაღებია (და ზოგჯერ აუცილებელიც) ძალისმიერი და იძულებითი ზომები, თუმცა კი ერიდებიან ძალადობის გამოყენებას და სხვა ადამიანებისა და არსებული ურთიერთობებისთვის ზიანის მიყენებას. ამგვარი ძალით სიტუაციის შეცვლა საკმაოდ ძვირი ჯდება – როგორც პირდაპირი, ისე ფსიქოლოგიური აზრით. მაგალითად, განდის მოძრაობა სამხრეთ აფრიკასა და ინდოეთში და მოძრაობა ქალთა საარჩევნო უფლებებისათვის იყო აქტიური არაძალადობრივი და ეფექტური გზა პოზიტიური ცვლილებების განსახორციელებლად. აქტიური არაძალადობა ცდილობს კონფლიქტში მონაწილე მხარეებს, მათ შორის მათ ოპონენტებსაც, გაუღვივოს და გამოუღვიდოს ჰუმანურობის ელემენტარული განცდა. იგი ცდილობს გამოიწვიოს სამართლიანი ურთიერთობების დამყარების შესაძლებლობა და ამავე დროს შეაჩეროს ან თავიდან აიცილოს დესტრუქციული ქმედებები კონფლიქტის რომელიმე მონაწილის მხრიდან.

რეალურად, სოციალური ცვლილებებისათვის გამიზნული მოძრაობები იყენებს ორივე ტაქტიკის ნარევს – ძალადობრივსა და არაძალადობრივს. მეოცე საუკუნის დასასრულს გაჩნდა უამრავი მოძრაობა, რომლებიც, პრაგმატული თუ

სიტყვა წარმოთქმული განსახილველ ნაწარმს მისი რიგების სსსმარტოლოგი

- ... მე უშუალოდ შევეხები ძალადობის საკითხს. ის, რაც აქამდე ითქვა სასამართლოზე, ნაწილობრივ მართალია, ნაწილობრივ – არა. არ უარვყოფ, რომ დავგეგმე საბოტაჟი. მე ეს არც უპასუხისმგებლობის გამო გამიკეთებია და არც ძალადობის სიყვარულით. ეს ყველაფერი დავგეგმე იმ პოლიტიკური სიტუაციის მშვიდი და სალი განსჯის შემდეგ, რომელიც მრავალწლიანი ტირანის, ექსპლოატაციისა და თეთრკანიანთა მიერ ჩემი ხალხის ჩაგვრის შედეგად ჩამოყალიბდა.
- ...ვაღიარებ, რომ ვარ ერთი იმთავანი, ვინც მონაწილეობდა Umkhonto we Sizwe-ს შექმნაში და მნიშვნელოვან როლსაც ვასრულებდი მის საქმიანობაში ჩემს დაპატიმრებამდე – 1962 წლის აგვისტომდე.
- ...მე და იმ ადამიანებმა, ვინც ეს ორგანიზაცია ჩამოვაყალიბეთ, ორი რამის გამო გავაკეთეთ ეს; ჯერ ერთი, ვფიქრობდით, რომ მთავრობის პოლიტიკა შედეგად აუცილებლად აფრიკელი ხალხის ამბონს გამოიწვევდა; თუ ვერ მოხერხდებოდა ჩვენი ხალხის გრძნობების მართვა და გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევა, მივიღებდით ტერორიზმის აფეთქებას, რომელიც წარმოშობდა ისეთი სიმძლავრის სიძულვილსა და მტრობას ამ ქვეყნის სხვადასხვა რასას შორის, ვერანაირი ომი რომ ვერ გამოიწვევდა. მეორეც, ჩვენ ვხედავდით, რომ ძალისმიერი აქტების გარდა აფრიკელ ხალხს სხვა გზა აღარ დარჩენოდა თეთრკანიანთა ბატონობის სისტემის წინააღმდეგ ბრძოლაში წარმატების მისაღწევად. ამ სისტემასთან დაპირისპირების ყველა კანონიერი გზა მოჭრილ იქნა კანონმდებლობის მიერ და ჩვენ ისეთი არჩევანის წინაშე აღმოვჩნდით, რომ ან უნდა შევრიგებოდით დამცირებულ მდგომარეობას ან დავპირისპირებოდით მთავრობას. ჩვენ გადავწყვიტეთ დავპირისპირებოდით კანონს. თავდაპირველად კანონი იმ ფორმით დავარღვიეთ, რომელიც არ ქმნიდა ძალადობის საშიშროებას; როდესაც მოქმედების ეს ფორმა კანონმდებლობით იქნა აკრძალული და როცა მთავრობამ დაიწყო ძალის დემონსტრირება ოპოზიციის პოლიტიკური განადგურების მიზნით, მხოლოდ ამის შემდეგ გადავწყვიტეთ ძალადობისთვის ძალადობითვე გვეპასუხა.

პრინციპული მოსაზრებების გამო, იყენებდნენ აქტიური არაძალადობის მეთოდს – მაგალითად, ფილიპინებისა და აღმოსავლეთ ევროპის სახალხო რევოლუციები, ანტიბირთვული და გარემოს დამცავი მოძრაობები დასავლეთ ევროპაში, გაერთიანებული დემოკრატიული ფრონტი სამხრეთ აფრიკაში (იხ. ნაწყვეტი ზემოთ) და სხვა მრავალი.

მშვიდობა რომორც პროცესი

მშვიდობა არის პროცესი: მრავალმხრივი და დაუსრულებელი ბრძოლა ძალადობის წინააღმდეგ.

ისინი, ვინც აღიარებენ იძულებითი (მათ შორის ძალისმიერი) ზომების აუცილებლობას, ისინიც, ვისთვისაც სრულიად მისაღებია ძალისმიერი ზომები და ბევრი სხვა, ვის შეხედულებებსაც შუალედური პოზიცია უკავია ამ ორს შორის, გეტყვიან, რომ მათ სურთ მშვიდობა. მაგრამ მშვიდობა მათ სრულიად სხვადასხვაგვარად წარმოუდგენიათ.

მყარი მშვიდობა შედარებით იშვიათი მოვლენაა. მთელი რიგი ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ფაქ-

**თანდათან,
მაგრამ კვერცხი
გაივლის
პიროპია**

ტორების გამო ბევრი საზოგადოებისა და თემისათვის უცხოა მშვიდობა. მშვიდობას ხშირად ადარებენ ჯანმრთელობას – მას ამჩნევენ და აფასებენ მაშინ, როცა კარგავენ. ჯანმრთელობის მსგავსად ის ყველასათვის ხელმისაწვდომია, ოღონდ ჯანმრთელობისგან განსხვავებით, მასზე გაუთავებლად კამათობენ: ადამიანები ვერ თანხმდებიან იმაზე, თუ რას წარმოადგენს მშვიდობიანი საზოგადოება.

ბევრს მიაჩნია, რომ მშვიდობა ომის არარსებობაა. ეს, რა თქმა უნდა, ძალზე მნიშვნელოვანი აზრია, მაგრამ ზოგი თვლის, რომ იგი მხოლოდ პირველი ნაბიჯია იდეალისაკენ მიმავალ გზაზე და ხშირად წარმოუდგენიათ როგორც ურთიერთობები ადამიანებს, ჯგუფებსა და ორგანიზაციებს შორის, რომლებიც ღიდად აფასებენ მრავალფეროვნებას და ხელს უწყობენ ადამიანთა პოტენციალის სრულ რეალიზებას. თალიბანის მიერ კონტროლირებად („მშვიდობიან“) ავღანეთში მცხოვრები ქალები, მოკლებულნი განათლების მიღებისა და მუშაობის საშუალებას, ადვილად ჩაწვდებოდნენ ამ სხვაობას.

ომის არსებობას ხშირად განსაზღვრავენ როგორც ნეგატიურ („ცივ“) მშვიდობას და განასხვავებენ პოზიტიური („თბილი“) მშვიდობისაგან, რომელიც მოიცავს ჟამკეთილი საზოგადოების ყვე-


ლა ასპექტს. ასეთ საზოგადოებაში ცხოვრებას ნებისმიერი ჩვენგანი ისურვებდა: უზრუნველყოფილი საყოველთაო უფლებები, ეკონომიკური კეთილდღეობა, ეკოლოგიური წონასწორობა და სხვა ძირითადი ღირებულებანი.

ყოველთვის მოიძებნება ისეთი ხალხი, ვისაც მშვიდობა აშინებს; მათ აქვთ კიდეც ამის საფუძველი: ჩადენილი დანაშაულის გამო ისინი დაკარგავენ ქონებას, სტატუსსა და ძალაუფლებას. ისეთი მშვიდობის აღსაწერად, როცა კონფლიქტები მაინც ხდება, მაგრამ ძალადობის გარეშე, აფრიკაში Oxfam-ის (საერთაშორისო განვითარებისა და დახმარების ორგანიზაცია გაერთიანებულ სამეფოში) ოფისმა შემოიტანა „დინამიური სტაბილურობის“ ცნება.

რას ნიშნავს მშვიდობის შენევა?

მშვიდობის დასამყარებელ ღონისძიებებს შორის გაერთიანებული ერების ორგანიზაცია რამდენიმე სახის ჩარევას ცნობს. **ჰუმანიტარული შემწეობის და საგანგებო დახმარების** გარდა, რომელთა მიზანია საშიშროების წინაშე მყოფი მოსახლეობის გადარჩენა, არსებობს შემდეგი ტიპის ღონისძიებები:

- **მშვიდობის ყოფა:** ღონისძიება ითვალისწინებს ურთიერთმტრული ქმედების აღკვეთას და შეთანხმების მიღწევას დიპლომატიური, პოლიტიკური და, თუ საჭიროა, ძალისმიერი გზით.
- **მშვიდობის შენარჩუნება:** შეთანხმების მონიტორინგი და მისი შესრულების იძულება (საჭიროების შემთხვევაში ძალის გამოყენებითაც). ეს ღონისძიება გულისხმობს შეთანხმებათა შესრულების შემოწმებას და თვალმდევობას ნდობის აღსადგენ აქტივობებზე.
- **მშვიდობის შენევა:** ისეთი პროგრამის განხორციელება, რომელიც ითვალისწინებს კონფლიქტის გამომწვევი წინააღმდეგობების მოგვარებას




და წარსული წყენის შერბილებას გრძელვადიანი სტაბილურობისა და სამართლიანობის დამყარების მიზნით.

მშვიდობის შენება უშუალოდ მიმართულია არა იმდენად კონფლიქტის მიმდინარეობაზე ზეგავლენის მოსახდენად,

რამდენადაც იმ გარემოებებსა და განწყობებზე ზემოქმედების მოსახდენად, რომლებმაც გამოიწვიეს ეს კონფლიქტი. ესენია: დასაქმების უთანასწორო პირობები, დისკრიმინაცია, წარსულ დანაშაულზე პასუხისმგებლობის არიდება, დანაშაულის მიუტევლობა, ცრურწმენა,

**მშვიდობა
ყველას გულშია.
ბუდიზმი**



☉ თოქს თუ სხვადასხვა მხარეს ექაჩები-ან, ტვირთი ადგილიდან არ დაიძვრება ბემბე, ცენტრალური აზრიკა

უნდობლობა, შიში და მტრობა სხვადასხვა ჯგუფს შორის. ამდენად, ეს გახლავთ ერთი შეხედვით საკმაოდ შეუმჩნეველი საქმიანობა, რომელიც თეორიულად მაინც, შეიძლება გაგრძელდეს კონფლიქტის ყველა სტადიაზე. მისი ინტენსივობა მატულობს კონფლიქტის ან ბოლო სტადიაზე, ძალადობის აქტების შეჩერებისა თუ შესუსტების შემდეგ, ან საწყის ეტაპზე, ღია ძალისმიერი ქმედებების დაწყებამდე. ტერმინს „მშვიდობის შენება“ ხშირად იყენებენ ისეთი ღონისძიებების აღსანიშნად, რომელთაც შედეგად მოაქვთ სიტუაციის გაუმჯობესება. ამ დროს დიდი ყურადღება ექცევა იმას, თუ როგორ მიმდინარეობს მოვლენები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი უკავშირდება როგორც პროცესს, ისევე მიმდინარე მუშაობას და მის შედეგებს.

მაგალითად, ქაბულში ომის დროს ჩანგრეული ხიდის ხელახლა აშენება შეიძლება შეფასდეს როგორც აღდგენითი სამუშაო, მაგრამ გაერთიანებული ერების წარმომადგენლობამ, რომელიც ჩართული იყო ამ პროცესში, ხელიდან არ გაუშვა შესაძლებლობა და მიზანმიმართულად გამოიყენა მშვიდობის შენების სიტუაცია, რათა კონფლიქტის ყოფილი მონაწილეები ერთობლივ საქმიანობაში ჩაება (დაგეგმვა, ფიზიკური შრომა, სამომავლოდ – ხიდის მოვლა და მეთვალყურეობა).

მშვიდობა აქაა და ახლა - დე. ინჟინერის ჩემით

თუ გსურთ ზეგავლენა მოახდინოთ კონფლიქტზე და თქვენს თემში მშვიდობა და სოციალური სამართლიანობა დაამკვიდროთ, ერთი და იმავე პოზიციიდან უნდა შეაფასოთ თქვენთან ერთად მომუშავე ჯგუფები და ორგანიზაციები და მათი მუშაობა. ხედავთ ადამიანებს, რომლებიც ისწრაფვიან მშვიდობიანი თანამშრომლობისათვის? მაშინ განაგრძეთ დაკვირვება. თუ ამჯერად მათში საპირისპირო თვისებებს აღმოაჩენთ (უპასუხისმგებლო ხელმძღვანელობა, უკა-

ნონო და არათანმიმდევრული პროცედურები, მეტისმეტი ზრუნვა საკუთარი იმიჯის შექმნაზე), მოსალოდნელია, რომ შემდგომში ეს ტენდენციები კიდევ უფრო გაძლიერდეს.

- მიუკერძოებლად დააკვირდით თქვენს ჯგუფს ან ორგანიზაციას. რას ხედავთ?
- ხედავთ ადამიანებს, ვისაც შესწევს ძალა, უნარი და ფლობს სათანადო თვისებებს საიმისოდ, რომ მშვიდობისა და სამართლიანობის დასამყარებლად იღვაწოს?
- ამჩნევთ დაბრკოლებებს ჯგუფის მუშაობის სტრატეგიაში?
- როგორ ფიქრობთ, თქვენი ორგანიზაცია უწყობს ხელს თქვენს თემში, საზოგადოებაში ან სახელმწიფოში ცვლილებების სტიმულირებას?

ბევრის გაკეთება შეიძლება, თუ გაქვთ სურვილი რამე შეცვალოთ. უთუოდ მოახდენთ ზეგავლენას კონფლიქტზე და გადადგამთ ნაბიჯს მშვიდობისა და სამართლიანობისაკენ, თუ მუდამ გემასსოვრებათ შემდეგი: როგორ აკეთებთ, არანაკლებ მნიშვნელოვანია იმაზე, თუ რას აკეთებთ. როგორც განდი იტყოდა: „ჩვენ უნდა ვიყოთ ის ცვლილებება, რისი ნახვაც გვსურს სამყაროში“.

როგორ ჯობს დანახვა?

☉ შეჩერდი: „დაფიქრდი, ვიდრე რაიმეს მოიმოქმედებდე“.

ეს კონფლიქტზე მუშაობის უმთავრესი პრინციპია – თუ გარემოება იძლევა ამის საშუალებას. გააანალიზეთ სიტუაცია, ვიდრე რაიმეს კეთებას შეუდგებოდეთ. თუ განიზრახავთ კონფლიქტში ჩარევასა და მასზე სასიკეთო ზეგავლენის მოხდენას, ჯერ სიტუაცია გამოიკვლიეთ სხვადასხვა კუთხითა და თვალსაზრისით.



მიმოიხედეთ: „მოაწესრიგეთ საკუთარი სახლი“

ყურადღებით დააკვირდით საკუთარ თავსა და თქვენს ორგანიზაციას და დაფიქრდით, ხომ არ აჯობებდა რაიმე შეგეცვალათ თქვენთან, სანამ კონფლიქტში ჩაეროდით! თუ გსურთ ზეგავლენა იქონიოთ საზოგადოების დიდ ნაწილზე, ამ საკითხს მნიშვნელოვანი ყურადღება და დიდი დრო უნდა დაუთმოთ. ამისთვის შესაძლოა მე-5 თავში აღწერილი მეთოდიკა გამოგადგეთ.



მოიხმინეთ: „რას ამბობენ სხვები და რას გეუბნებათ თქვენი საკუთარი ინტუიცია“.

შეეცადეთ წარმოიდგინოთ, რა შეიძლება მოხდეს მომავალში: სამი, ექვსი თვის მანძილზე, ან უფრო შორეულ მყოფადში. უფრო გაგიადვილებათ ეფექტური ღონისძიების გატარება და ძალადობის თავიდან აცილებასაც მოახერხებთ, თუკი წინასწარ განვკვრეთ მოსალოდნელ დაბრკოლებებს და შესაძლო ცვლილებებს.



შეუღებითი საქმის: „დაიწყეთ იმ პუნქტიდან, სადაც იმყოფებით და იტვირთეთ რაიმე ახლის კეთება“

თქვენი მიმდინარე საქმიანობა შეიძლება გახდეს ათვლის წერტილი მშვიდობისა და სამართლიანობის დასამკვიდრებლად გატარებული ღონისძიებებისათვის. არ არის საჭირო ახალი იარაღების და კატეგორიების გამოგონება, მეტიც, ხშირად ჯობს, ეს საერთოდ არ გააკეთოთ. გაითვალისწინეთ ისიც, რომ თქვენს ირგვლივ შეიძლება აღმოჩნდეს ბევრი მოკავშირე და დამხმარე,

რომლებიც შეგეშველებიან ამ საქმიანობაში, თუ, რა თქმა უნდა, დაინახავთ მათში მოკავშირეებს და არა მეტოქეებს ან საქმეში ხელისშემშლელთ.



შემდეგ თავში აღწერილია კონფლიქტების ანალიზის გარკვეული მეთოდები. გირჩევთ, ზოგიერთი მათგანის გამოყენება ცადოთ და ამის შემდეგ შეუდგეთ სტრატეგიის შემუშავებისა და პრაქტიკული მუშაობის მეთოდების ვაცნობას.

შენიშვნები

1. კრის მითჩელი, კონფლიქტის სტრუქტურა (Chris Mitchell, *The Structure of International Conflict*. Macmillan, London, 1981, chapter 1), თავი I.
2. დინ ჩოსვოლდი, კონფლიქტის პოზიტიური მართვა: მრავალფეროვნების შენარჩუნება და ერთიანობის შექმნა (Dean Tjosvold, *The Conflict-Positive Organisation: Stimulate Diversity and Create Unity*, Addison Wesley, 1992).
3. ამ სქემას პირველად გავაცანით დოქტორ ჰონკია ასეფასთან მუშაობისას, რომელიც ამჟამად მოლვაწუბს ისთერნ მენონიტის უნივერსიტეტში (ჰარისონ-ბურგი, ვირჯინია, აშშ).
4. ეს სია ეფუძნება ჰუგო ვან დერ მერვის „კონფლიქტების თეორიებს“ (Hugo van der Merwe, *Conflict Theories*, Johannesburg, South Africa, 1997) და მარკ როსის სტატიას „მშვიდობის დამყარებისათვის საჭირო პირობების შექმნა: ეთნიკური კონფლიქტების გადაჭრის მეთოდები“ (Marc Ross, *Creating the conditions for peacemaking: theories of practice in ethnic conflict resolution*, *Ethnic and Racial Studies*, 2000).
5. აფრიკის ნაციონალური კონგრესის ვებ გვერდი: www.anc.org.za/ancdocs/history/.

2 - კონფლიქტის ანალიზის მეთოდები

მოკლე მიმოხილვა ■ ამ თავში ჯერ განვიხილავთ კონფლიქტის ანალიზის მიზნებს – ანალიზი შეიძლება ნიშნავდეს როგორც კონფლიქტში ჩარევას, ასევე სამზადისს აქტიური ქმედებებისათვის. შემდეგ წარმოგიდგენთ კონფლიქტის ანალიზის ცხრა სხვადასხვა მეთოდს, რაც შესაძლოა დაგეხმაროთ:

- მეტი ინფორმაციის მიღებაში კონფლიქტის მიმდინარეობის შესახებ.
- იმ სფეროთა გამოვლენაში, რომელთა შესახებაც მეტ ცოდნას საჭიროებთ.
- იმის გარკვევაში, თუ რა გზებით შესძლებთ სიტუაციაზე ზეგავლენის მოხდენას.

შესავალი

იმ ხალხთან თანამშრომლობამ, რომლებიც ჩართულნი არიან პოლიტიკური და სოციალური კონფლიქტების მოგვარებაში, იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ სიტუაციის დინამიკის, არსებული ურთიერთგავმირებისა და მათი საკვანძო მომენტების გაცნობიერება დიდად ეხმარება მათ, უკეთ დაგეგმონ და განახორციელონ საკუთარი სტრატეგია და ქმედებანი. ამ საკითხებში გარკვევას ისინი ორი გზით ახერხებენ:

- კონფლიქტის დეტალური და მრავალმხრივი გაანალიზებით
- კონფლიქტთან დაკავშირებული სპეციფიკური მომენტებისა და პრობლემების კვლევით.

ამ თავში აღვწერთ მთელ რიგ პრაქტიკულ მეთოდებსა და ტექნიკას, რომელიც ამ სფეროში მომუშავე ადამიანებს, მათივე აზრით, დიდად ეხმარება კონფლიქტური სიტუაციის გაანალიზებისას და წარმოგიდგენთ საილუსტრაციო მა-

სალას. ამ მეთოდებსა და ტექნიკას იყენებდნენ როგორც ინდივიდუალურად მომუშავე ადამიანები, ასევე ჯგუფები, რომლებიც ცდილობდნენ კონფლიქტზე ზეგავლენას და აგრეთვე დაპირისპირებულ მხარეთა ჯგუფები, რომლებიც ესწრაფვოდნენ ურთიერთგაგების მიღწევას. თავადაც სცადეთ ამ ტექნიკისა და მეთოდების გამოყენება. ჩვენ ვნახეთ, რომ ხშირად სწორედ ამ მეთოდების პრაქტიკული გამოყენების შემდეგ აცნობიერებენ ადამიანები სრულად მათ სარგებლიანობას.

მესამე თავში განვიხილავთ ჩატარებული ანალიზის შედეგად გამოვლენილ ზოგიერთ საკვანძო საკითხსა და პრობლემას. ვინდლო ისინი აქტუალური იყოს თქვენს სიტუაციაშიც. თუმცა მოსალოდნელია, რომ თქვენი კონკრეტული სიტუაციის გაანალიზებისას სხვა საკითხებმაც იჩინოს თავი.

რას ნიშნავს კონფლიქტის ანალიზი?

შესაძლოა ბევრ მათგანს, ვინც ჩართულია კონფლიქტის მოგვარების პრაქტიკულ საქმიანობაში, მოეჩვენოს, რომ კონფლიქტის ანალიზის ცნებას ცოტა აქვს საერთო მათ პირად გამოცდილებასთან. ხშირად მიიჩნევენ, რომ ის უფრო მეტად უნდა დაეფუძნოს ობიექტურ და ნეიტრალურ მიდგომას, ვიდრე პირად გამოცდილებასა და მასთან დაკავშირებულ ძლიერ განცდებს. ჩვენ ამ საკითხს ასე არ განვიხილავთ. მიგვაჩნია, რომ კონფლიქტური ანალიზი არის კონფლიქტური რეალობის კვლევის და გაცნობიერების პრაქტიკული პროცესი, რომელიც სხვადასხვა თვალსაზრისის გათვალისწინებით ხორციელდება. პრობლემათა არსში გარკვევა ის ბაზისია, რო-

● **ირგვლივ შეიძლება ბევრი ფუტკარი ტრიალებდეს, მაგრამ შენ უნდა გაიგო, რომელმა ჩაგასო ნესტარი. მაღაპი**

მელსაც უნდა დაემყაროს სტრატეგიის შემუშავებისა და ღონისძიებათა დაგეგმვის პროცესი.

კონფლიქტის ანალიზი შეიძლება განხორციელდეს გარკვეული რაოდენობის მარტივი, პრაქტიკული და ადვილად ადაპტირებადი მეთოდებითა და ტექნიკით. წარმოდგენილ მეთოდთაგან ზოგიერთი შემუშავებულია ჩვენსა და ჩვენი კოლეგების მიერ, დანარჩენს სხვა წყაროებს დავესესხეთ.

ამ თავში აღწერილი მეთოდები და ტექნიკა არ არის ხისტი პროცედურები. საჭიროების შემთხვევაში შეგიძლიათ თამამად მიუსადაგოთ იმ კონკრეტულ გარემოებებს, სადაც ანალიზს ატარებთ. თუ ჩვენ მიერ შემოთავაზებული ტექნიკა არაეფექტური აღმოჩნდება თქვენს სიტუაციაში, ნუ გამოიყენებთ მას. თქვენი საქმიანობისათვის მეტად მნიშვნელოვანია მაქსიმალურად შემოქმედებითი მიდგომა.

რისთვის გეგმავთ კონფლიქტის ანალიზს?

- რათა უკეთ გავიანროთ როგორც არსებული სიტუაციის ფონი და მისი ისტორია, ასევე მიმდინარე მოვლენები.
- რათა გამოვავლინოთ კონფლიქტის ყველა რელევანტური მხარე და არა მხოლოდ მისი ძირითადი და აშკარად გამოხატული სუბიექტები.
- რათა გავარკვიოთ ამ ჯგუფების შეხედულებები და მათი ურთიერთდამოკიდებულება.
- რათა დავადგინოთ კონფლიქტის გამომწვევი ფაქტორები და ტენდენციები.
- რათა ვისწავლოთ როგორც ჩვენს შეცდომებზე, ისე წარმატებებზე.

კონფლიქტის ანალიზი არ არის ერთჯერადი ქმედება. ის უნდა იყოს მოვლენათა განვითარების სინქრონული პროცესი; ეს საშუალებას მოგცემთ შეუსაბამოთ თქვენი საქმიანობა ცვალებად ფაქტორებს, გარემოებებსა და მოვლენათა დინამიკას.

კონფლიქტური სიტუაციების ანალიზის სხვადასხვა ტექნიკა

ჩვენ მიერ შემოთავაზებული კონფლიქტის ანალიზის მეთოდები და ტექნიკა, შესაძლოა, ნაწილობრივ ცნობილიც იყოს თქვენთვის სხვა წყაროებიდან. მაგრამ ადვილად შენიშნავთ, რომ ჩვენ წარმოგიდგენთ მათ ადაპტირებულ ვარიანტებსა და ახლებურ გამოყენებას. დანარჩენი მეთოდები შეიძლება უცნობი იყოს, მაგრამ ყველა მათგანი მუდმივად და წარმატებით გამოიყენება ჩვენს კურსებზე და პროგრამებში იმ ადამიანთა მიერ, ვინც მონაწილეობს ყოფილან სხვადასხვა ტიპის კონფლიქტური სიტუაციისა. ხშირად ეს ჯგუფები ამ მეთოდებს კონკრეტულ საჭიროებებს უსადაგებენ. მოყვანილი მაგალითები ეფუძნება იმ ადამიანთა რეალურ გამოცდილებას, რომლებიც მთელს მსოფლიოში იყენებენ ამ მეთოდებს და საჭიროებისამებრ ახლენდნენ მათ ადაპტაციას. აქედან გამომდინარე, ყოველი მაგალითი ასახავს მათზე მომუშავეთა პირად გამოცდილებას.

ქვემოთ აღწერთ კონფლიქტის ანალიზის ცხრა მეთოდს და წარმოგიდგენთ კონკრეტულ შემთხვევებში მათი გამოყენების ილუსტრაციებს:

- **კონფლიქტის სტადიები**
- **ღრმითი წრფივები**
- **კონფლიქტის კარტოგრაფია**
- **სამკუთხედი – ABC (Attitude, Behaviour, Context – განწყობა, ქცევა, კონტექსტი)**
- **„ხახვი“ („ღვეწილი“)**
- **კონფლიქტის ხე**
- **კალთა ველის ანალიზი**
- **სვეტები**
- **პირამიდა**

ამ მეთოდების გამოყენების რიგითობა შეიძლება შეიცვალოს გასაანალიზებელი სიტუაციის მიხედვით. ხშირად უმჯობესია, ისინი ერთობლივად გამოვიყენოთ, როცა ერთი მეთოდი დროულად გამო-

ავლენს გარკვეულ ფაქტორებს ან საკვანძო საკითხებს, რომელთა შემდგომი გაანალიზება უკვე სხვა მეთოდებით შეიძლება. განსოვდეთ, რომ ყოველი მოყვანილი მაგალითი ისე ასახავს მოვლენებს, როგორც ეს მისმა ავტორებმა აღიქვეს. არ უნდა მიიჩნიოთ ისინი ერთადერთი „სწორი“ ანალიზის ნიმუშად. თქვენი კოლეგების ან თქვენ მიერ ჩატარებული ანალიზი დაეფუძნება პირად გამოცდილებას, აღქმას და ღირებულებებს და ამდენად, შესაძლოა საკმაოდ განსხვავებულიც იყოს. ჩვენ არა გვაქვს იმის პრეტენზია, რომ წარმოდგენილი მეთოდები მკაცრად მეცნიერულია, მაგრამ ისინი ნამდვილად გვიხსნიან გზას გაზრებული და ეფექტური ქმედებებისაკენ.

მეთოდთა ავანტაჟის შესაძლებლობა

ეს მეთოდები ეფექტურად იქნა გამოყენებული ორივე სქესის და საკმაოდ განსხვავებული სოციალური სტატუსისა თუ განათლების მქონე მუშაკთა მიერ. ისინი იყენებდნენ ფანქარს/ მარკერს და ქაღალდის ფურცელს, ცარცსა და დაფას, ან უბრალო ჯოხით გამოჰყავდათ ნიშნები მიწაზე, იყენებდნენ სიტყვებს, სიმბოლოებსა და სხვადასხვა საგანს ხალხის, მოვლენებისა თუ იდეების აღსანიშნავად. გირჩევთ, თუ საჭიროდ და აუცილებლად ჩათვლით, მიუსადაგოთ ეს ტექნიკა იმ სიტუაციას, რომლის მართვასაც აპირებთ. ჩვენ დიდი სიხარულით გავცნობით თქვენ მიერ შემოთავაზებულ ადაპტაციის ფორმებს. მოხარული ვიქნებით, თუ გაგვიზიარებთ ნებისმიერ მოსაზრებას ამ მეთოდების უფრო ეფექტურად გამოყენების თაობაზე; შევეცდებით ისინი სხვებსაც გავაცნოთ.

თანამონაწილეობა

ეს მეთოდები დაეხმარება სხვადასხვა ჯგუფს, შეიმუშავონ ერთიანი თვალსაზრისი კონკრეტული სიტუაციის შეფასებისას. ეს განსაკუთრებით მიზანშეწონილია მაშინ, როცა ანალიზი ტარდება გარკვეული საქმიანობის დაწყების მიზნით. ამ მეთოდებით ერთობლივი მუშა-

ობის დროს ორგანიზაციის ან ჯგუფის ყოველი წევრი ხედავს, როგორ ხდება სიტუაციის შეფასება ჯგუფის, როგორც მთლიანის, პოზიციიდან მისი წევრების მიერ ამ სიტუაციის კოლექტიური აღქმის საფუძველზე. თუ ჯგუფი დაკომპლექტებულია კონფლიქტის მონაწილე ორივე მხარის წარმომადგენელთაგან, მაშინ ანალიზი დაეხმარებათ, უკეთ ჩაწვდნენ ერთმანეთის შეხედულებებს და პატივისცემით მოეკიდონ მათ; ეს ხელს შეუწყობს უკეთ გაანალიზონ მიმდინარე მოვლენები.

პნაბი

ანალიზის ეს მეთოდები თარგმნილია ჩვენი კოლეგების მიერ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, ასე რომ, მათ შეიძლება გაეცნოთ ფრანგულ, ესპანურ, რუსულ, კხმერის, ფარსის, სომალის და სხვა ენებზე (დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ RTC-ს).

კონფლიქტის სტადიები

დროთა განმავლობაში კონფლიქტის მიმდინარეობა იცვლება და ის გაივლის აქტიურობის, ინტენსივობის, დაძაბულობისა და ძალადობის სხვადასხვა სტადიას. ამ სტადიების გამოყოფითა და სხვა მეთოდების მეშვეობით შესაძლებელი ხდება კონფლიქტის ყოველი სტადიისათვის დამახასიათებელი მოვლენებისა და მათი დინამიკის გაანალიზება.

ძირითადი ანალიზი მოიცავს ხუთ სხვადასხვა სტადიას, რომელთა თანამიმდევრობა, როგორც წესი, შეესაბამება ქვემოთ წარმოდგენილ რიგს (თუმცა, განსაკუთრებულ სიტუაციაში შესაძლებელია შეგვხვდეს მისგან განსხვავებული ვარიანტებიც) და ზოგჯერ შეიძლება ციკლურადაც განვითარდეს. ეს სტადიებია:

- **წინაპროვლიქტური სიტუაცია:** ეს ის პერიოდია, როცა, ორ ან მეტ მხარეს შორის არსებობს მიზანთა ისეთი შეუთავსებლობა, რომელმაც შეიძლება ღია დაპირისპირებამდე

კონფლიქტის

სტადიები

რა არის ეს?

➤ ეს არის გრაფიკი, რომელიც გვიჩვენებს კონფლიქტის ინტენსივობის ზრდას და შემცირებას დროის კონკრეტულ მონაკვეთებში **მიზანი**

➤ კონფლიქტის ესკალაციისა და დეესკალაციის ეტაპებისა და ციკლების ჩვენება.

➤ იმის გარკვევა, თუ როგორია ამჟამინდელი ვითარება.

➤ ესკალაციის შესაძლებელი ფორმის წინასწარ განჭვრეტა მისი თავიდან აცილების მიზნით.

➤ დროის იმ მონაკვეთის გამოვლენა, რომელიც შემდგომ სხვა მეთოდებით უნდა განალიზდეს.

როდის გამოვიყენო

➤ ანალიზის საწყის ეტაპზე კონფლიქტის რაგვარობის დასადგენად.

➤ შემდგომ სტრატეგიის შესამუშავებლად.

პარანანტი

➤ კონფლიქტის სტადიების ანალიზი კონფლიქტში ჩართული ქვეყნის სხვადასხვა მხარისა ან მონაწილის პოზიციების გათვალისწინებით.

➤ ცეცხლთან ანალოგია, პარალელური ამ სტადიებსა და ცეცხლის სიძლიერის გაზრდა-შემცირებას შორის (იხ. ნიკ ფაინის და ფიონა მაკბეტის „ცეცხლთან თამაში“ – დაწვრ. მე-10 თავში)

**როსალაა ჩიჩა (გულუ, უბანდა) -
თამის ნაპრაპისათვის კონფლიქტის ანალიზზე გაპარტული სემინარის შედეგ**

■ ჩემი აზრით, ჩატარებული ანალიზის მთავარი შედეგი ისაა, რომ მან გააერთიანა ადამიანები. ყველამ დაინახა, რომ ყოველი მათგანი ზარალდება ამ კონფლიქტით: არა აქვს მნიშვნელობა, რომელ მხარეს დგას: აჯანყებულებს თანაუგრძნობს თუ მთავრობას, რომელ რელიგიურ აღმსარებლობას ან გაერთიანებას მიაკუთვნებს თავს; ყველა ერთნაირად ზარალდება. ასე რომ, მათ აღარა აქვთ საფუძველი იფიქრონ, თითქოს რომელიმე მხარეზე ყოფნით რამეს მოიგებენ, რადგან ამ ომში არ არიან გამარჯვებულები. ყველაზე მნიშვნელოვანი სწორედ ამის გაცნობიერება იყო.

მიგვიყვანოს. გარეშე თვალისათვის კონფლიქტი შეუმჩნეველია, მაგრამ, სავარაუდოა, რომ ერთმა ან მეტმა მონაწილემ მხარემ იცოდეს მოსალოდნელი კონფრონტაციის შესახებ. ამ ეტაპზე მხარეთა შორის ურთიერთობა დაძაბულია და/ან გაურბიან ერთმანეთთან კონტაქტს.



- **კონფრონტაცია:** ამ ეტაპზე ჩნდება ღია დაპირისპირება. თუ მხოლოდ ერთი მხარე აცნობიერებს პრობლემის არსებობას, მაშინ მისმა მხარდამჭერებმა შეიძლება წამოიწყონ დემონსტრაციებისა და სხვა კონფრონტაციულ აქტივობათა ორგანიზება. გამორიცხვული არ არის მხარეთა შორის ეპიზოდური შეხლა-შემოსლა და სხვა შედარებით მცირემასშტაბიანი ძალადობის გამოვლინებები. დაპირისპირებული მხარეები შეეცდებიან ძალთა მობილიზებას და მოკავშირეთა ძებნას კონფრონტაციისა და ძალადობის გამწვავების მოლოდინში. ურთიერთობა მხარეთა შორის უკიდურესად იძაბება, რაც ამძაფრებს პოლარიზაციას მათ მხარდამჭერებში.

- **კრიზისი:** ეს არის კონფლიქტის კულმინაცია, როცა დაძაბულობა და/ან ძალადობა განსაკუთრებით მწვავე ფორმას იღებს. ფართომასშტაბიან კონფლიქტში ეს ნიშნავს ომს და მსხვერპლს დაპირისპირებულ მხარეებში. ნორმალური ურთიერთობები მხარეთა შორის სავარაუდოდ შეწყ-

ვეტილია. საჯარო განცხადებები, როგორც წესი, გამოიხატება ბრალდებებში მოწინააღმდეგე მხარის მიმართ.

- **დასასრული:** კრიზისი, ასე თუ ისე, საბოლოოდ მაინც დასრულდება. ერთმა მხარემ შეიძლება დაამარცხოს მეორე მხარე (სხვა მხარეები), ან გამოაცხადოს ცეცხლის შეწყვეტა (თუ საქმე ომს ეხება). ერთი მხარე შეიძლება დანებდეს ან დაემორჩილოს მეორის მოთხოვნებს. მხარეები იწყებენ მოლაპარაკებებს მედიატორის მეშვეობით ან მის გარეშე. ხელისუფლებას ან რომელიმე მათზე ძლიერ მესამე მხარეს შეუძლია აიძულოს ისინი, შეწყვიტონ ბრძოლა. ნებისმიერ შემთხვევაში, ამ ეტაპებზე კლებულობს დაძაბულობის, კონფრონტაციისა და ძალადობის მასშტაბები და ჩნდება სიტუაციის დარეგულირების შესაძლებლობა.

- **პოსტკონფლიქტური სიტუაცია:** ბოლოს, სიტუაცია განიმუხტება; ამას მოჰყვება ნებისმიერი ძალადობრივი კონფრონტაციის დასასრული, დაძაბულობის შენელება და მხარეთა შორის შედარებით ნორმალური ურთიერთობების ჩამოყალიბება. მაგრამ თუ არ მოხდა იმ საკვანძო საკითხებისა და პრობლემების ადეკვატური მოგვარება, რომელნიც მხარეთა ურთიერთშეთავსებელი მიზნებით იყო განპირობებული, ეს ეტაპი შესაძლოა ისევ გადაიზარდოს წინაკონფლიქტურ სიტუაციაში.



სქემა 2.1 გვიჩვენებს, თუ როგორ იქნა გამოყენებული ეს მეთოდი ჩენტრალურ და დასავლეთ უგანდაში მიმდინარე კონფლიქტის ეტაპების აღსაწერად და მის შესადარებლად იმავე პერიოდში ჩრდილო-აღმოსავლეთ უგანდის ტესოს რაიონში მიმდინარე სტადიებთან.

ეს მაგალითი აჩვენებს, რომ კონფლიქტი ცენტრალურ და დასავლეთ უგანდაში უფრო ინტენსიური იყო (და ასეც აღიქმებოდა) 1984-86 წლებში, ხოლო ტესოს რაიონში კონფრონტაცია და კრიზისი დაიწყო მოგვიანებით (1988-92 წლებში). ასე რომ, როცა ქვეყნის ერთ ნაწილში მოსახლეობა შედარებით მშვიდ ვითარებაში ცხოვრობ-

და, მეორე ნაწილში ომი მძვინვარებდა და მდგომარეობა იყო უკიდურესად საშიში; და პირიქით. ამ კონფლიქტში რომ გავერკვეთ, აუცილებელია ორივე პერიოდის გააანალიზება და ქვეყნის ორივე ნაწილში მაცხოვრებელთა თვალსაზრისის გათვალისწინება.

ამ მეთოდის სხვა ვარიანტი გულისხმობს მის გამოყენებას ისე, რომ კონფლიქტის ესკალაცია სქემებზე აღინიშნებოდეს საპირისპირო, დაღმავალი გრაფიკით და ამით გამოიკვეთოს სიტუაციის ნეგატიური განვითარება, ხოლო კონფლიქტის განმუხტვა (დეესკალაცია) გამოიხატოს აღმავალი ხაზით. სქემებზე 2.2. სწორედ ასეთი მეთოდით გამოისახება ცენ-

დროითი წრფივი

რას ნიშნავს ეს?

➤ ეს არის გრაფიკი, რომელიც ასახავს მოვლენათა რიგს დროით თანმიმდევრობაში.

მიზნები

➤ წარმოაჩინოს კონფლიქტის ისტორიის სხვადასხვა ხედვა.

➤ ნათლად დაგვანახოს, თუ როგორ აფასებს მოვლენებს თითოეული მხარე.

➤ მივევითოს, თითოეული მხარისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა.

როლის გამოიყენება

➤ პროცესის საწყის ეტაპზე, სხვა ანალოგიურ მეთოდებთან ერთად.

➤ პროცესის მოგვიანო ეტაპზე, სტრატეგიის შემუშავებისას.

➤ როცა სხვადასხვაგვარად აფასებენ გარეგულ მოვლენებს ან არ იცნობენ ერთმანეთის ისტორიას.

➤ როგორც მეთოდი, რომელიც დაეხმარება ადამიანებს იმის გაცნობიერებაში, რომ მათი საკუთარი ხედვა არის „სიმართლის მხოლოდ ერთი მხარე“.

პარანანტიზი

➤ გამოიყენება როგორც ცალკეუ მხარეების მიერ, ისე ერთმანეთთან გაზიარებით.

➤ მას შეიძლება მოჰყვეს დისკუსია თითოეული მხარის მიერ მნიშვნელოვნად მიჩნეული მოვლენების ირგვლივ.

➤ შეიძლება დამატოს წრფივი – ამსახველი იმავე პერიოდში სამშვიდობო ინიციატივებისა.

ტრალურ და დასავლეთ უგანდაში მიმდინარე კონფლიქტების სტადიები.

დროითი წრფივი


დროითი წრფივი, არსებითად, მეტად მარტივი მეთოდია. ეს არის გრაფიკი, რომელიც აჩვენებს მოვლენათა რიგს დროის შესაბამისად. აქ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით აისახება თარიღები (წელი, თვე ან რიცხვი მოცემული მასშტაბის შესაბამისად) და მოვლენები. შეგიძლიათ ისარგებლოთ ამ მეთოდით, მაგალითად, თქვენი ცხოვრების მოვლენათა ან თქვენი ქვეყნის ისტორიის საილუსტრაციოდ. მოცემულ შემთხვევაში შეგიძლიათ კონფლიქტის ისტორიის გასაცნობად გამოიყენოთ.

კონფლიქტში ჩართულ ჯგუფებს სწორად ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული გამოცდილება და მოვლენების განსხვავებული აღქმა აქვთ: კონფლიქტს სხვადასხვა პოზიციიდან აფასებენ. უმეტეს შემთხვევაში მათ მიერ დანახული წარსულიც განსხვავებულია. კონფლიქტის დაპირისპირებულ მხარეთა წარმომადგენლებმა შეიძლება აღნიშნონ ან განსხვავებული მნიშვნელობა მიანიჭონ მოვლენებს, აღწერონ ისინი სხვადასხვაგვარად და ერთმა და იმავე მოვლენამ შესაძლოა მათში განსხვავებული ემოციები აღძვრას.

დროითი წრფივის გამოყენება მიზნად არ ისახავს „სწორი“ ან „ობიექტური“ ისტორიის წარმოჩენას; მან უნდა გაგვარკვიოს, როგორ აფასებს სიტუაციას კონფლიქტში ჩართული ხალხი. ამიტომაც, კონფლიქტის ანალიზისას მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს დაპირისპირებულ ჯგუფთა მიერ სხვადასხვა მოვლენის აღწერა.

დროითი წრფივის გამოყენება მიზნად არ ისახავს „სწორი“ ან „ობიექტური“ ისტორიის წარმოჩენას; მან უნდა გაგვარკვიოს, როგორ აფასებს სიტუაციას კონფლიქტში ჩართული ხალხი. ამიტომაც, კონფლიქტის ანალიზისას მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს დაპირისპირებულ ჯგუფთა მიერ სხვადასხვა მოვლენის აღწერა.

ცხრილი 2.1. დროითი წრფივი (მაგალითი №3, უგანდა)



დროითი წრფივი, საშუალებას აძლევს ადამიანებს, გაეცნონ სიტუაციის ისტორიასა და შეფასებას დაპირისპირებული მხარის პოზიციიდან. კონფლიქტთან დაკავშირებით თავიანთი განსხვავებული პოზიციებისა და თითოეული ჯგუფისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მოვლენების განხილვისას ისინი უკეთ გაერკვევიან იმ ვითარებაში, რომელშიც აღმოჩნდა ორივე მხარე.

დროითი წრფის გამოყენება

დროითი წრფივი, რომელსაც აქ ვიყენებთ, არაა კვლევის მეთოდი: იგი, უპირველეს ყოვლისა, იძლევა საფუძველს განსჯისათვის და ვითარების შემდგომი შესწავლისათვის. კონფლიქტურ სიტუაციაში ყოველთვის მოსალოდნელია აზრთა სხვადასხვაობა იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი მოვლენაა უფრო მნიშვნელოვანი ან როგორ უნდა მოხდეს მისი აღწერა. ჩვენი მიზანია, მივალწიოთ ისეთ ურთიერთობას, როცა კონფლიქტში მონაწილე ყოველი მხარე აღიარებს, რომ შესაძლოა სხვაც საღად აფასებდეს სიტუაციას, თუნდაც ეს არ ემთხვეოდეს მის საკუთარ შეფასებას. ცხრილი 2.1. წარმოადგენს იმის მაგალითს, თუ როგორ იქნა გამოყენებული ეს მეთოდი უგანდის მოვლენების განსახილველად – როგორც ტესოს რაიონის მოსახლეობის, ისე უგანდის ხელი-სუფლების თვალთახედვიდან.

ყურადღება მიაქციეთ იმ ფაქტს, რომ თითოეულ მხარეს ანსოვს განსხვავებული მოვლენები და ახდენს მათ სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას. შესაძლოა, თქვენც ასეთივე შედეგი მიიღოთ, როცა შეადგენთ ქრონოლოგიას თქვენს კონკრეტულ კონფლიქტზე, სადაც ასახული იქნება განსხვავებული პოზიციები. სცადეთ და დააკვირდით, მიაღწევთ თუ არა თანხმობას მოვლენების შეფასებაში.

კონფლიქტის კარტოგრაფია

კარტოგრაფია საშუალებას გვაძლევს გრაფიკულად წარმოვადგინოთ კონფ-

ლიქტი და მხარეთა დამოკიდებულება როგორც პრობლემის, ასევე ერთმანეთის მიმართ. როდესაც განსხვავებული თვალსაზრისის ადამიანები ერთობლივად ახდენენ თავიანთი სიტუაციის გრაფიკულ სქემატიზაციას, ისინი ამ დროს ეცნობიან ერთმანეთის გამოცდილებასა და მოვლენათა ხედვას.

როგორ გამოვიყენოთ კონფლიქტური სიტუაცია

1. თავდაპირველად გაარკვიეთ, რა გინდათ გამოსახოთ, როდის და რა თვალთახედვიდან. ამოირჩიეთ კონკრეტული სიტუაციის ერთი რომელიმე მომენტი. თუ შეეცდებით მთელი რეგიონალური პოლიტიკური კონფლიქტის დეტალურ სქემატიზაციას, ამას შეიძლება იმდენი დრო დასჭირდეს და შედეგიც ისეთი გავრცობილი და რთული აღმოჩნდეს, რომ რეალურად იქნებ ვერც დაგეხმაროთ.

ხშირად მიზანშეწონილია ერთი და იმავე სიტუაციისათვის რამდენიმე სქემის აგება სხვადასხვა თვალსაზრისის საფუძველზე და იმის გარკვევა, როგორ აღიქვამენ ამ სქემებს მონაწილე მხარეები. კონფლიქტზე მუშაობა აუცილებლად გულისხმობს სხვადასხვა პოზიციის ურთიერთმორიგებას. თქვენი საქმიანობისათვის მეტად სასარგებლო იქნება იმის შეტყობა, თუ როგორ მიიღებს ერთი რომელიმე კონკრეტული თვალსაზრისის მქონე მხარე სხვა მხარეების მიმართ მისი დამოკიდებულების თქვენეულ ვერსიას.

2. არ დაგავიწყდეთ საკუთარი თავისა და თქვენი ორგანიზაციის გამოსახვა რუქაზე. რუქაზე საკუთარი თავის გამოსახვა კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ, განზე კი არ დგახართ, თქვენც არსებული სიტუაციის ნაწილს წარმოადგენთ, მაშინაც კი როცა აანალიზებთ მას. თქვენცა და თქვენს ორგანიზაციასაც სხვები თავისებურად აღგიქვამენ. თქვენ შეიძლება გქონდეთ კონტაქტები და კავ-

შირები, მაშინ გაგიადვილდებათ კონფლიქტის მონაწილე მხარეებთან მუშაობა.

3. რუკაზე მუშაობა გულისხმობს დინამიკას – იგი ასახავს **ცვალებადი სიტუაციის** ერთ კონკრეტულ მდგომარეობას და მიუთითებს აქტიურ **ქმედებაზე**. ამ ტიპის ანალიზის შედეგად უნდა გამოიკვეთოს ახალი შესაძლებლობები: რისი გაკეთება შეიძლება? ვინ გააკეთებს უკეთ? რა დროს სჯობს ყოველივე ამის გაკეთება? რა საფუძველი უნდა შეიქმნას თავდაპირველად და რა სახის სტრუქტურა უნდა აიგოს ამის შემდეგ? ეს მხოლოდ ნაწილია იმ კითხვებისა, რუკის შედგენისას რომ უნდა დასვათ.

4. „ობიექტური“ ასპექტების გარდა, მიზანშეწონილია, რუკაზე აისახოს მხარეთა შორის არსებული **საკამათო საკითხები**. რატომ წარმოიშვა ეს კონფლიქტი? ეს საკითხები სქემაზე შეიძლება ჩავსვათ უჯრაში, როგორც ეს ნაჩვენებია ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში. თავადაც შეგიძლიათ მიაგნოთ საკამათო საკითხების გამოსახვის უკეთეს მეთოდს.

კარგი იქნება, თუ გაითვალისწინებთ კონფლიქტში ჩართულ მხარეთა პოზიციებსაც და გაარკვევთ, რა აზრი გააჩნიათ ამ მოვლენებში მონაწილე სხვა ჯგუფების შესახებ?

კონფლიქტის კარტოგრაფიის მაგალითები

გთავაზობთ კონფლიქტის კარტოგრაფიის სქემატიზაციის სამ მაგალითს:

■ პირველი მაგალითი, სქემა 2.3. გვიჩვენებს, როგორ შეიძლება გამოიყურებოდეს კონფლიქტის რუკა. სცადეთ ააგოთ იმ სიტუაციის სქემა, რომელზეც ამჟამად მუშაობთ. აი, ზოგიერთი იმ კითხვათაგანი, რომელთა დასმაც შეგიძლიათ ამ მიზნით:

- ვინ წარმოადგენს ამ კონფლიქტის ძირითად მხარეებს?

- სხვა კიდევ რომელი მხარეა ჩართული ამ კონფლიქტში ან როგორღაც დაკავშირებული მასთან, მარგინალური ჯგუფებისა და უცხო მხარეების ჩათვლით?

- რა ურთიერთობები აქვთ ერთმანეთთან ამ მხარეებს და როგორ შეიძლება რუკაზე გამოსახვა? ალიანსები? მჭიდრო კონტაქტები? დარღვეული ურთიერთობები? კონფრონტაცია?


- არსებობს თუ არა მხარეთა შორის დაპირისპირების ისეთი საკვანძო მომენტები, რომლებიც რუკაზეა აღსანიშნავი?

- სად არის თქვენი და თქვენი ორგანიზაციის ადგილი ამ მხარეებთან ურთიერთობიდან გამომდინარე? გაქვთ რაიმე ისეთი ურთიერთობა, რომელიც გაგიადვილებთ ამ კონფლიქტურ სიტუაციაზე მუშაობას?










■ მეორე მაგალითი, ამჯერად ოჯახური კონფლიქტისა, ნაჩვენებია სქემაზე 2.4. აქ წარმოდგენილი ძირითადი კონფლიქტი წარმოიშვა მამასა და ქალიშვილს შორის იმაზე, უნდა შემდგარიყო თუ არა დანიშნული ქორწინება. ყურადღება მიაქციეთ ხაზის სისქეს, რომელიც აღნიშნავს ბებიასა და შვილიშვილის მჭიდრო ურთიერთობას და დედასა და მამას შორის დარღვეულ ურთიერთობებს; დააკვირდით, როგორ ემხრობა კონფლიქტის სხვადასხვა მხარეს ორი ძმა, მიუხედავად მათ შორის არსებული მყარი კავშირისა. ეს მაგალითი გვიჩვენებს, თუ კარტოგრაფიის ტექნიკა რანაირად ესადაგება მთელ რიგ სიტუაციებს.

მართალია, ეს მაგალითი გვიჩვენებს, კარტოგრაფიის გამოყენებას ოჯახურ კონფლიქტში ჩართული მხარეების წარმოსადგენად, მაგრამ მისი გამოყენება შეიძლება ფართომასშტაბიანი კონფლიქტების შემთხვევაშიც – ვთქვათ, თემის წევრებს შორის ან ქვეყნის შიგნით ან თუნდაც სახელმწიფოთაშორისო დონეზე.

სქემა 2.3:
კონფლიქტის
პარტოგრაფია
კონფლიქტის რუმის
მაგალიტი



კარტოგრაფიაში ჩვენ გარკვეულ პირობით აღნიშვნებს ვიყენებთ. თქვენ შეგიძლიათ თქვენეული აღნიშვნები გამოიყენოთ

 წრეები აღნიშნავს სიტუაციაში ჩართულ მხარეებს: მათი ფარდობითი სიდიდე მიუთითებს მათ ძალზე პრობლემასთან მიმართებით.	 პუნქტიური აღნიშნავს არაფორმალურ ან არასტაბილურ კავშირს	 ერთი ზაზის გადაკვეთი ორმაგი შტრიხი აღნიშნავს გაცხელებულ ურთიერთობებს
 სწორი ზაზი აღნიშნავს კავშირს – მჭიდრო ურთიერთობას	 ისარი მიუთითებს ზეგავლენის ან ზემოქმედების მიმართულებას	 კვადრატი ან მართკუთხედი აღნიშნავს პრობლემებს, საკითხებს ან საგნებს, დღონდ არა – ადამიანებს
 ორმაგი ზაზი აღნიშნავს მხარეთა შორის ალიანსს	 ტეხილი ზაზი აღნიშნავს უთანხმოებას, კონფლიქტს	 დიდი ზომის სეგმენტი აღნიშნავს მხარეს, რომელიც ახდენს ზეგავლენას, მაგრამ სიტუაციაში უშუალოდ არ ერევა

კონფლიქტის პარტოგრაფია

რა არის ეს?

კონფლიქტში ჩართულ მხარეთა ურთიერთობების მაჩვენებელი ვიზუალური მეთოდი.

მიზანი

- სიტუაციაში უკეთ გარკვევა.
- მხარეთა შორის არსებულ ურთიერთობებში გარკვევა.
- როგორია ძალაუფლების განაწილება.
- საკუთარი საქმიანობის ან კონტაქტების შეფასება.
- არსებული ან პოტენციური მოკავშირეების დადგენა.
- სიტუაციაში ჩარევის ან აქტიური ქმედებების შესაძლებლობის განსაზღვრა.
- უკვე ვაკეთებულის შეფასება.


როდის გამოვიყენოთ

- პროცესის საწყის ეტაპზე სხვა მეთოდებთან ერთად.
- მოგვიანებით – შესაძლო ჩარევის მომენტების დადგენისას ან სტრატეგიის შემუშავებისას.


პარინანტაჟი

- კონფლიქტის რეგიონებისა და შესაბამისი კონფლიქტური მხარეების გეოგრაფიული რუკები.
- სადავო საკითხების კარტოგრაფია
- ძალაუფლების განაწილების კარტოგრაფია.
- მოთხოვნილებებისა და შიშების გამოსახვა.
- ადამიანურ გრძობათა და ურთიერთმიმართებათა ცოცხლად წარმოდგენა.

**სქემა 2.4: კონფლიქტის
პარტოგრაფია / II მარაგალითი
ოჯახური კონფლიქტი**




**სქემა 2.5: კონფლიქტის
პარტოგრაფია / III მარაგალითი
ავღანეთი, 1999 წლის ომის შემდეგ**



■ მესამე მაგალითი, სქემა 2.5, წარმოადგენს ავლანეთში არსებული სიტუაციის კარტოგრაფიას, რომელიც შედგინა მცირე, ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციამ. აქ ასახულია კონფლიქტი ავლანეთში თალიბანის ხელისუფლებასა და ავლანურ ოპოზიციურ ძალებს შორის. სქემაზე ნათლადაა წარმოდგენილი როგორც ამ მოვლენებში ჩართული მხარეები, ასევე მათ შორის არსებული ურთიერთობები. მართალია, თალიბანსა და ოპოზიციას შორის არსებული დაპირისპირება (სქემაზე ეს მუქი, ტენილი ხაზითაა გამოსახული) ამ სიტუაციაში საკვანძო მომენტსა და სამოქალაქო ომის საფუძველს წარმოადგენს, მაგრამ ასევე მნიშვნელოვანია ზოგიერთი სხვა ურთიერთობაც, რაც სიტუაციის ანალიზისას სათანადო ყურადღებას ითხოვს.

შეგიძლიათ ჩანახოთ უჯრები და ისე ჩაწეროთ მათში მთავარ მონაწილე მხარეთა თვალსაზრისები, როგორც ეს სქემაზეა ნაჩვენები. თქვენ ნახავთ, რაოდენ განსხვავებულად აფასებენ ისინი ვითარებას; ეს დაგეხმარებათ შეარჩიოთ ამოსავლი წერტილები კონფლიქტზე სამუშაოდ. სხვა, ნაკლები ძალის მქონე სუბიექტები, როგორცაა სამოქალაქო ჯგუფები და პროფესიული გაერთიანებები, ვინძლო არც ახდენდნენ პირდაპირ, უშუალო ზეგავლენას არსებულ სიტუაციაზე, მაგრამ სქემაში მათი შეტანით ყურადღების მიღმა არ ტოვებთ მოვლენათა მსვლელობაზე ზეგავლენის არც ერთ შესაძლებლობას. ორგანიზაცია, რომლის თვალსაზრისითაც არის აღწერილი ეს სიტუაცია („ჩვენი ჯგუფი“) სქემაზე აღნიშნულია იმ ადგილას, სადაც ის თვითონ მოიხარებს თავის თავს ამ გარემოში. ეს ორგანიზაცია დაკავშირებულია საერთაშორისო დახმარების სააგენტოებთან და მჭიდრო ურთიერთობები აქვს სამოქალაქო ჯგუფებთან და სხვა თემებთან (მე-4 თავში კვლავ დაუბრუნდებით ამ მაგალითს, რათა უკეთ გავერკვეთ, როგორ გამოვიყენოთ ამ ტიპის სქემები კონფლიქტში ჩარევის წერტილების შესარჩევად.)



ამასთან ერთად უნდა გავითვალისწინოთ, რომ მხოლოდ კარტოგრაფიით ვერ მივიღებთ პასუხს ყველა კითხვაზე. ის თავისი საშუალებებით მხოლოდ ნაწილობრივ გავარკვევს მოცემული კონფლიქტის არსში. ხშირად ხილულ ურთიერთობათა მიღმა სიღრმისეული პრობლემები ძევს. ქვემოთ წარმოდგენილი მეთოდები დაგვეხმარება საფუძვლადმდებარე მიზეზების გამოვლენაში.

სამკუთხედი ABC

ეს მეთოდი ეფუძნება იმ მოსაზრებას, რომ კონფლიქტი მოიცავს სამ ძირითად კომპონენტს: **გარემოს ანუ კონტექსტს**, მონაწილე მხარეთა **ქცევას** და მათ **განწყობებს**. სქემაზე 2.6 ეს პუნქტები გამოსახულია გრაფიკულად როგორც სამკუთხედის კუთხეები.

ეს სამი ფაქტორი ერთმანეთზე ახდენს ზეგავლენას და ამდენად სქემაზე ისინი ისრებით უკავშირდებიან ერთმანეთს. მაგალითად, კონტექსტი, რომელიც უგულებელყოფს ერთი ჯგუფის მოთხოვნებს, იწვევს იმედგაცრუებას, რასაც, თავის მხრივ, საპროტესტო ქცევა მოჰყვება. ასეთი ქმედებები განაპირობებენ ისეთი გარემოს შექმნას, სადაც კვლავ დაირღვევა ამ ჯგუფის უფლებები და გაძლიერდება ფრუსტრაცია: შეიძლება თავი იჩინოს რისხვამაც და

სამკუთხედი ABC

- რა არის ეს?**
- კონფლიქტში მონაწილე ყველა ძირითადი მხარის განწყობასთან, ქცევასთან და კონტექსტთან დაკავშირებული ფაქტორების ანალიზი.
 - მიზანი**
 - ფაქტორთა ამ სამი ჯგუფის დადგენა ყოველი ძირითადი მხარისათვის.
 - მათი ურთიერთზეგავლენის ანალიზი.
 - მათი დაკავშირება თითოეულის მხარის საჭიროებებსა და შიშებთან.
 - სიტუაციაში ჩარევის საწყისი წერტილის დადგენა.
 - როლის გამოვიყენოთ**
 - პროცესის საწყის ეტაპზე სხვადასხვა მხარის მოტივაციაში უკეთ გასარკვევად.
 - მოგვიანებით იმის შესატყობად, თუ რომელი ფაქტორები დაკავშირდებარება შემოქმედებას.
 - იმის გასარკვევად, თუ ცვლილება ერთ ასპექტში როგორ შემოქმედებს მეორეზე.
 - პარანანტი**
 - ყოველი სამი კომპონენტისათვის საკვანძო მომენტების განსაზღვრის შემდეგ მიუთითეთ საჭიროების შენით გამოსახული კონფლიქტის მონაწილე მხარის ძირითადი საჭიროება და შიში.

ცხრილი 2.2: შიდაორგანიზაციული კონფლიქტის ანალიზი, ჩატარებული ABC მეთოდით მაგალითი: კონფლიქტი კაბოჯის დედაქალაქსა და პროვინციაში მომუშავე პერსონალს შორის

I. დედაქალაქში

მოზინადრე პერსონალი:

ქალაქელთა აზრი პროვინციელებზე აკლიათ საზრიანობა, უხეში მანერები აქვთ, არა აქვთ ურთიერთობის კულტურა, მოკლებულნი არიან ინიციატივას, არ გააჩნიათ ახალი იდეები. არ აკეთებენ რაიმე კონსტრუქციულს, მუშაობენ ბევრს, მაგრამ არაპროდუქტიულად.

ქცევა

B

ქალაქელთა აზრი საკუთარ თავზე საქმეში ჩახედულნი; მოქმედი გრძელვადიანი პერსპექტივით, მზად არიან თანამშრომლობისათვის; ზოგჯერ მეტისმეტად მოუთმენელი.

**პირველი
საჭიროება
ზიარი
მიღობა**

ბანაზობები A

ქალაქელთა აზრი პროვინციელებზე. უხეშები, ვიუტები, არ სურთ რაიმეს შეცვლა, იცავენ იერარქიას, აქვთ შეზღუდული თვალსაწიერი, ადვილია მათი განაწყენება, იწვევენ სიბრაღულს, მუდამ თავი მართალი ჰგონიათ; არიან ეჭვიანები, უტყუებები.

C კონტექსტი

დედაქალაქში მოზინადრე პერსონალი დედაქალაქში უფრო მეტი უმაღლეს-დამთავრებულია; უმაღლესი განათლების სასწავლებლები ქალაქშია, NGO-ს საქმიანობას უფრო დიდი ისტორია აქვს დედაქალაქში, პოლიტიკური/სამხედრო უსაფრთხოება დედაქალაქში უკეთაა დაცული, დედაქალაქში უკეთესი საკომუნიკაციო საშუალებებია, დედაქალაქში გართობის მეტი საშუალებაა, კსმერი სამხედრო მოსამსახურეები უფრო მეტად ქალაქში არიან განთავსებული, დედაქალაქში უკეთესი საცხოვრებელი პირობებია, დედაქალაქში უფრო ადვილია სამუშაოს შოვნა, დედაქალაქში ცხოვრება უფრო ძვირია, ქალაქში უფრო მეტი უცხოური პასპორტის მქონე პირია, დედაქალაქში უცხო თვალისთვის არაფერია დაფარული, ხელფასები სასურველზე დაბალია.

II. პროვინციაში

მომუშავე პერსონალი:

პროვინციელთა აზრი ქალაქელთა შესახებ ბევრს ლაპარაკობენ, თავი ყოველთვის მართალი ჰგონიათ, ზემოდან გვიყურებენ, ჩერდებიან სასტუმროებში და არა სახლებში, ამინებთ სოფელი და გაურბიან მას, უყვართ მბრძანებლობა და არიან თავდაჯერებულნი.

ქცევა

B

პროვინციელთა აზრი საკუთარ თავზე ბევრს მუშაობენ, ზრუნავენ საღებზე, არ უყვართ, როცა მათ საქმეში ერევან, საქმე აქვთ რეალურ გარემოსთან, თავდაუზოგავად შრომობენ.

**პირველი
საჭიროება
ზიარი
მიღობა**

ბანაზობები A

პროვინციელთა აზრი ქალაქელთა შესახებ არიან ამაყები, უყურადღებონი და არაკომპეტენტურები, განებივრებულები, გაურბიან სამუშაოს, არიან ქედმაღალნი.

C კონტექსტი

პროვინციაში მომუშავე პერსონალი პროვინციაში უფრო იგრძნობა პოლიტიკური ზეწოლა, არიან უყურადღებონი და არაკომპეტენტურები, პროვინციაში უფრო იგრძნობა სამხედროების ზეგავლენა, პირადი უსაფრთხოება უკეთაა აქ დაცული, სამუშაო პირობები შეზღუდულია, დედაქალაქში უფრო მაღალი ხელფასებია. ხელფასები პროვინციაში სასურველზე დაბალია, საკომუნიკაციო სისტემა ქალაქში უკეთესია, ქალაქში მეტი კსმერი სამხედრო მოსამსახურეა, დედაქალაქში უკეთესი საცხოვრებელი პირობებია, დედაქალაქში სამუშაოს შოვნის უკეთესი შესაძლებლობაა.

პროვინციელთა აზრი საკუთარ თავზე კარგად იცნობენ ცხოვრებას, არიან ტრადიციულები, იციან რისი გაკეთებაა საჭირო, აღიზიანებთ, როცა ვინმე მათ საქმეში ერევა; თავს ქალაქელები-საგან გარიყულად გრძნობენ, თვლიან, რომ მათ არ მიაგებენ შესაფერ პატივს.

შემდგომ ძალადობაში გადაიზარდოს. მუშაობა, რომელიც მიმართული იქნება გარემოს შეცვლისკენ (ჯგუფის დარწმუნებით იმაში, რომ მათი მოთხოვნები აღიარებულია), ფრუსტრაციის შერბილებისკენ (აღამიანთა ყურადღების კონცენტრირებით მათი ბრძოლის გრძელვადიან მიზნებზე) ან აგრესიული ქმედების განეიტრალებისკენ არაძალადობრივი მიდგომის სტიმულირებით, საბოლოო ჯამში, წვლილს შეიტანს დაძაბულობის შენელებაში.

როგორ გამოვიყენოთ ეს მეთოდი

1. კონფლიქტურ სიტუაციაში ჩართული ყოველი ძირითადი მხარისათვის დახმავთ ცალკე სამკუთხედი ABC.
2. ყოველ სამკუთხედს, მოცემული მხარის თვალსაზრისიდან გამომდინარე, მიაწერეთ ის საკვანძო საკითხები, რომლებიც უკავშირდება **განწყობებს, ქცევას და კონტექსტს**. (თუ ანალიზში მონაწილეობენ მხარეებიც, მაშინ მათ თავისი შეხედულებისამებრ თავად შეუძლიათ ააგონ ასეთი სამკუთხედები.)
3. ყოველ სამკუთხედში ჩაწერეთ ის საჭიროება და/ან შიში, რომელიც, თქვენი აზრით, ყველაზე მეტად აღელვებს შესაბამის მხარეს. ეს იქნება სიტუაციის თქვენეული შეფასება.
4. შეადარეთ ეს სამკუთხედები და ყურადღება მიაქციეთ მსგავსებებსა და სხვაობებს მხარეთა მიერ წარმოდგენილ შეფასებებში.

ნებისმიერ კონფლიქტურ სიტუაციაში მხარეებს სხვადასხვა გამოცდილება აქვთ და მოვლენებსაც განსხვავებულად აღიქვამენ. აქედან გამომდინარე, კონფლიქტის მიზეზებად ისინი ხშირად სხვადასხვა გარემოებას ასახელებენ. მაგალითად, ერთმა მხარემ შეიძლება განაცხადოს, რომ ძირეული პრობლემა უსამართლობაა, მაშინ როცა, მეორე მხარე ასეთ პრობლემად დაუცველობას ასახელებს. ყოველი ჯგუფი ყურადღებას ამახვილებს იმ საკითხზე, რომელიც მას ყველაზე მეტად აწუხებს და განსაკუთრებით გამოყოფს იმ სფეროებს, სადაც

ის თავს დაჩაგრულად გრძნობს. ყველა ეს მიზეზი და პრობლემა არსებითი და მნიშვნელოვანია და ყოველი მათგანი უნდა მოგვარდეს, რათა შეიქმნას საფუძველი კონფლიქტის გადასაჭრელად და მდგომარეობის გამოსასწორებლად. ამასთან, უზარმაზარი ენერჯია შეიძლება დაიხარჯოს იმაზე კამათში, თუ ვინ რას მიიჩნევს კონფლიქტის მიზეზად და ვინ რომელ პრობლემაზე ამახვილებს ყურადღებას. მნიშვნელოვანია, კონფლიქტის ყველა მონაწილემ გააცნობიეროს, რომ ყველა საკითხი პრობლემის შემადგენელი ნაწილია, თუმცა ზოგი მათგანი სხვებთან შედარებით უფრო მნიშვნელოვანია და სასწრაფოდ მოსაგვარებელი.


ABC სამკუთხედის გამოყენებისას აუცილებელია ნათლად გქონდეთ წარმოდგენილი, ვის თვალსაზრისს ემყარება ეს ანალიზი. შეგიძლიათ დაეყრდნოთ კონფლიქტის მხოლოდ თქვენეულ აღქმას; მაგრამ ერთობ მნიშვნელოვანია თითოეული მხარის პოზიციიდან დაინახოთ კონფლიქტის საკვანძო საკითხები და აღწეროთ ეს „კონტექსტის“, „ქცევის“ და „განწყობების“ ტერმინებში.

ცხრილში (2.2) გაანალიზებულია დაძაბულობა კამბოჯის საერთაშორისო დანმარების სააგენტოს ქალაქელ და პროვინციელ თანამშრომლებს შორის. მართალია, ორივე ჯგუფი აზრს გამოთქვამს ერთსა და იმავე სიტუაციაზე, მაგრამ ისინი ყურადღებას სხვადასხვა საკითხზე ამახვილებენ და ყოველი მათგანი განსხვავებულად აღიქვამს მეორის ქცევასა და განწყობას.

ხახვი

სქემა 2.7 იყენებს ხახვისა და მისი ფურცლების ანაკოგიას. მისი ზედა ფურცელი განასახიერებს ჩვენს საჯარო პოზიციებს; მის ქვემოთ განლაგებულია ჩვენი ინტერესები – ანუ ის, თუ რისი მიღებაც გვსურს ამ კონკრეტული სიტუაციიდან. და ბოლოს, ხახვის გული გამოხატავს იმ უმნიშვნე-

სქემა 2.7:
სახსვი



სახსვი

რა არის ეს?

კონფლიქტში ჩართულ დაპირის-პირებულ მხარეთა ნათქვამის ანალიზის მეთოდი.

მიზანი

კონფლიქტის მონაწილე ყოველი მხარის გაცხადებულ პოზიციის მიღმა მათი რეალური ინტერესებისა და მიზნების გამოვლენა.

ყველა ჯგუფისათვის მისაღები საერთო ბაზისის მიგნება, რომელიც შეიძლება მომავალი მოლაპარაკებების საფუძველად იქცეს.

როდის გამოვიყენებთ

კონფლიქტური სიტუაციის დინამიკის გარკვევისას როგორც ანალიზის შემადგენელი პროცედურა.

კონფლიქტში ჩართულ ჯგუფებს შორის დიალოგის ხელშემწყობი საშუალოს მოსაშა-დედლად.

როგორც მედიაციის ან მოლაპარაკებათა პროცესის ნაწილი.

გარანტიები

ზოგი ჯგუფი ამჟობინებს სქემაზე წარმოდგენილი იყოს არა „ხანჯის“, არამედ „ღვებულის“ გრაფიკული გამოსახულება.

ნელოვანეს მოთხოვნილებებს, რომელთა დაკმაყოფილებაც ჩვენს მთავარ მიზანს წარმოადგენს. სასურველია, კონფლიქტში ჩართული ყოველი მხარისათვის ანალიზი ასეთი მეთოდით ჩატარდეს.

სტაბილურობის პირობებში, როცა მხარეთა შორის ნორმალური ურთიერთობაა და ამავე დროს ურთიერთნდობაც, ჩვენი მოქმედების სტრატეგია ორიენტირებულია ჩვენს ძირეულ საჭიროებებზე. შესაძლოა, გაგვიჩნდეს სურვილი მათზე სხვებს ველაპარაკოთ, ან ურთიერთნდობის შემთხვევაში ღიად ვიმსჯელოთ მათ შესახებ. მაშინ ანალიზისა და ემპათიის საფუძველზე ისინი შესაძლოა ჩაწვდნენ ჩვენს მოთხოვნილებებს მანამ, სანამ თავად ვაცნობებდეთ მათ შესახებ.

შედარებით უფრო არასტაბილურ ან საშიშ სიტუაციაში, როცა ადამიანები ერთმანეთს უნდობლად ეკიდებიან, ჩვენს ძირეულ საჭიროებათ არ გამოვამზეურებთ. ღია განცხადება მოწვევლად გავცხდით, რაც მოპირისპირე მხარეს დამატებით ბერკეტებს მისცემდა ჩვენს წინააღმდეგ. მაგრამ გულახდილობის გარეშე, მოპირისპირე მხარე ვერ გააცნობიერებს ჩვენს საჭიროებებს – ვერც ანალიზის შედეგად და ვერც ურთიერთგაგების საფუძველზე – რადგან, ჯერ ერთი, არ ექნებათ ინფორმაცია და მე-

ორეც, უნდობლობა საფუძველს აცლის ადამიანთა შორის ურთიერთგაგებას.


ამრიგად შესაძლოა, კონფლიქტურ და არასტაბილურ სიტუაციაში ქმედებები უშუალოდ აღარ დაეფუძნოს კონკრეტულ მოთხოვნილებებს. ხალხი ალბათ ორიენტაციას უფრო ზოგად და აბსტრაქტულ ინტერესებზე აიღებს და თავის ქმედებებსაც ამ უკანასკნელთ დაუქვემდებარებს. როცა ამ ინტერესებს რაიმე დაემუქრება, ადამიანებმა შეიძლება ისეთი პოზიცია დაიკავონ, რომელსაც ცლტა რამ თუ ექნება საერთო მათ ძირეულ საჭიროებებთან.

ამ ტიპის ანალიზი სასარგებლო იქნება ჩატარდეს კონფლიქტში ჩართული მხარეებისათვის, რომლებიც ერთმანეთთან აწარმოებენ მოლაპარაკებას, რათა მათთვის უფრო ნათელი გახდეს მათივე საკუთარი მიზნები, ინტერესები და პოზიციები. შემდგომ, როდესაც ისინი შეიმუშავენ მოლაპარაკებათა სტრატეგიას, გადაწყვიტენ, თუ რომელი შიდა „ფურცლების“ – ინტერესებისა და მოთხოვნილებების – გამჟღავნება სურთ კონფლიქტში ჩართული სხვა მხარეებისათვის.

ზემოთ გამოვთქვით ვარაუდი, რომ ნდობის ზრდასთან ერთად ადამიანები უფრო მეტ გულახდილობას იჩენენ ერთმანეთის მიმართ. ვინმელო ამას უხანისოდაც აკეთებდნენ, მაგრამ მეორე მხარის ძირეულ საჭიროებათ ხომ მაინც ეცნობიან; ეს კი დაეხმარებათ გაანალიზონ ინტერესთა ის სფერო, რომლის საფუძველზეც ისურვებდნენ კომპრომისის მიღწევას.

ასე მაგალითად, სქემაზე (2.8) ნაჩვენებია, რომ ადამიანთა ერთი ჯგუფი (ადგილობრივ გლეხთა ორგანიზაციები) საჭიროებს მიწას, კეთილდღეობას და სამართლიანობას. მათ ინტერესს წარმოადგენს ის, რომ მოხდეს მიწის გადაწელება, დაცულ იქნას მათი უფლებები, გაერთიანდნენ სხვა სოციალურ ძალებთან, დამყარდეს დემოკრატია. მაგრამ იმ კრიზისის გამო, რომელშიც თავად არიან ჩართული, ისინი ღიად მხოლოდ თავიანთ პოზიციას გამოხატავენ

სქემა 2.8: ხახვი – ჩიპასის (მემსიკა) მახალითი



წყარო: MARIA GUADELUPE MACIAS VILLARREAL

– ეწინააღმდეგებიან მილიტარიზაციას და მოითხოვენ პრესის თავისუფლებას, ყველასათვის თანაბარ შესაძლებლობებს და პოლიტიკური მკვლელობებისა და დევნის ფაქტების გამოძიებას.

ადამიანთა მეორე ჯგუფი (მესაკუთრეები, ფერმერები, მიწათმფლობელები) ასევე **საჭიროებს** ფულთან ერთად მიწასაც. ისინი **დაინტერესებულნი** არიან იმით, რომ განახორციელონ პოლიტიკური და ეკონომიკური კონტროლი, ჰყავდეთ იაფი მუშახელი, იყვნენ ალიანსში სახელმწიფოსა და მუნიციპალურ მმართველობასთან. მათ მიერ საჯაროდ გაცხადებული **პოზიციის** თანახმად, ისინი კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან არსებული რეჟიმის დამხობას, მოითხოვენ დაცვას უშიშროების ძალთა მიერ და არ ცნობენ ადგილობრივი მოსახლეობის უფლებებს.

ადვილი შესამჩნევია, რომ ჯგუფები, რომლებიც მთლიანად არიან კონცენტრირებულნი საკუთარი პოზიციის დაცვაზე, ძნელად თუ გამოხატავენ ინტერესთა თანხვედრის რაიმე საერთო ბაზას. ეს შესაძლოა ნიშნავდეს იმას, რომ მათი არსებითი მოთხოვნები არ არის და

არც სამომავლოდ იქნება გაზიარებული დაპირისპირებული მხარის მიერ.

„ხახვის“ იდეა იმაში მდგომარეობს, რომ გრაფიკულად გვიჩვენოს რაც შეიძლება მეტი იმ სხვადასხვა ფენის („ფურცლის“) მოშორების შესაძლებლობა, რომლებიც ერთმანეთის მიყოლებით გაჩნდნენ კონფლიქტის, არასტაბილურობისა და უნდობლობის პირობებში; ამის საფუძველზე შეგვიძლია ვცადოთ იმ სიღრმისეული ფაქტორების გამოკვლევა, ადამიანთა ინდივიდუალურ და ჯგუფურ ქმედებებს რომ განსაზღვრავს.

შორს მიმავალი მიზანი ურთიერთობისა და ნდობის გაუმჯობესებაა იმ დონემდე, რომ ხალხმა შეძლოს როგორც თავისი რეალური მოთხოვნილებების ღიად გაცხადება, ასევე დაპირისპირებული მხარის მიზნების გაცნობიერება და შესაძლებლობის ფარგლებში, გაზიარებაც. მაგრამ იმ დრომდე, ვიდრე ამის მიღწევა მოხერხდებოდეს, ადამიანებს თავად მოუწევთ გაარკვიონ, მათ მიერ არჩეული სტრატეგია და ქმედებები რამდენად პასუხობს მათსავე ინტერესებსა და მიზნებს.

კონფლიქტის

ხე

რა არის ეს?

➤ გრაფიკული მეთოდი, რომელშიც საკვანძო პრობლემების კლასიფიკაციისათვის გამოყენებულია ხის გამოსახულება.

მიზანი

➤ კონფლიქტის მიზეზებისა და შედეგების ირგვლივ დისკუსიების წახალისება.

➤ დაეხმაროს ჯგუფს უძთავრესი პრობლემის განსაზღვრაში.

➤ დაეხმაროს ჯგუფს ან გუნდს კონფლიქტის მოგვარების პრიორიტეტის დადგენაში.

➤ მიზეზებისა და შედეგების ერთმანეთთან დაკავშირება და მათი მოქცევა ორგანიზაციის ყურადღების ცენტრში.

როდის გამოვიყენებ?

➤ მაშინ, როცა ჯგუფს უჭირს სიტუაციის საკვანძო პრობლემაზე შეთანხმება.

➤ როცა გუნდმა უნდა გადაწყვიტოს, რომელი საკითხის მოგვარებას მოჰყიდოს ხელი.

პარანტიპი

➤ შესაძლოა იგი გამოყენებულ იქნას ღირებულებათა გასარკვევად. (დაწვრილებით ამის შესახებ იხ. მე-5 თავი).

კონფლიქტის ხე

ეს მეთოდი უმჯობესია გამოიყენოთ ჯგუფური და არა ინდივიდუალური მუშაობის დროს. თუ საზოგადოებრივი განვითარების სფეროში მუშაობის გამოცდილებიდან თქვენთვის ნაცნობია „პრობლემათა ხე“, ადვილად შენიშნავთ, რომ ჩვენ სწორედ ის მიუყვანდავთ კონფლიქტის ანალიზის პროცესს.

კონფლიქტზე მუშაობის დროს ხშირად ჩნდება აზრთა სხვადასხვაობა ისეთი საკითხების ირგვლივ, როგორცაა:

- რაში მდგომარეობს მთავარი პრობლემა?
- რა არის მისი სიღრმისეული მიზეზები?
- რა ზეგავლენას ახდენს სიტუაციაზე ამ პრობლემების არსებობა?
- რა იქნება ის საკვანძო საკითხი, რომელზეც ჩვენს ჯგუფს მოუწევს მუშაობა?


კონფლიქტის ხე წარმოადგენს გუნდის, ორგანიზაციის, ჯგუფის ან თემის სამუშაო მეთოდს, რომლის მეშვეობითაც გა-

ნისაზღვრება უმნიშვნელოვანესი პრობლემები. ამ უკანასკნელთ სამ კატეგორიულ აჯგუფებენ: (1) საკვანძო პრობლემა(ები), (2) მიზეზები და (3) შედეგები.

როგორ გამოვიყენოთ ეს მეთოდი

1. ქალაქის დიდ ფურცელზე, დაფაზე, შენობის კედელზე ან სულაც მიწაზე დახატეთ ხე – ფესვები, ტანი, ტოტები.
2. ჯგუფის ყველა წევრს დაურიგეთ რამდენიმე დანომრილი ბარათი ან ქალაქის ერთნაირი ფურცელი, რათა შეძლონ მათზე რამდენიმე სიტყვის დაწერა ან სიმბოლოსა და ნახატის ჩანიშვნა კონფლიქტის საკვანძო საკითხების აღსანიშნავად, ისე როგორც ეს მათ წარმოუდგენიათ.
3. სთხოვეთ მიაკრან ეს ბარათები ხის გამოსახულებას:
 - **ხის ზროს**, თუ პრობლემას ძირეულად მიიჩნევენ.
 - **ფესვებს**, თუ სიღრმისეულ მიზეზად თვლიან.

სქემა 2.9:
კონფლიქტის ხე
პინის მაგალითი



- **ტოტებს**, თუ შედეგად მოიხზრებენ.
4. მას შემდეგ, რაც ბარათები განლაგდება ხის გამოსახულებებზე, ერთ-ერთმა თქვენგანმა უნდა აიღოს ფასილიტატორის ფუნქცია, რათა ჯგუფი მივიდეს რალაც შეთანხმებამდე – სად მიუჩინოს ადგილი თითოეულ პრობლემას, განსაკუთრებით საკვანძოს.
 5. ამის შემდეგ შეგიძლიათ სთხოვოთ, წარმოადგინონ თავ-თავიანთი ორგანიზაციები ცოცხალი ორგანიზმების სახით (მაგ: ფრინველი, ჭია, ხეიარა მცენარე) და მიაკრან ისინი ხის გამოსახულებას იმ საკითხთა აღმნიშვნელ ბარათებთან, რომელთა გადაჭრაზეც მუშაობენ. გაარკვეეთ რას აქცევენ ისინი ძირითად ყურადღებას მიმდინარე მუშაობისას – შედეგებს, სიღრმისეულ მიზეზებს თუ საკვანძო პრობლემას.
 6. შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში ჯგუფმა შეიძლება მოინდომოს იმის გარკვევა, თუ კონფლიქტზე მუშაობისას პირველ რიგში რომელი საკითხის მოგვარებას უნდა შეუდგეს.
 7. ამ პროცედურას შეიძლება დიდი დრო დასჭირდეს და, ამდენად, ის უნდა გაგრძელდეს ჯგუფის შემდეგ შეხვედრებზე.

სქემებზე (2.9) კონფლიქტის ხე წარმოდგენილია იმ ფორმით, რომელიც მას შემდეგ მიიღო, რაც ჩრდილო-აღმოსავლეთ კენიის ვაჯირის თემის წევრებმა ხის გამოსახულებას მიაკრეს საკვანძო საკითხთა და პრობლემათა აღმნიშვნელი ბარათები. ისინი მივიდნენ იმ საერთო აზრამდე, რომ მათ სიტუაციაში ძირეულ პრობლემას წარმოადგენს მიწების გასხვისება, ყველა სხვა პრობლემა კი არის მისი საფუძველი ან შედეგი.

როცა თავად შეეცდებით ამ მეთოდის გამოყენებას, ნახაეთ, რომ ბევრი საკითხი შეიძლება მიჩნეულ იქნას ერთდროულად როგორც კონფლიქტის მიზეზად, ისე მის შედეგად. მაგალითად, ჯგუფებს შორის კონფლიქტის დაწყების

მიზეზი ხშირად გამხდარა საკვების უკმარისობა, მაგრამ ესეც მიწის ტრადიციული დამუშავების დარღვევის შედეგია, რაც, თავის მხრივ, ძალადობის აქტებით იყო გამოწვეული. ყოველივე ამის საფუძველზე შეიძლება ერთობ სასარგებლო დისკუსია გაიმართოს ძალადობისა და იმ პროცესთა შესახებ, როცა საზოგადოება კონფლიქტის მძევლად გვევლინება. ჩვენი აზრით, დასაშვებია პრობლემის აღმნიშვნელი ბარათების მიმაგრება როგორც ხის ფესვებზე, ისე ტოტებზე.

ძალთა ველის ანალიზი

ეს მეთოდი შეიძლება გამოყენებულ იქნას იმ სხვადასხვა ძალთა გამოსავლენად, რომლებიც კონფლიქტზე ახდენენ ზემოქმედებას. ყოველთვის, როცა ეცდებით რაიმე ცვლილების განხორციელებას, აუცილებლად გამოჩნდება სხვა ძალები, რომლებიც ან შეგეწევიან ან ხელს შეგიშლიან დასახული მიზნის მიღწევაში. აღნიშნული მეთოდი იძლევა ამ პოზიტიური და ნეგატიური ძალების იდენტიფიკაციის საშუალებას; მისი გამოყენებით შესაძლებელია ხსენებულ ფაქტორთა ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასებაც: იგი ასევე ნათლად გიჩვენებთ, რა არის არსებული მდგომარეობის შენარჩუნების მიზეზი.

როგორ გამოვიყენოთ ეს მეთოდი

1. თავდაპირველად დაასახელეთ თქვენი კონკრეტული მიზანი, ანუ ის, რის გაკეთებასაც აპირებთ, ანდა ის ცვლილება, რომლის განხორციელებასაც ისურვებდით. დაწერეთ ეს მიზანი ფურცლის თავში და ამავე ფურცლის ცენტრში გაავლეთ ვერტიკალური ხაზი.
2. ხაზის ერთ მხარეს ჩამოწერეთ ყველა ის ძალა, რომელიც, თქვენი აზრით, ხელს უწყობს ან აიოლებს მოცემული ქმედების ან ცვლილების განხორციელებას. ყოველი დასახელების გასწვრივ დახატეთ ისარი – ცენტრისაკენ მიმართული; ყოველი ძალის ფარდობითი

კალთა ველის

ანალიზი

რა არის ეს?

კონფლიქტში მოქმედი პოზიტიური და ნეგატიური ძალების ანალიზის მეთოდი.

მიზანი

გამოავლინოს ის ძალები, რომლებიც მხარს უჭერენ ან აფერხებენ მოქმედებათა გეგმის განხორციელებას ან სასურველი ცვლილებების გატარებას.

განსაზღვროს ამ ძალთა სიდიდე და შეფასოს, რამდენად შეგუწევს მათზე ზემოქმედების უნარი.

დაადგინოს პოზიტიურ ძალთა განზრდისა და ნეგატიურ ძალთა შემცირების ვეები.

როლის გამოვიყენებ?

მოქმედებათა გეგმის ან სტრატეგიის შემუშავებისას, რათა გააცნობიეროთ ის ძალები, რომლებსაც შეუძლიათ დაეხმარონ ან ხელი შევიშალოთ განზრახულის განხორციელებაში.

ცვლილებების სტრატეგიის გატარებისას, რათა შეფასოთ ამ ძალთა სიდიდე და ის, თუ რამდენად შეგიძლიათ მათზე ზემოქმედება.

- სიდიდის შესაბამისად შეარჩიეთ ამ ისრების სიგრძე და/ან სისქე. ისრების მიმართულება სასურველი ცვლილებების მიმართულებას ემთხვევა.
3. ხაზის მეორე მხარეს ჩამოწერეთ ყველა ის ძალა, რომელიც, თქვენი აზრით, აფერხებს ან წინააღმდეგობას უწევს სასურველი ქმედებებისა თუ ცვლილებების განხორციელებას. ყოველ მათგანს მიახატეთ ისარი, უკუმიმართული ცენტრისაკენ სასურველი ცვლილებების მიმართულების საწინააღმდეგოდ. თითოეული ისრის სიგრძე და/ან სისქე აქაც ამ ძალთა ფარდობით სიდიდეზე მიანიშნებს.
 4. ახლა კი დააკვირდით, ამ ძალთაგან რომელზე შეგიძლიათ ზეგავლენის მოხდენა პოზიტიურ ძალთა გაზრდის ან ნეგატიურ ძალთა შემცირების მხრივ ისე, რომ უფრო რეალური გახადოთ სასურველი ცვლილებების განხორციელება.
 5. თქვენ შეგიძლიათ გადახედოთ მოქმედებათა თქვენეულ გეგმას ან ცვლილებები შეიტანოთ თქვენს სტრატეგიაში იმ მიზნით, რომ გაამყაროთ პოზიტიურ ძალთა ეფექტი და ამავე დროს მინიმუმამდე დაიყვანოთ ან საერთოდ მოხსნათ ნეგატიური ძალების ზემოქმედება.

ცხრილი 2.3 წარმოადგენს ძალთა ველის ანალიზის მაგალითს, რომელიც

ეხება კონკრეტულ სიტუაციას სამხრეთ აფრიკის ერთ-ერთ რეგიონში და ასახავს 1994 წლის არჩევნების წინა პერიოდს.

ამ ცხრილში ყოველი ძალის საგარეო სიდიდე აღინიშნება სხვადასხვა სისქის ისრით. ანალიზის ჩატარების შემდეგ გადაწყდა ემოქმედათ შემდეგი სტრატეგიით:


- ეროვნულ-პოლიტიკურ ლიდერებს განეხორციელებინათ მეტი კონტროლი როგორც ადგილობრივი ორგანიზაციის წევრებზე, ისე ნეგატიურ ელემენტებზე არმიასა და პოლიციაში.
- მშვიდობის კომიტეტებში გაეერთიანებინათ ANC-ს და ინკათას წარმომადგენლები.
- არმიისა და პოლიციის წევრები შეეყვანათ მშვიდობის კომიტეტებში ყველა დონეზე.
- უზრუნველყოთ საზოგადოებრივი მხარდაჭერა ნაციონალურ მედიაში.
- უზრუნველყოთ არჩევნების დამკვირვებელთა უკეთესი მომზადება – მათი ძირითადი ნაწილის მოზიდვა NGO-ს დახმარებით.

სვეტაჰი

ეს გრაფიკული მეთოდი ეფუძნება იმ მოსაზრებას, რომ ზოგჯერ არსებული მდგომარეობა განპირობებულია არა მისი რეალური სტაბილურობით, არამედ იმ ფაქტით, რომ მის შესანარჩუნებლად „მუშაობს“ მთელი რიგი ძალები ან ფაქტორები – საყრდენი სვეტები. თუ მოვანერხებთ ამ სვეტების იდენტიფიკაციას და შევეცდებით ვიპოვოთ მათი თავიდან აცილების ან მათი ზეგავლენის შემცირების საშუალება, მაშინ შესაძლებელი იქნება ნეგატიური მდგომარეობის დაძლევა და პოზიტიური სიტუაციის შექმნა.

როგორ გამოვიყენოთ ეს მეთოდი

1. განსაზღვრეთ არასტაბილური სიტუაცია (კონფლიქტი, პრობლემა ან უსამართლობა) და განასახიერეთ ის გად-



- მობრუნებული სამკუთხედის ფორმით – ქვევითკენ მიმართული კუთხით.
- ამის შემდეგ მოახდინეთ იმ ძალთა ან ფაქტორთა იდენტიფიკაცია, რომლებიც, თქვენი აზრით, ამ სიტუაციის შენარჩუნებას უზრუნველყოფენ. გამოხატეთ ეს სამკუთხედის ორივე ფერდის ქვეშ საყრდენი სვეტების ფორმით.
 - იფიქრეთ, როგორ შეიძლება თითოეული ამ სვეტის დასუსტება ან საერთოდ ამოგდება მოცემული სიტუაციიდან.
 - დაფიქრდით იმაზე, რა ტიპის სტაბილური მდგომარეობით შეიძლება არასტაბილური სიტუაციის ჩანაცვლება.

სქემაზე (2.10) გამოსახულია სიტუაცია ავღანეთში. აქ გაანალიზებულია თალიბანის ხელისუფლებასა და საერთაშორისო დახმარების სააგენტოებს შორის არსებული კონფლიქტი. სამკუთხედის ერთ მხარეს კონფლიქტის საყრდენებია; მათ ძირითადად განაპირობებს ხელისუფლების მოქმედება ან ის, რაც დაკავშირებულია ამ უკანასკნელთან – მაგალითად, სასტიკი პოლიტიკა, ქალების უფლებათა უკიდურესი შეზღუდვა, შიშის ატმოსფერო. მეორე მხარეს მოცემულია სვეტები, რომლებიც აღნიშნავენ კოორდინაციის არარსებობას, და-

უცველობის წუხილს, ცრურწმენებს, რაც დამახასიათებელია დახმარების აღმომჩენი ორგანიზაციებისათვის. ზოგ სვეტს შესაძლოა სხვა დანარჩენებზე უფრო გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს, ხოლო ზოგზე კი უფრო ძნელი იყოს ზეგავლენის მოხდენა. ამ საქმისათვის ალბათ საჭირო იქნება უფრო მაღალ დონეზე ჩარევა, სიტუაციათა მართვის სტრატეგიაზე ან დონორი ქვეყნების მიერ წარმოებულ პოლიტიკაზე რომ ზეგავლენა მოახდინონ. ნებისმიერ შემთხვევაში, თუ ამ სვეტთან ერთ-ერთი მაინც შესუსტდა ან განეიტრალდა, მდგომარეობის უკეთესობისაკენ შეცვლაა მოსალოდნელი.

კონფლიქტის, გადაუჭრელი პრობლემის ან უსამართლო სიტუაციის საყრდენი სვეტების შესწავლის შემდეგ უნდა შემუშავდეს კონკრეტულ მოქმედებათა გეგმა ან სტრატეგია ყოველი სვეტის შესასუსტებლად ან მოსასპობად.

სქემაზე (2.11) ნაჩვენებია, როგორ აკეთებს ამას ავღანეთის მშვიდობისა და ერთიანობისათვის თანამშრომლობის ქსელი, რომელმაც წინა ეტაპზე უკვე ჩაატარა არსებული მდგომარეობის ანალიზი. თითოეული პრობლემის გადაჭრას ერთი გზით გვთავაზობენ. თქვენ შეგიძლიათ მოიფიქროთ ბევრი სხვა შესაძლო ვარიანტი და ყოველი პრობლე-

სვეტები

რა არის ეს?

➤ იმ ელემენტებისა თუ ძალების გრაფიკული გამოსახულება, რომლებიც ხელს უწყობენ არსებული სიტუაციის შენარჩუნებას.

მიზანი

➤ იმის ვარჯიშვა, თუ როგორ ხდება სისტემების შენარჩუნება არსებულ მდგომარეობაში.

➤ არასასურველი სიტუაციის შენარჩუნების ხელშემწყობი ფაქტორების გამოვლენა.

➤ იმის ვარჯიშვა, თუ როგორ შეიძლება ამ სვეტური ფაქტორების შესუსტება, ან საერთოდ მათი ნეიტრალიზება, ანდა როგორ უნდა მოხდეს მათი გარდაქმნა შედარებით პოზიტიურ ძალად.


როდის გამოიყენება

➤ როცა ვაუგებარია, რა ძალების მოქმედებით ხერხდება არასტაბილური სიტუაციის შენარჩუნება

➤ როცა სიტუაცია თითქოს „გაიყინა“ სტრუქტურული უსამართლობის მდგომარეობაში.


პარიაანტები

➤ გამოსახეთ უკვე განხორციელებული ცვლილებები და ის ფაქტორები, რაც უზრუნველყოფდა თქვენთვის სასურველ მომავალს.



სქემა 2.11:

სვეტიცხლის მეთოდი
ავღანეთის II მაგალითი
მშვიდობისა და ერთიანობისთვის
თანაშრომლობის ქსელის სტრატეგია



მის გადასაწყვეტად წარმოადგინოთ სხვა, თქვენეული საშუალებები. ამ მეთოდის სხვაგვარად გამოყენებაც შეიძლება. ცალ-ცალკე ჩამოწერეთ ყოველი სვეტი და შემდეგ ერთობლივად იმსჯელოთ თქვენს ჯგუფში მათი გადაჭრის გზების შესახებ.

ამ ეტაპზე არ არის აუცილებელი შესაძლო მოქმედებათა დაგეგმვა. თქვენ აკბათ განაგრძობთ სიტუაციირ ანალიზს და ვიცრე მოქმედებას შეუდგებოდეთ, უნდა გაითეალისწინოთ შემდგომ თავებში განხილული ვერიანტები. მაგრამ სვეტების დახმარებით ადვილად მიხვდებით, რამდენად რეალურია ზეგავლენის მოხდენა მოცემულ სიტუაციაზე. ზოგჯერ იმასაც აშკარად დაინახავთ, რომ ზოგიერთი პრობლემის გადასაჭრელად ცოტა რამის გაკეთებაა შესაძლებელი; და მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ისეთი საკითხია, რომელთა მოგვარება თქვენს ძალებს აღემატება, ეს სქემა მაინც დაგეხმარებათ იმის გარკვევაში, თუ რომელი ორგანიზაციები ან ცალკეული პირები შეიძლება გახდნენ თქვენი მოკავშირეები და გაეცნოთ უკვე გატარებულ კონსტრუქციულ ღონისძიებებს.

პირამიდა

ეს მეთოდი მრავალდონიანი კონფლიქტების გასაანალიზებლად დაგკირდებათ. მისი საშუალებით გაარკვევთ ყოველი დონის უმთავრეს მხარეებსა და სუბიექტებს. სქემზე (2.12) ჩვენ გამოვსახეთ სამი დონე, თუმცა თქვენს კონკრეტულ სიტუაციაში შეიძლება მხოლოდ ორი იყოს, ან შეიძლება სამზე მეტიც აირჩიოთ.

თუ დააკვირდებით დიაგრამის თითოეულ დონეს და შეეცდებით თქვენს კონკრეტულ სიტუაციასთან დაკავშირებას, ნახავთ, რომ თქვენი საქმიანობის დიდი ნაწილი მხოლოდ ერთ რომელიმე დონეზეა ორიენტირებული. ეს კი, ალბათ, გაართულებს ეფექტური ცვლილებების განხორციელებას თქვენს გარემოზე სხვა დონეების ზემოქმედების გამო.

ანალიზის ეს ფორმა დაგეხმარებათ თქვენს სქემზე ადვილი მიუჩინოთ იმ ადამიანებს, რომლებიც რეალურ ზეგავლენას ახდენენ სიტუაციაზე და მნიშვნელოვან ფიგურებს წარმოადგენენ ურთიერთობათა საერთო ქსელში: ვერტიკალურად – არსებული სისტემის ფარგლებში და ჰორიზონტალურად – კონფლიქტური სიტუაციის თვალსაზრისით. ამ ადამიანებს შეუძლიათ დაპირისპირე-

**სქემა 2.12: პირამიდა
საგრონიანი სამკუთხედი**



ბულ მხარესთან მაშინაც ითანამშრომ-
ლონ, როცა სქემებზე მათ გამყოფი ხაზი
აშორებთ; ამდენად მათ შეუძლიათ შე-
ასრულონ მთავარი მოკავშირის ფუნქ-
ცია, როგორც ერთი დონის ფარგლებ-
ში, ისე ერთდროულად ყვბლა დონეზე
ჩა სატარებელ სა მუშაოში. ანალიზის ამ
ფორმბს დავუბრუნდებით მე-4 თავში,
სადაც მოქმედებათა სტრატეგიას გან-
ვიხილავთ.

პირამიდა - გვატემალას მაგალითი

ლუის რ. დავილა ს. არის ცენტრალუ-
რი ამერიკის განვითარების კვლევის
საბჭოს თანადირექტორი და „კონფლიქ-
ტზე მუშაობის“ კურსის ყოფილი მონა-
წილე. სქემებზე (2.13) იგი გვიჩვენებს,
თუ როგორ იყენებდა მისი NGO „პი-
რამიდას“ გვატემალაში მუშაობისას,

ანალიზის ეტაპიდან ეფექტური სტრა-
ტეგიის შემუშავების ეტაპზე გადასვლის
პროცესში.

კონტექსტი


1996 წელს გვატემალა სიტიში მთავ-
რობამ და გვატემალას ეროვნულმა რე-
ვოლუციურმა ერთობამ (URNG) ხელი
მოაწერეს უკანასკნელ სამშვიდობო შე-
თანხმებას. ამ შეთანხმებამ წერტილი
დაუსვა შეიარაღებულ შიდა დაპირის-
პირებას, რომელიც 30 დღეზე მეტ ხანს
გრძელდებოდა და რომელმაც 100 000
ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. მან სა-
თავე დაუდო ქვეყანაში რეკონსტრუქცი-
ისა და შერიგების პროცესის დაწყებას
და საფუძველი ჩაუყარა ერის ცნების
უფრო ფართო გაგებას. ამ სამშვიდობო
შეთანხმებით მოხდა იმის აღიარება,

პირამიდა

რა არის ეს?

- გრაფიკული მეთოდი კონფლიქტში ჩართულ მელიატორ-თა დონეების საჩვენებლად.
- მიზანი**
- ყოველ დონეზე მთავარი აქტორების (ლიდერების ჩათვლით) გამოვლენა.
- იმის გარკვევა, თუ რომელ დონეზე მუშაობთ ამჟამად და რა ვებით შესძლებდით საქმეში სხვა დონეების ჩართვას.
- იმის გარკვევა, თუ თითოეულ დონეზე მოქმედების როგორი ტაქტიკითაა უმჯობესი მუშაობის წარმართვა.
- ვებების ძიება დონეთა შორის კავშირის დასამყარებლად.
- პოტენციური მოკავშირეების გამოვლენა ყოველ დონეზე.
- როდის გამოვიყენოთ**
- ისეთი სიტუაციის ანალიზისას, რომელშიც სავარაუდოდ ჩართული არიან სხვადასხვა დონის აქტორები
- დონისძიებათა დაგეგმვისას მრავალდონიანი კონფლიქტის მოსაგვარებლად
- როცა უნდა გადაწყვიტოთ, საით მიმართოთ თქვენი ძალისხმევა.
- პარინანტიები**
- თითოეული დონისთვის გამოიყენეთ სამუთხედი (რადგან ყოველ დონეზე არსებობს ელიტა, საშუალო და დაბალი ფენები).
- გამოიყენეთ კარტოგრაფიის მეთოდთან ერთად სხვადასხვა დონის გამოსაკვლევადა.

**სქემა 2.13: პირამიდა
გვატამალას მაგალითი**



განმარტებები

- ჩვენი პოზიცია ეროვნული შუა დონის ხელმძღვანელებს / NGO-ებს შორის.
- აღნიშნავს ჩვენს ურთიერთობებს სხვა, ნაციონალური მასშტაბით მოქმედ NGO-ებთან და მათზე ზემოქმედების უნარს.
- ურთიერთობები სამთავრობო დაწესებულებებთან, მათი საქმიანობის ანალიზი, კონტროლი, კვლევა, მეტწილად საერთაშორისო თანამშრომლობასთან, ერთობლივი გადაწყვეტილებების შესრულებასთან, უცხოური ვალის გადასახდელად და სოციალური კომპენსაციისათვის გამოყოფილი ფონდების კონტროლთან დაკავშირებით. გვატემალას მთავრობა, საბოლოოდ, ასეთი ზეწოლის ცენტრში მოექცა.
- სოციოეკონომიკური განვითარებისა და პირველადი ორგანიზაციების ეფექტურობის ხელშეწყობა სასწავლო სემინარების, ინფორმაციული საუბრებისა და პოლიტიკური დისკუსიების გზით, დახმარება სოციალურ საჭიროებათა და საზოგადოებრივი პრობლემების გადაწყვეტის ხაზით და ა. შ.
- საერთაშორისო საზოგადოების ინფორმირება და მის წინაშე გარკვეული საკითხების ლობირება – კერძოდ, საკონსულტაციო ჯგუფისა (მთავრობათა და მთავრობათშორის ორგანიზაციათა ჯგუფი, შექმნილი გვატემალაში სამშვიდობო პროცესის მხარდასაჭერად). ჩვენი მთავარი ამოცანა იყო მიგვეწოდებინა ინფორმაცია და გაგვეზიარებინა საზოგადოებრივი ორგანიზაციების თვალსაზრისი შეთანხმებათა შესრულებასთან დაკავშირებით, მიგვეცა რჩევა საერთაშორისო თანამშრომლობის ფონდების განაწილების თაობაზე. სამოქალაქო საზოგადოებრივი ჯგუფების მიერ გამოყენებულ იქნა საერთაშორისო ფორუმიც იმ პოლიტიკის სამხედლოდ, რომლის შედეგადაც იზრდება სიღარიბე და ეჩვენებინათ კავშირი ასეთ პოლიტიკასა და საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციების მოთხოვნებს შორის.
- დიპლომატი, გაერთიანება და კოორდინაცია საერთაშორისო NGO-ებთან, რათა უფრო შედეგიანი იყოს ძალისხმევა და ეფექტურად იქნას გამოყენებული ფინანსური რესურსები. ეს სტიმულს მისცემს საერთაშორისო NGO-ებს ზეწოლა მოახდინონ თავიანთ მთავრობებზე, იქონიონ ზეგავლენა მათ პოლიტიკაზე საერთაშორისო დახმარებისა და თანამშრომლობის სფეროში და ამომრჩევლები გაარკვიონ სიტუაციაში.
- მხარდაჭერი ჯგუფების სისტემური ინფორმირება საერთაშორისო NGO-ების დახმარებისა და თანამშრომლობის პოლიტიკის შესახებ და NGO-ების მხარდასაჭერად ხელისუფლების ოფიციალურ პირებზე ზეწოლა.

**სამოქალაქო სწავლების აქტივობის
მუშაობის სტრატეგიის შემუშავება - (იხ.
სქემა 2.13)**

ჩვენი ყურადღება ძირითადად აქტორთა ღონეზე იყო მიმართული, სადაც ხდებოდა გადაწყვეტილების მიღება, ხოლო ნიმუშად გამოვიყენეთ ჯონ პოლ ლედერასის მიერ წარმოდგენილი სამშვიდობო პროცესისა და მასში მონაწილე აქტორების სამკუთხედი (პირამიდა). ყურადღებას ვამახვილებდით იმ ადამიანებზე, რომლებიც იღებენ საკვანძო გადაწყვეტილებებს ან გავლენას ახდენენ მათ მიღებაზე; ავადგენ ქვეყნის მასშტაბით მოქმედ პირთა სამკუთხედი და გადავწყვიტეთ ანალოგიური სამკუთხედის აგება საერთაშორისო საზოგადოების სტრუქტურის მართებულად წარმოსადგენად. ამის საფუძველზე გამოვსახეთ ურთიერთობათა სქემა.

ლუის რ. დავილა

რომ მყარი მშვიდობისათვის აუცილებელია ძირეული რეფორმა.

**რა საკითხები განვიხილეთ
და რის განხილვას
ვაპირებთ**

ამ თავში მკითხველს შევთავაზებთ კონფლიქტური სიტუაციების ანალიზის მეთოდებს და სქემებს

- კონფლიქტის სტადიები
- ღრობითი წრფივი
- კონფლიქტის კარტოგრაფია
- ABC (Attitude, Behaviour, Context – განწყობა, ქცევა, კონტექსტი) სამკუთხედი
- ხახვი (ან ღვეფილი)
- კონფლიქტის ხე
- კალთა ველის ანალიზი

- სვეტები
- პირამიდა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ მეთოდთა ნაწილი სხვადასხვა წყაროდან გადმოვიღეთ, ნაწილი კი თავად შევიმუშავეთ. ყველა მათგანი იყო გამოყენებული და გამოცდილი, ზოგჯერ კი მოდიფიცირებულიც მთელი რიგი ქვეყნების იმ წარმომადგენელთა მიერ, რომლებიც იღწვიან სხვადასხვა პოლიტიკური და სოციალური კონფლიქტების მოსაგვარებლად.

ამ მეთოდების შემუშავება არ გულისხმობდა ხისტი სქემების შექმნას – ის მიზნად ისახავს შემოგთავაზოთ მოქნილი პრაქტიკული დამხმარე საშუალება კონკრეტული სიტუაციის პერიპეტეებში გასარკვევად, რათა ამის შემდგომ მოხერხდეს ეფექტური სტრატეგიის შემუშავება არსებული კონფლიქტის მოსაგვარებლად. ამიტომ, მოგიწოდებთ გამოიჩინოთ შემოქმედებითი მიდგომა ამ მეთოდების გამოყენებისას. ხშირად უფრო შედეგიანია მათი კომბინირებული გამოყენება – მაგალითად, სტადიების ანალიზის შეთავსება კარტოგრაფიასთან, სამკუთხედ ABC-სა და პირამიდასთან – რომელიმე კონკრეტული სიტუაციის ასპექტების და ფაქტორების სხვადასხვა კუთხით შესასწავლად.



ასეთი ტიპის მრავალგანზომილებიანი ანალიზი დაგეხმარებათ უკეთ გაერკვეთ სიტუაციაში და განსაზღვროთ მოქმედების საწყისი პოზიცია. მოქმედების შესაძლო სტრატეგიას, საბოლოო ჯამში, განვიხილავთ მე-4 და მე-5 თავებში. მანამდე კი მე-3 თავში ვიმსჯელებთ იმ ზოგიერთ საკვანძო საკითხზე, მუდამ რომ წამოიჭრება ადამიანთა ურთიერთობებში და მათგან გამომდინარე შესაძლო კონფლიქტების სერიოზული ანალიზის პროცესში.

3 - საკვანძო საკითხები

მოკლე მიმოხილვა ■ ამ თავში განხილულია კონფლიქტის ანალიზისას წამოჭრილი ძირითადი საკითხები: ძალაუფლება, კულტურა, იდენტობა, გენდერი და უფლებები. ეს ის საკითხებია, რასაც „სწორი პასუხები“ არ გააჩნია, მაგრამ მათ ვერსად გაექცევით – მით უმეტეს, თუ თქვენი ანალიზის საფუძველზე სტრატეგიის შემუშავებასა და კონკრეტული მოქმედების დაწყებას აპირებთ.

შესავალი

წინა თავში აღწერილ მეთოდებს თუ გადახედვით, ადვილად შენიშნავთ, რომ ისინი უფრო მეტად უკავშირდებიან კონფლიქტის ანალიზს, ვიდრე მისი საკვანძო კომპონენტების – მხარეებისა და მათი პოზიციების, ურთიერთობებისა და ა.შ. – იდენტიფიკაციას. თუ კარგად დააკვირდებით მხარეთა შორის მიმდინარე კამათს და ეცდებით ჩაუღრმავდეთ კონფლიქტის დინამიკას, ნახავთ, რომ გარკვეული თემები წამოტივტივდება ხოლმე. ზოგჯერ მათ აშკარად კონფლიქტის საკვანძო საკითხებად ცნობენ (მაგ. „ამ კონფლიქტის საფუძველი იდენტობის პრობლემა“), ზოგჯერ კი თვალში საცემად არა, მაგრამ მაინც იგრძნობა მათი ფარული ზემოქმედება. აუცილებელია ამათგან მნიშვნელოვანი გაუგებრების მქონე ფაქტორების გამოვლენა და თქვენი თვალსაზრისის გაცხადება მათ შესახებ.

- **ძალაუფლება.** ძალაუფლება წარმოადგენს ადამიანთა შორის არსებული ნებისმიერი პრობლემის მთავარ ფაქტორს: ხშირად კონფლიქტს მისი გაფართოების სურვილი ან დაკარგვის შიში იწვევს. თუ გამოიყენეთ მე-2 თავში (გვ. 27, 28) აღწერილი კონფლიქტის კარტოგრაფიის მეთოდი, შეგეძლოთ კონფლიქტის სხვადასხვა

მხარე სხვადასხვა ზომის წრით აღგენიშნათ მოცემულ სიტუაციაში მათი ფარდობითი ძალის შესაბამისად. რა ფაქტორთა გათვალისწინებით არაკვევდით, რომელ მხარეს ჰქონდა მეტი ძალა? გამოავლენს თუ არა ეს მეთოდი ძალთა დისბალანსს მოცემულ სიტუაციაში? ხშირად კონფლიქტში ჩართულ ადამიანებს მიაჩნიათ, რომ სიტუაციის შესაცვლელად ან მშვიდობის დასამყარებლად ისინი არ ფლობენ რეალურ ძალას. მაგრამ რა არის ძალაუფლების რეალური წყარო? რა სარგებლობის მომტანია ძალაუფლებით აღჭურვა? რანაირად შეუძლია ადამიანს ძალაუფლება თავის სასარგებლოდ გამოიყენოს?

- **კულტურა.** კულტურა ძირითადად ხალხის აზროვნებისა და მოქმედების წესს განსაზღვრავს. ადამიანები აფასებენ და პატივს სცემენ საკუთარ კულტურას და ხშირად ცდილობენ მის დაცვას გარეშე ზემოქმედებისაგან. მაგრამ როგორ უნდა მოახერხონ მათი კულტურისათვის დამახასიათებელი ფასეულობების შენარჩუნება გარესამყაროში მიმდინარე ცვლილებების ფონზე – მაგ: სქესთა ურთიერთობის ან უფლებათა სფეროში? როგორ შეძლებენ ისინი კონფლიქტის მოგვარების ტრადიციული მეთოდების გაცოცხლებას და მათ მისადაგებას თანამედროვე კონფლიქტებთან? თუ მე-2 თავში აღწერილი ძალთა ველის (გვ. 37) ანალიზი ჩაატარეთ, შეამჩნევდით, რომ ტრადიციული და ახალი ძალები ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგოდ მოქმედებდნენ, მაგრამ ზოგ შემთხვევაში ერთი მიმართულებითაც მოქმედებენ. კულტურის რომელ ფაქტორს ხვდებით იმ სიტუაციაში, რომელთა მოგვარებაც განგიზრახავთ?

თუ ვერ მოზომე შენი ძალა, დაეცემი და თავპირს დაიმტკრევე. ეთიოპია

- **თვითიღნობა.** კულტურა განაპირობებს ადამიანებში რაიმე ერთობისადმი კუთვნილების განცდას, თვითგამორკვევას. კონფლიქტურ სიტუაციებში თვითშეგნება ზოგჯერ ცვლილებას განიცდის და ესკალაციის საფუძვლად იქცევა. იმან, თუ სხვები როგორ აღიქვამენ, ადამიანები გამოწვევის ან თავდასხმის ობიექტებად შეიძლება აქციოს. შეძლებენ კი საკუთარი ვინაობის იდეა განავითარონ, იმისდა მიუხედავად, თუ როგორებად წარმოუდგენიათ ისინი სხვებს? მე-2 თავში აღწერილი ხახვის მეთოდი (გვ. 33) შესაძლოა დაგეხმაროთ თქვენს კონკრეტულ სიტუაციასთან დაკავშირებულ საჭიროებათა და ინტერესთა გამოვლენაში. ანდა შესაძლოა ABC სამკუთხედის მეთოდმა (გვ. 31) გამოააშკარავოს იდენტობასთან დაკავშირებული განწყობები და ქცევები. თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ კონფლიქტის ხე (გვ. 36) იმის შესატყობად, თუ რაში ხედავს ესა თუ ის ჯგუფი თავის მთავარ პრობლემას – შეიძლება ეს იყოს საფრთხე, მათი იდენტობის რომელიმე ასპექტს რომ ემუქრება. ამ მეთოდის საილუსტრაციოდ მოყვანილ მაგალითში მეჯოგე თემისთვის უმთავრესი პრობლემა მიწის გასხვისება იყო.
- **განდარი.** კონფლიქტის დინამიკაში გასარკვევად და მისი კონსტრუქციული მართვისთვის ძალზე მნიშვნელოვანია სქესთა პრობლემის გაცნობიერება. როდესაც პირველ თავში (გვ. 5) სხვადასხვა შეხედულებას ვინილაგდით, ხომ არ გენიშნათ თქვენს სიტუაციაშიც ანათა სხვაობა სქესთა როლის შესახებ? ქალებსა და მამაკაცებს მართლაც განსხვავებული სოციალური ფუნქციები აყირიათ და მათი ძალაუფლებისა და გავლენის წყაროებიც არ არის ერთნაირი. როგორ აისახება ეს სხვაობები თქვენს ქმედებებზე კონფლიქტის მოგვარების პროცესში და ძალადობის შედეგთა დაძლევის მცდელობებზე?

- **უფლებები.** და ბოლოს, უფლებები წარმოადგენს სოციალური და პოლიტიკური კონფლიქტის ქვაკუთხედს. უფლებების შელახვა და ასეთი ქმედებების აღსაკვეთად წარმოებული ბრძოლა მრავალი მწვავე კონფლიქტის მთავარ მიზეზად გვევლინება. ადამიანთა უფლებების საყოველთაო დეკლარაცია უნდა იყოს ის საფუძველი, რომელსაც დაემყარება ღირებულებათა საერთო სისტემა და სოციალური სამართლიანობის ერთიანი კრიტერიუმი ნებისმიერი კულტურისა და გარემოსათვის. მაგრამ ამ აზრს ხშირად არ ეთანხმებიან. საჭიროა თუ არა ადამიანები შეთანხმდენ ძირითადი უფლებების შესახებ, ვიდრე დაიწყებდნენ ფიქრს შემდგომ წინსვლაზე? ეს კითხვა, ალბათ, მე-4 თავში აღწერილი „სტრატეგიული თანმიმდევრობის“ გამოყენებისას წამოიჭრება.

ყველა ზემოთ განხილული ფაქტორი, თუკი ჩვენი დამოკიდებულება მათ მიმართ ღია და დელიკატური იქნება, უზრუნველყოფს განუზომელ შესაძლებლებს ნებისმიერ ჯგუფსა თუ ორგანიზაციაში ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და განმტკიცებისათვის. მეორე მხრივ, მათი დათრგუნვის შემთხვევაში გამორიცხული არ არის ფეთქებადსაშიში სიტუაციის შექმნა. თითოეულ მათგანზე თითო ტომის დაწერა შეიძლება. ჩვენ არ გვიცდია მათი ამომწურავი გამოკვლევა, უბრალოდ გავაშუქეთ მხოლოდ უმთავრესი ასპექტები. ცნობები სხვა წყაროების შესახებ ამ საკითხთან დაკავშირებით იხილეთ მე-10 თავში.

ძალაუფლება

ძალაუფლება ბევრ მნიშვნელობას მოიცავს: ძალას, კანონიერებას, ხელისუფლებასა თუ იძულების შესაძლებლობას. უეჭველად იგრძნობდით, რომ ძალაუფლება მუდმივ ზეგავლენას ახდენს თქვენს ცხოვრებაზე. თქვენივე მოცდილებით გეცოდინებათ, თუ კონფლიქტის მონა-

წილე მხარეთა უთანადო ძალები რანაირად ზემოქმედებს მის შედეგზე; ის კი უიმედოდ მოუხელთებელია. ფულის დათვლა შეიძლება, ძალისა – არა.

ცივი ომის შემდგომ პერიოდში ძალაუფლება სულ უფრო ნაკლებად ასოცირდება ცენტრალიზებულ სახელმწიფოებრივ სტრუქტურებთან. ადვილი შესამჩნევია, თუ როგორ იღებს საერთაშორისო მასშტაბებს რომელიმე ქვეყნის საშინაო პრობლემები, როგორ ექცევიან საყოველთაო ყურადღების ცენტრში მცირე ჯგუფები, რა სწრაფად იცვლება ძველი წესრიგი და რაოდენ იზრდება ადამიანთა ზეგავლენა ერთმანეთის ცხოვრებაზე. ყოველივე ეს საკმაო საფუძველს გვაძლევს იმისთვის, რომ უფრო ფართო კონტექსტში განვიხილოთ ძალაუფლების თემა.

მნიშვნელოვანია კარგად გამოიკვლიოთ ძალაუფლების სხვადასხვა განზომილება ამა თუ იმ სიტუაციაში და რომელ მათგანზეც უფრო მივიწვდებით ხელი, სრულად გამოიყენოთ. ჯგუფებს შორის ძალთა მიახლოებითი თანასწორობა განაპირობებს იმის აღიარებას, რომ საზოგადოებას მართავს არა ძალაობა და შურისძიება, არამედ კანონი და სამართალი. ეფექტური საპარლამენტო სისტემა ეფუძნება იმ მოსაზრებას, რომ არჩეულ წარმომადგენელთა შორის ძალაუფლების სამართლიანი განაწილება უზრუნველყოფს ძალთა ბალანსის ჩამოყალიბებას სოციალურ ჯგუფთა შორის. ამ გზით მკვიდრდება კანონის უზენაესობა და გაცილებით ძნელდება უმცირესობათა დათრგუნვა.

უკომპრომისო ბაიბილი **ძალაუფლება**

ძალაუფლება არ არსებობს ვაკუუმში რაიმე ობიექტის ან ოდენობის ფორმით. ნებისმიერი ძალაუფლება გამოიხატება ურთიერთობებით ანდა ეფუძნება მათ – იქნება ეს ურთიერთობები მშობელსა და შვილს, მმართველსა და მართულს, თანამოქალაქებს, მიწათმფლობელსა და გლეხს, მეწარმესა და მუშას შორის.

ძალაუფლებას სხვა ნიშანიც ახასიათებს – იგი ყოველთვის არ ეფუძნება აქტიურ ძალას. მაგალითად, მშობელმა შეიძლება მოუსმინოს ბავშვის მოთხოვნას მისთვის მეტი თავისუფლების მინიჭების შესახებ, მაგრამ სულაც არ აღიქვას ეს სერიოზულად. ასე შესაძლოა მთავრობაც იღებდეს პეტიციებს თავისი მოქალაქეებისაგან, მაგრამ მათი მოთხოვნები არ შეიტანოს დღის წესრიგში. ვინც დღის წესრიგს აკონტროლებს, მას შესაბამისი საკითხის განხილვა-არგანხილვის კონტროლიც უხდება. აქედან გამომდინარე, კავშირურთიერთობები, წინმსწრები ხედვები და ინფორმირებულობა თავისთავად ძალაუფლების ალტერნატიულ წყაროს წარმოადგენს.

ინტერნეტმა უკვე გვიჩვენა თავისი უზარმაზარი შესაძლებლობები ინფორმაციის გაცვლისა და ადამიანთა ერთმანეთთან დაკავშირების საქმეში. მან მცირე ორგანიზაციებსაც კი საშუალება მისცა მიმართონ მრავალრიცხოვან აუდიტორიას; რიგითი ადამიანისათვის ხელმისაწვდომი გახდა უზომო ინფორმაციის მოპოვება. მაგალითად, სულ უფრო მეტი და მეტი ქვეყნის მთავრობა ათავსებს თავის ოფიციალურ განცხადებებს ვებგვერდებზე. რაც უფრო მეტი ადამიანი სარგებლობს ინტერნეტით, მით უფრო შთაბეჭდავ მასშტაბებს იღებს კოლექტიური ძალა და ერთობლივი მოქმედების შესაძლებლობები.

პიტონი ძალა

ამდენად, ურთიერთობათა რთულ სისტემაში ძალაუფლებას ფლობს არა მხოლოდ გამოკვეთილი ლიდერი, არამედ ისეთი პირი ან პირთა ჯგუფი, რომელთაც შეუძლიათ თქვან „არა“ ან შეაჩერონ განკარგულების შესრულება. მაგალითად, დამლაგებლებს შეუძლიათ უარი თქვან დამატებით დასუფთავებაზე და ამით ჩაშალონ საწარმოს ადმინისტრაციის მცდელობა ყალბი შთაბეჭდილება შეუქმნას ინსპექტორებს. საზოგადოებრივი უმცირესობის წარმომადგენელთა ჯგუფსაც შეუძლია მიტინგებისა და დე-

ყველაზე
 ბასრი იარაღი
 მრავალჯერ
 ხელში ჩაგ-
 რულთა
 ცნობიერებაა.
 სტიმ ბიპო



მონსტრაციების მოწყობით, ფართო მასების ინფორმირებით შეაჩეროს მთავრობის მცდელობა მიაჩუმათოს ესა თუ ის საჭირობოროტო საკითხი.

ვეტოს ძალა, რა თქმა უნდა, შეზღუდულია. ვეტოს უფლების მქონეებმა შეიძლება ის არც გამოიყენონ, თუ რისკი ძალზე დიდია: არ არის გამორიცხული, ეს მათ ძვირად დაუჯდეთ. ეს ხდება ისეთ სიტუაციაში, როცა მნიშვნელოვნად არის დარღვეული ძალთა თანასწორობა და დიდია იმის საშიშროება, რომ საპროტესტო გამოსვლებსა და დაუმორჩილებლობას სასტიკი ძალადობით უპასუხებენ.

და მანც, ურთიერთობები და რესურსები ყველაზე უფრო გასათვალისწინებელი სფეროებია, როცა ძალაუფლების მოთხოვნილებას განვიხილავთ ან ვცდილობთ გავიგოთ სინამდვილეში საიდან მოდის ის.

უხეში და რბილი ძალაუფლება

კონფლიქტის მოგვარების თეორეტიკოსები მიზანშეწონილად მიიჩნევენ ორი ძალის ერთმანეთისგან გარჩევას:

- **დამთრგუნველი** ანუ „**უხეში**“ ძალა (ბატონობისა და იძულების უნარი)

- **დამარჯმუნებელი** ანუ „**რბილი**“ ძალა (თანამშრომლობის, კანონიერების უზრუნველყოფის და დაყოლიების უნარი).

უხეში ძალა დომინირებს მწვავე კონფლიქტებში, სადაც გამარჯვებისთვის იბრძვის არმია ან სახალხო ლაშქარი. მეორე მხრივ, რბილი ძალა აუცილებელია ჭეშმარიტი სამშვიდობო პროცესისა და მშვიდობის დასაამყარებლად. ზოგჯერ განარჩევენ ორი სახის რბილ ძალას:

- **ურთიერთბაცვლის ძალა** (ეფუძნება კომპრომისებსა და გარიგებებს)
- **ინტეგრაციული ძალა** (მთავარი სტრატეგია დარწმუნება და პრობლემათა გადაწყვეტა).

ინტეგრაციული ძალა, რომელიც მიმართულია სიღრმისეული პრობლემების მოსაგვარებლად, მეტ დროს საჭიროებს, მაგრამ სიტუაციის გრძელვადიანი ტრანსფორმაციის ყველაზე ეფექტური საშუალებაა. მრავალ კონფლიქტში ერთობლივად გამოიყენება ყველა ეს სტრატეგია: უხეში ძალა – სამოქმედო სივრცის გამოსათავისუფლებლად და საწყისი მო-

რიგებებისა და კომპრომისების სურვილის სტიმულირებისათვის; მას მოჰყვება ხანგრძლივი მოლაპარაკებები, ორიენტირებული კონფლიქტის ისეთ მოგვარებაზე, რომელსაც ცნობს ყოველი დაპირისპირებული მხარე და ამდენად უფრო მყარია. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, სასტიკი, უხეში ძალის გამოყენება გაცილებით ართულებს გრძელვადიანი სამშვიდობო შედეგის მიღწევას.

ძალაუფლების წყაროები

რადგან არსებობს ძალაუფლების ამდენი ფორმა, ესოდენ დამოკიდებული მოცემულ სიტუაციასა და ურთიერთობებზე, სამოქალაქო საზოგადოებას და საზოგადოების ცალკეულ ჯგუფებს ეძლევათ ფართო გასაქანი, გაზარდონ საკუთარი ძალაუფლება არსებულ სიტუაციასა და ურთიერთობებზე ზეგავლენის მოსახდენად. „კონფლიქტზე მუშაობის“ ბოლოდროინდელ კურსზე მისი მონაწილეები განიხილავდნენ ძალაუფლების შემდეგ წყაროებს:


- ✓ ფული
- ✓ სრუქტურები
- ✓ ურთიერთობები
- ✓ ქარიზმა
- ✓ სანდოობა
- ✓ ადგილსამყოფელი
- ✓ რესურსებზე მისაწვდომობა

- ✓ კომპეტენტურობა
- ✓ ტრადიცია
- ✓ კომუნიკაცია
- ✓ მორალი
- ✓ ცოდნა
- ✓ ჩვევები/პროფესიონალიზმი
- ✓ კოლეგიალობა
- ✓ ინფორმაცია
- ✓ სისტემა
- ✓ უფლებამოსილება
- ✓ გამძლეობა
- ✓ პოზიცია
- ✓ გაცვლითი ვიზიტი
- ✓ კანონიერება
- ✓ უსაფრთხოება
- ✓ გამოცდილება
- ✓ ისტორია
- ✓ კავშირები
- ✓ პიროვნული თვისებები

ზოგიერთი ამ წყაროთაგანი დიდ ზეგავლენას ახდენს გარკვეულ სიტუაციებზე.

- **უფლებამოსილება (ან თანამდებობა).** ეს არის ძალაუფლება, რომელსაც ფლობს პირი ან პირთა ჯგუფი საკუთარი როლიდან გამომდინარე. მაგალითად, მამაკაცს, რომელიც ოჯახის უფროსად ითვლება, აქვს ძალაუფლება ქალებზე, ბავშვებზე

ხმალზე უფრო კალამი ჭრის. ინგლისი



ზე და მასზე უმცროს მამაკაცებზე. ძალაუფლების ეს ფორმა ეფუძნება კანონებს, წესებს (ქცევის მიღებულ ნორმებს), რესურსებს და ზოგჯერ იძულების ისეთ საშუალებებს, როგორცაა პოლიცია ან არმია. ტრადიციული და თანამედროვე სისტემები ხშირად ამა თუ იმ სოციალურ როლს (მაგ. უზუცესებს) ძალაუფლების სხვადასხვა ხარისხსანიჭებენ; ამ თვალსაზრისით რომელიმე კლასის, კასტის ან რასისადმი კუთვნილებამ შეიძლება განაპირობოს ერთი ადამიანის უპირატესი ძალაუფლება სხვებთან შედარებით.

- **რესურსებით სარგებლობის შესაძლებლობა.** ამ ტიპის ძალაუფლება ეფუძნება, ერთი მხრივ, კონტროლს ისეთი რესურსების განაწილებაზე, როგორცაა მატერიალური ფასეულობანი, ტექნოლოგიები, ფინანსები და მეორე მხრივ, პროდუქციის, დისტრიბუციისა და გაცვლის საშუალებათა მფლობელობას. თუ ერთი ჯგუფი დამოკიდებულია მეორეზე იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი აკონტროლებს იშვიათ რესურსს (მაგ. წყალს), მაშინ გარკვეული აზრით, პირველი ჯგუფი მეორის „ხელშია“.
- **კავშირები.** „მნიშვნელოვანია არა ის, თუ რა იცი, არამედ ის, თუ ვის იცნობ“. სოციალური კავშირები ძალაუფლებების მნიშვნელოვანი წყაროა. ურთიერთობათა ქსელის შექმნა – პირადი კონტაქტების გაფართოება – გავლენის მოპოვების ერთ-ერთი მთავარი საშუალებაა.
- **ჩვევები/პროფესიონალიზმი.** პროფესიონალიზმი ტექნიკურ საკითხებში (მაგ. კომპიუტერული მომსახურება) და ტექნოლოგიური პროცესის ფლობა (თუ როგორ უნდა გაკეთდეს რაიმე) – ორივე ეს გარკვეული ძალაუფლების მიმნიჭებელია. მათ გარეშე ვერც ორგანიზაციები და ვერც არმიები ვერ იმოქმედებენ. ცვლილებებისა

და საშვილობო ინიციატივების განხორციელება დამოკიდებულია ასეთი მომსახურების ხარისხზე.

- **ინფორმაცია.** ზუსტი ინფორმაცია უმთავრეს როლს ასრულებს სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში. კონფლიქტური სიტუაციის დროს ინფორმაციის კონტროლი და მანიპულირება მნიშვნელოვან იარაღადაა მიჩნეული. ვინც აკონტროლებს ან ზრდის ინფორმაციას, მას ზეგავლენის მოხდენის დიდი პოტენცია გააჩნია.
- **პიროვნული თვისებები.** პიროვნულ ძალაუფლებას განაპირობებს ისეთ თვისებათა ერთობლიობა, როგორცაა ინტელექტი, საკუთარი თავის რწმენა, გაბედულება, ხიბლი, ქარიზმა, ენერჯიულობა, გულწრფელობა, ფონი, წარმატება მუშაობაში. ყოველივე ეს ამაღლებს პიროვნების სანდოობასა და ავტორიტეტს სხვების თვალში.

ძალაუფლება და პასუხისმგებლობა

როცა თქვენი ძალაუფლება იზრდება, უნდა გაიზარდოს თქვენი პასუხისმგებლობაც ამ ძალაუფლების გამოყენებაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში იქმნება იმის საშიშროება, რომ თქვენ უბრალოდ იმ სტრუქტურების ასახვას შეუდგებით, რომელთა შეცვლაც გქონდათ განზრახული. ამიტომ უნდა ეცადოთ სხვებიც დააინტერესოთ თქვენი საქმიანობით და ანგარიში ჩააბაროთ თქვენს კოლეგებს, სისტემის სხვა წევრებს და ა.შ.

ადამიანები ძალაუფლების გამოყენებაზე პასუხისმგებლობას თავიდან იცილებენ ქვემოთ ჩამოთვლილი გზებით:

- ინფორმაციის დამალვა
- ფარული მუქარა
- არადიარება ძალაუფლებისა, რომელიც მათ გააჩნიათ
- კომუნიკაციის შეზღუდვა ან საერთოდ მისი უგულებელყოფა.

დაფიქრდით ძალაუფლების თქვენთვის ხელმისაწვდომ წყაროებზე:

- შესძლებთ მათ ეფექტურ გამოყენებას კონფლიქტური სიტუაციის დარეგულირებისას?
- მიგაჩნიათ, რომ თქვენი პასუხისმგებლობის ხარისხი შეესაბამება იმ ძალაუფლებას, რომელსაც ფლობთ და იყენებთ?

კულტურა

აღიარებული განსაზღვრებით კულტურა ესაა: „ჩვევები და ღირებულებანი, რომელიც საერთო გარკვეული გარემოს მოსახლეობისათვის. კულტურა საერთო, კოლექტიური პროდუქტია; იგი მოიცავს ქმედებათა მთელ რიგსა და კრიტერიუმებს, რომელთა მიხედვითაც ფასდება სხვების ქმედებანი“.¹

კულტურა არ არის რაღაც თანდაყოლილი. მას ვითვისებთ ბავშვობასა და სიყმაწვილეში მშობლების, ოჯახების, უფროსების, მასწავლებლების, ღვთისმსახურთა და მას მედიის დახმარებით. კულტურა არც სტატიკური მოვლენაა, თუმცა შესაძლოა ზოგჯერ ასეთადაც მოგვეჩვენოს. იგი იცვლება დროთა განმავლობაში სხვადასხვა შიდა და გარე ფაქტორთა ზეგავლენით.

კულტურა ჩოგორს კონფლიქტის ფაქტორი

როცა საქმე ეხება სოციალური და პოლიტიკური კონფლიქტის მოგვარებას, კულტურა სშირად თავს იჩენს როგორც ფაქტორი, რომელიც აღიარებასა და მართვას საჭიროებს. ითვლება, რომ კულტურა განსაზღვრავს ჩვენი ქცევის წესს, ჩვენს ურთიერთობებს სხვებთან და იმასაც კი, თუ რას ვფიქრობთ მიმდინარე მოვლენებზე და როგორ აღვიქვამთ მათ. ამრიგად, ყველა, ვინც კონფლიქტის მოგვარებაზე მუშაობს, კარგად უნდა ერკვეოდეს მონაწილე მხარეების კულტურაში, განსაკუთრებით მაშინ, როცა ეს მხარეები სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლები არიან.

მარკ როსის მტკიცებით, სინამდვილეში, საქმე გვაქვს „კონფლიქტის კულ-

ტურასთან“, ანუ საზოგადოებაში არსებული ნორმების, გამოცდილების და ჩვევების სისტემასთან, რომელიც განაპირობებს იმას, თუ ვისთან ან რის გამო ჩნდება დაპირისპირება, როგორ ვითარდება იგი და რა შედეგს იწვევს“.² პრაქტიკული თვალსაზრისით ეს ნიშნავს შემდეგს: თუ გინდათ კონფლიქტზე ეფექტურად იმუშაოთ, ნათელი წარმოდგენა უნდა იქონიოთ კონკრეტული დაპირისპირების მონაწილე ცალკეული ღირებულებების, ნორმების, მიღებული წესებისა და ჩვევების შესახებ.

ანალიზის მეთოდი და სიტუაციაში ჩარევის ტაქტიკა უთუოდ უნდა ითვალისწინებდეს კულტურის ფაქტორებს. მაგრამ, ამასთან, თქვენ და თქვენს კოლეგებს შეიძლება მოგიწიოთ იმ კულტურულ სტერეოტიპთა ეჭვის ქვეშ დაყენება, რომლებიც ვინძლო აბრკოლებდნენ კონფლიქტის მოგვარებას და ზოგჯერ იწვევდნენ კიდეც.

კულტურა ჩოგორს მშვიდობის შენახვის რისკის

ნებისმიერი კულტურისათვის დამახასიათებელი ტრადიციები, სისტემები, პროცესები და როლი დიდად დაგვემარება კონფლიქტის დაძლევისა და მშვიდობის შენებაში. ბევრგან არსებობს ინტერპერსონალური ან ჯგუფებს შორის წარმომადგენელი კონფლიქტების მოგვარების მეთოდები, რომლებიც საუკუნეთა მანძილზე გამოიყენებოდა. ზოგიერთ შემთხვევაში თანამედროვე კულტურა უგულვებელყოფს მათ ან ახდენს მათ ჩანაცვლებას უფრო პროფესიონალური ან ტექნიკური მეთოდებით. მაგრამ ახლა უკვე ბევრი პრაქტიკული მუშაკი აღიარებს, რომ ტრადიციული მეთოდების გამოყენება ძალზე მნიშვნელოვანია და რომ შესაძლებელია მათი დადებითი ასპექტების შეთავსება უფრო თანამედროვე მეთოდებთან.

მაგალითად:

- ლიბერიაში ადამიანებმა, რომლებიც ომის ტრავმათა მოშუშებაზე მუშაობ-

არა მხოლოდ საქონლის ფოგი ექვემდებარება კონტროლს. ბარაბანი, ტანჯანია

დნენ, შეიმუშავეს საინტერსო პროგრამა. იგი მოიცავდა, ერთი მხრივ, ფსიქოლოგიურ კონსულტაციებს, მეორე მხრივ – ტრადიციული იგავებით თხრობას. ამ პროგრამის ფარგლებში ე.წ. „მსხვერპლი“ და „მოძალადე“ ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას და იწყებენ ურთიერთობების აღდგენას, რაც გვერდიგვერდ ცხოვრების საშუალებას მისცემთ.

- სომალილენდში ომის შედეგად მთავრობამ თითქმის შეწყვიტა ფუნქციონება. ამან ხალხი აიძულა აღედგინათ მმართველობის ის სტრუქტურები და პროცესები, რაც ემყარებოდა ტომის უზუცესთა ტრადიციულ როლს, მაგრამ მასში უფრო შესამჩნევი შეიქნა ქალებისა და ახალგაზრდების მონაწილეობა.
- ქალები ბევრ ქვეყანაში, სადაც მათი ფუნქცია ძირითადად ტრადიციული როლით – დედობით, გამოიხატება (ასეთი კულტურა ზღუდავს მათი საქმიანობის სფეროს მხოლოდ პირადი ცხოვრებით ანუ ოჯახური გარემოთი), სწოგადობრივ ასპარეზზე გამოსვლისას მშვიდობისა და სამართლიანობის დამყარების მოთხოვნით, ზოგჯერ ახერხებენ პოლიტიკური ბარიერების გადალახვას (მაგ. ისეთი ჯგუფები, როგორცაა „დედები მშვიდობისათვის“ და „უგზოუკვლოდ დაკარგულთა დედები“).
- გვატემალაში ხელისუფლებასთან დაპირისპირებული შეიარაღებული ჯგუფი გახდა მრავალდონიანი მოლაპარაკების ისეთი პროცესის ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი და მხარდამჭერი, რომელიც ემყარება ამ კულტურისათვის დამახასიათებელ დიალოგის ტრადიციულ ფორმებს.

ეს მხოლოდ მცირეა იმ ზღვა მაგალითიდან, რომლებიც გვიჩვენებს, როგორ იყენებენ პრაქტიკოსები საკუთარი კულტურის ძლიერ მხარეებს – როგორც სამშვიდობო პროცესის მნიშვნელოვან რესურსს.

კულტურა, პრიმიტივიზმი და უთანხმოება

კულტურა აყალიბებს ურთიერთობების გზებს და ფორმებს და ახდენს მათზე ზეგავლენას. როცა კონფლიქტის მხარეების კულტურული ფონი ძლიერ განსხვავდება მეორისაგან, ამ მხარეთა წარმოდგენაც კომუნიკაციაზე ძალიან განსხვავდება, მაგრამ შეიძლება ხშირად ამას ვერც აცნობიერებდნენ. ეს ნათლად ჩანს ქვემოთ მოყვანილი მაგალითიდანაც:

კულტურით განპირობებული გაუგებრობა

„კონფლიქტზე მუშაობის“ ერთ-ერთი კურსის მიმდინარეობისას სამხრეთ აფრიკელი მამაკაცი ესაუბრებოდა ქალს აღმოსავლეთ ევროპიდან. აფრიკელი, თავისი კულტურისათვის დამახასიათებელი სტილის შესაბამისად, ძალიან ახლოს იდგა თავის თანამოსაუბრესთან და ლაპარაკისას პირდაპირ თვალებში უყურებდა. ქალი კი, რომლის მშობლიურ კულტურაშიც ჩვეულებრივი საუბრის ფორმაზე სრულიად განსხვავებული წარმოდგენა ჰქონდათ, მის მანერას აღიქვამდა როგორც მეტად აგრესიულსა და შემამოფრთხილებელს. თავისი კულტურული სტილის შესაბამისად, ის განუწყვეტილად უკან იხევდა თანამოსაუბრესთან დისტანციის დასაცავად და მის მზერასაც თვალს არიდებდა. ქალის ასეთ ქცევას აფრიკელი იმის ნიშნად მიიჩნევდა, რომ მას ან არ აინტერესებდა ან ვერ იგებდა თანამოსაუბრის ლაპარაკს. ეს აიძულებდა აფრიკელს კიდევ უფრო მეტად მიახლოვებოდა ქალს და უფრო ენერგიულად გამოეთქვა თავისი აზრი. ადვილი წარმოსადგენია, როგორ გაართობდა ეს სცენა გარეშემომყოფთ, მაგრამ ეს ფაქტი თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ სხვადასხვა კულტურაში მიღებული ურთიერთობების ფორმათა არაერთგვაროვნება შეიძლება სერიოზული გაუგებრობისა და კონფლიქტის ესკალაციის საფუძველი შეიქნას. აღნიშნულ შემთხვევაში კურატორები დაენმარნენ მოსაუბრეებს მომხდარის გაანალიზებაში.

სხვადასხვა კულტურის ფონზე წარმოშობილი კონფლიქტის მოგვარებისას წარ-

მოდგენა უნდა გვექონდეს, როგორცაა უთანხმოების გამოხატვის ფორმა ან თუ იმ კულტურისათვის. ერთი შეხედვით ერთგვაროვან კულტურულ გარემოშიც ადამიანებმა აუცილებლად უნდა იცოდნენ, როგორ გამოხატონ საწინააღმდეგო აზრი ისე, რომ არ გაამწვავონ კონფლიქტი. ერთი და იმავე კულტურის ფარგლებშიც კი მამაკაცებისა და ქალებისათვის ჩვეული საკომუნიკაციო სტილი ხშირად ისევე განსხვავებულია, როგორც სხვადასხვა სოციალური კლასების წარმომადგენლებისა.

შესაძლოა კულტურითვე იყოს განპირობებული ურთიერთობათა გარკვეული სტილისთვის უპირატესობის მიჩვენება. კოლონიურ ეპოქაში ადგილობრივ მოსახლეობას ერთმანეთთან და ხელისუფლებასთან ურთიერთობისას ხშირად აიძულებდნენ შეეთვისებინათ ქცევის დასავლური წესი და უგულებელყოთ ტრადიციული ნორმები: მაგალითად, სახელმწიფო ხშირად არ ცნობდა მიღებულ ადათ-წესებზე დაფუძნებულ ქორწინებას და წყვილებს ლეგიტიმაციის საბაბით აიძულებდა ქორწინებას სამოქალაქო წესით. ბევრ კულტურაში ქალებს და „დაბალი“ კლასების წარმომადგენლებს უწევდათ მამრობითი სქესის ელიტის მეტყველებისა და ურთიერთობის სტილის გადმოღება თუნდაც იმისთვის, რომ უბრალოდ ეცნოთ მათი უფლებები ან მოესმინათ მათთვის.

ურთიერთობათა დასარეგულირებლად აუცილებელია ამგვარი ფაქტორების და კომუნიკაციის სხვადასხვა სტილის გათვალისწინება. მაგალითად, ბევრ საზოგადოებაში ჭორს განსაკუთრებული როლი ენიჭება როგორც სოციალური ურთიერთობებისა და საინფორმაციო ურთიერთგაცვლის საშუალებას, სხვაგან კი მას ალმაცერად უყურებენ და არასაიმედო, პროვოკაციულ მოვლენად მიიჩნევენ.

ადამიანის უფლებები და კულტურა

კულტურის როლი ხშირად თავს იჩენს ადამიანის უფლებათა სფეროშიც. სხვა-

დასხვა კულტურის წარმომადგენლებთან ადამიანის უფლებებზე მსჯელობისას ხშირად გამოითქმება აზრი, რომ „ადამიანის უფლებები“ თავისი არსით დასავლური ცნებაა და, აქედან გამომდინარე, მას არც ენიჭება რაიმე განსაკუთრებული მნიშვნელობა მათ საკუთარ, ანუ არადასავლურ გარემოში. ამ თვალსაზრისის თამახმად, ეს უფლებები არ არის უნივერსალური და აბსოლუტური, ამიტომ უნდა განიხილებოდეს ურთიერთობებისა და ქმედებების კონკრეტული კულტურით განპირობებული წესების გათვალისწინებით. ეს საკითხი ხშირად წამოიჭრება ქალთა უფლებებთან დაკავშირებით იმ კულტურულ გარემოში, სადაც მამაკაცებსა და ქალებს ძალზე განსხვავებული საზოგადოებრივი როლები აკისრიათ.

არსებობს ისეთი სფეროები, რომლებშიც ქალები ერთი სოციალური ფენის ფარგლებშიც კი არ სარგებლობენ იმავე უფლებებით, რითაც მამაკაცები – მაგალითად, საოჯახო სამართლისა ან მემკვიდრეობისა და საკუთრების უფლების მარეგულირებელი კანონების მოქმედების არეალში. მაშინაც კი, როცა ეს უფლებები კანონმდებლობით არის დაცული, შესაძლოა წეს-ჩვეულებებმა არ მისცეს ქალებს მათი რეალური გამოყენების საშუალება. ამიტომ დღის წესრიგში დგება, როგორ მივუსადაგოთ ადამიანის უფლებათა უნივერსალობა კულტურათა მრავალფეროვნების პატივისცემას. ამ პრობლემას მოგვიანებით მივუბრუნდებით – ამავე თავის იმ ნაწილში, სადაც ადამიანის უფლებები იქნება განხილული.

რელიგია და კულტურა

თუმცა მსოფლიოს სხვადასხვა რელიგია მრავალი ადამიანისათვის შთაგონებისა და ნუგეშის წყაროს წარმოადგენს, მორწმუნეთა საქციელი იშვიათად მისდევს რელიგიის მიერ დასახული გზას აბსოლუტური ჭეშმარიტებისაკენ.

ხშირად მორწმუნეთა ქცევა მცირედ თუ განსხვავდება შესაბამის კულტურაში მიღებული ქცევის ძირითადი წესებისაგან.

მაგალითად, რუანდაში ადრეც და 1994 წელსაც რელიგიური კონფესიები ქადაგებდნენ მშვიდობასა და ურთიერთმიმტევებლობას და სხვადასხვა ღონისძიებასაც კი აწყობდნენ ამ მიზნით, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გენოციდში ერთნაირად აქტიური მონაწილეობა მიიღეს მღვდლებმა, მონაზვნებმა და უბრალო მრევლმა.

საუკუნეთა მანძილზე ქრისტიანი მოღვაწეები გარკვეული ისტორიული და კულტურული კონტექსტების ღირებულებებს გამოხატავდნენ: კერძოდ, სხვადასხვა ეპოქაში წმინდა წერილებს იყენებდნენ, ერთი მხრივ, მონობის, რასიზმის და ქალთა დათრგუნული მდგომარეობის გასამართლებლად, მეორე მხრივ კი – თავისუფლების, ღვთისმომშობისა და პაციფიზმის საქადაგოდ.

კულტურალისტური ჯგუფები

კულტურალისტური ჯგუფები ჩნდება იმ შემთხვევაში, როცა რელიგიური და ეთნიკური ნიშნით გაერთიანებული საზოგადოების გარკვეული ნაწილი თავს უფლებო და დათრგუნულ უმცირესობად მიიჩნევს საზოგადოების სხვა ნაწილის მიერ დომინირებულ სახელმწიფოში. წინააღმდეგობის ჯგუფის კულტურის (რომლის უმნიშვნელოვანესი ფაქტორიც არის რელიგია) მობილიზაცია მიმართულია თვითკონტროლის, ავტონომიისა და თვითმმართველობის უფლების მოსაპოვებლად. ამის მაგალითია ტიბეტელი ბუდისტების მოქმედება ჩინეთში, სიკებისა – ინდოეთში, მუსლიმანი პალესტინელებისა – ისრაელის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ლუის ფარაკანის მიმდევართა მიერ ჩამოყალიბებული ორგანიზაციის, „ისლამური ერისა“ – ამერიკის შეერთებულ შტატებში, ბოსნიელი მუსლიმანებისა – ყოფილ იუგოსლავიაში. ყველა აქ ჩამოთვლილ შემთხვევაში ეთნიკური უმცირესობისათვის რელიგია არის იმ დომინანტური კულტურის წარმომადგენელთა წინააღმდეგ მიმართული ქმედებების იდეოლოგიური საფუძველი, რომლებიც, უმცირესობის აზრით, ისწრაფვიან ძირი გამოუთხარონ ან გაანადგურონ მათი, უმცირესობის, კულტურა.


რელიგია და კულტურა ხშირად განმსაზღვრელი ფაქტორებია ისეთ პოლიტიკურ მოძრაობებშიც, რომელთაც იუსუფ ბანგურა³ „კულტურალისტურ ჯგუფებს“ უწოდებს.

ასე რომ, კონფლიქტზე მუშაობისას მნიშვნელოვანია შემდეგის გათვალისწინება: როდესაც რელიგია კონკრეტულ კულტურასთან არის დაკავშირებული, ის შესაძლოა ანგარიშგასაწევი ძალა იყოს, რომელსაც შესწევს მოცემული სიტუაციის კონტროლი. რელიგიური და კულტურული შეუწყნარებლობის ატმოსფეროში კი შეიძლება ძალადობის ესკალაცია გამოიწვიოს.

ასევე მნიშვნელოვანია იმ ფაქტის გაცნობიერებაც, რომ რელიგიამ, როცა ადამიანები მკაცრად იცავენ მის იდეალებს, შესაძლოა პოზიტიური ზეგავლენა იქონიოს კონფლიქტურ სიტუაციაზე. ყველა დროში იყვნენ სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლები, რომლებიც, ხშირად უდიდესი პიროვნული მსხვერპლის ფასად, თავგამოდებით იცავდნენ თავიანთი სარწმუნოების ძირითად ფასეულობებს – ბოლო ხანებიდან მარტინ ლუთერ კინგის, განდის და დალაი ლამას დასახელებაც საკმარისია. მათ გარდა, შეიძლება ჩამოვთვალოთ ნაკლებად ცნობილი ძალიან ბევრი ადამიანი, ქალიცა და მამაკაციც, თავიანთ რელიგიაში რომ პოვენ მიმტევებლობის, სამართლიანობისა და ჰუმანურობის ისეთი პრინციპები და ღირებულებანი, რაც მძვინარე კონფლიქტის პირობებშიც კი ფრთებს ასხამდათ მშვიდობისა და სამართლიანობის მოსაპოვებლად.

გამონახეთ დრო კულტურის იმ ასპექტების განსაზღვრელად, თქვენთან მიმდინარე კონფლიქტის დროს რომ იჩინეს თავი:

- მიგაჩნიათ იმ მნიშვნელოვან ფაქტორად, რომელსაც შეუძლია როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ზეგავლენის მოხდენა?
- ხედავთ გზებს, რომლებიც დაგეხმარებოდით კულტურათა სხვადასხვა-



ობის გარკვევაში, შეფასებასა და აღიარებაში, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობდა მშვიდობისა და სამართლიანობის დამკვიდრებას?

ილენტოვა

ალბათ ხშირად დაგისვამთ საკუთარი თავისთვის კითხვა: „ვინ ვარ მე?“ და პასუხიც ბევრი და განსხვავებული მიგიღიათ. ერთი ქალის პასუხი ასეთი იყო: „მე ვარ ქალი, ღედა, ცოლი, შვილი, სომალელი, მუსლიმანი, წარმოშობით ვარ კენიიდან, მომთაბარე ტომის წარმომადგენელი, ჯანდაცვის მუშაკი, სამშვიდობო მოლაპარაკებათა ორგანიზატორი, კონფლიქტების დარეგულირებაზე მომუშავე, საზოგადოებრივი განვითარების პროგრამის თანამშრომელი, ტრენერი.“ ყველა ეს პასუხი სიმართლეს შეეფერება, რადგან ამ პიროვნების თვითიდენტობის ყველა ასპექტსა და კომპონენტს ასახავს. ზოგი მათგანი სხვებზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდება იმისდა მიხედვით, როგორ აღიქვამს ის თავის თავს, მაგრამ ეს ადგილსა და გარემოებაზეც არის დამოკიდებული.

განსხვავებულ კონტექსტში პიროვნების განსხვავებული ასპექტი წამოიწვევს წინ. მაგალითად, ოჯახის კონტექსტში ზემოხსენებული ქალი ხაზს გაუს-

ვამდა ალბათ დედობასა და ცოლობას, ხოლო სამსახურეობრივი თვალსაზრისით საკუთარ თავს დაახასიათებდა როგორც ჯანდაცვის მუშაკს, ტრენერს ან კონფლიქტთა დარეგულირებაზე მომუშავე პირს.

ილენტოვას ურთიერთობები ახალიზებს

პიროვნების ჩამოყალიბებაზე გადამწყვეტ ზეგავლენას ახდენს სხვებთან ურთიერთობა და დომინანტური კულტურა. ზემოთ მოყვანილ მაგალითში ამ ქალს ალბათ ბრძოლა უზღებოდა თავისი კულტურის მიერ თავსმოხვეულ იდენტიფიკაციასთან ან მისსავე თანამშრომელთა შეხედულებებთან ქალის როლისა და სტატუსის შესახებ. ბრიტანეთში ქალს ხშირად ეკითხებიან, გათხოვილია თუ არა, მაშინ როდესაც ნაკლებად ინტერესდებიან მამაკაცის ოჯახური მდგომარეობით. ადამიანთა ჩვევა, კატეგორიებად დაყოფა ინდივიდები თუ ინდივიდთა ჯგუფები, სინამდვილეში, ამ სამყაროში თავის გადასარჩენად გამომუშავებული წესია – სამყაროში, სადაც იმისი დრო არაა, ინდივიდუალურად შეაფასონ ყოველი ადამიანი; მაგრამ ასეთი სტერეოტიპების შექმნა ხშირად უზუსტოცაა და მცდარიც, რადგან არასრულ ინფორმაციას ემყარება და შემფასებლის მომ-

ზადების დონითა და ცხოვრებისეული გამოცდილებით არის განპირობებული. მასზე დიდ ზეგავლენას ახდენს აგრეთვე ინფორმაციის მასობრივი საშუალებები.

მსგავსი პრობლემები გააჩნიათ მთელს მსოფლიოში ეთნიკური უმცირესობებს, როცა საზოგადოების უმეტესობა ცდილობს კანის ფერისა ან სხვა ნიშნების მიხედვით განსაზღვროს მათი იდენტობა. აღმოსავლეთ კონგოში RTC-ის ერთ-ერთ თანამშრომელს მუდმივი შიშის ქვეშ უწევს ცხოვრება, რადგან მაღალია, გამხდარი და აქვს თხელი ცხვირი. რაიონში, სადაც ის მუშაობს, ხშირად ბანიაშულენგეს ტომის წარმომადგენლად მიიჩნევენ, ამ ტომთან კი სამკვდრო-საციცოცხლოდ არიან დაპირისპირებული. ასე რომ, ეს ადამიანი ხშირად ხდება თავდასხმის მსხვერპლი. სტერეოტიპთა ჩამოყალიბება, რომელთაც გარკვეული ჯგუფების დისკრიმინაციამდე მივყავართ, უფრო დეტალურად განიხილება მე-6 თავის ნაწილში „ცრურწმენები“ (გვ. 118). იქვე ვთავაზობთ ასეთ სიტუაციაში მოქმედების ადეკვატურ ფორმებს.

სერიოზული პრობლემები ჩნდება მაშინაც, როცა ადამიანები ერთმანეთს მხოლოდ სტერეოტიპთა საფუძველზე აღიქვამენ. რასა და სქესი ის კატეგორიებია, რომელთაც ხშირად იყენებენ ადამიანთა რიგი ჯგუფების კლასიფიკაციისათვის და აგრეთვე, მათ მიმართ არა-ჰუმანური და უსამართლო მოპყრობის საბაბად. ხელისუფლება, როცა მას სურს თავი დაადწიოს საკუთარი მოქმედებების გამო შექმნილ უხერხულ მდგომარეობას, ხშირად მიმართავს ამ მექანიზმს – თავისი სისასტიკის გასამართლებლად ადამიანთა მთელ ჯგუფს ადანაშაულებს და აქცევს განტევების ვაცად.

მეოცე საუკუნეში მრავლადაა ამის მაგალითი – 30-იანი წლების ებრაელთა გენოციდი გერმანიაში თუ 70-იანი წლებში კამბოჯის ინტელიგენციის ამოწყვეტის ფაქტები; ნაკლებ სავარაუდოა, რომ ამას წერტილი დაესვას ოცდამეერთე საუკუნეში.

იდენტობა და კონფლიქტი

იდენტობა მრავალმხრივია დაკავშირებული კონფლიქტურ სიტუაციებთან. კერძოდ, იგი შეიძლება მექსეულად შეიცვალოს გარკვეული საფრთხის – რეალურისა თუ მოგონილის – გაჩენისთანავე. ადამიანისათვის აუცილებელია იყოს რაიმე ერთობის ნაწილი და თავი დაიზღვიოს იმ საფრთხისაგან, გარემოებათა ცვლებას რომ მოჰყვება; ამ დროს ლიდერები პირობას იძლევიან, რომ დაიცავენ თქვენს მოთხოვნებს, თუ ყველაფერში მათ ნებას დაჰყვებით. ხალხი, რომელიც თავის თავს იუგოსლაველად აღიქვამდა 1988 წელს, მას შემდეგ, რაც ეს სახელმწიფო დაიშალა, იქცა ბოსნიელად ხოლო თავად ბოსნიის დანაწევრების შემდეგ – მუსლიმანად. როცა საფრთხე მატულობს, ადამიანები ცდილობენ სხვადასხვა იარაღს ამოეფარონ მეტი უსაფრთხოების იმედით: ეთნიკურობა, ეროვნულობა და რელიგია ასეთ დროს გადაიქცევა შიშისა და ძალაუფლების წყურვილის საექსპლუატაციო მექანიზმებად.

ადამიანისათვის მეტად მნიშვნელოვანია, კარგად ერკვეოდეს იმაში, თუ რას წარმოადგენს თავად – ისე, რომ სხვებმა ვერ მოახვიონ თავს მოჩვენებითი იდენტობა. გამოთქმები „დაუმორჩილებლობის კულტურა“ და „მზარდი იმუნიტეტი ექსპლოატაციის წინააღმდეგ“ დღესაც გამოიყენება იმ აქტივისტთა მიერ, რომლებიც ეხმარებიან ადამიანებს, არ დაუშვან მათთვის იარაღების მიკერება და არც მათი ქცევის კონტროლი. მეორე მხრივ, ხალხი შეიძლება მიაჩვიო აღიქვას სხვები არა სტერეოტიპების, არამედ იდენტიფიკაციის საფუძველზე. ამ თემასთან დაკავშირებით იხილეთ მე-6 თავის ნაწილი „ნდობის დანერგვა“ (გვ. 137) და მე-8 თავში – „განათლება მშვიდობისა და სამართლიანობის სამსახურში.“ (გვ. 172)

იდენტობის უსასხპო

სხვებთან იდენტობის საკითხებზე მუშაობისას გარდამწყვეტია, თავად გქონდეთ

ნათლად გარკვეული საკუთარი იდენტობა. როცა უკეთ გეხმით და აცნობიერებთ საკუთარი იდენტობის სხვადასხვა მახასიათებელს, მუშაობის სტრატეგიის უფრო ფართო არჩევანი გაქვთ კონფლიქტის შიგნით თუ მის გარეთ. სქემაზე 3.1 გთავაზობთ თქვენი იდენტობის მახასიათებელთა გამოკვლევის ორ განსხვავებულ მოდელს.


მოდელ A-ს გამოყენების შემთხვევაში გარკვეით თქვენი იდენტობის ის მახასიათებლები, რომლებიც უკავშირდება:

- **კულტურას:** ენას, ეთნიკურობას, ცხოვრების წესს, თქვენი საზოგადოების ღირებულებებს, ადათ-წესებს და სხვ.
- **სანათმესაო:** როლებს და ურთიერთობებს ოჯახში, მშობლებისგან გადმოცემულ თვისებებს, კლანურ იდენტობას და სხვ.
- **განათლებას:** განათლების დონეს, ხარისხს ან კვალიფიკაციას, პროფესიულ მომზადებას, არაფორმალურ განათლებას, გამოცდილებას და სხვ. ჩვენ ეს სამი სფერო ავარჩიეთ, მაგრამ თქვენ შეგიძლიათ თქვენთვის უფრო აქტუალური ჩართოთ.

მოდელი B წარმოგვიდგენს თქვენი იდენტობის სხვადასხვა ასპექტის შეს-

წავლის მეორე მეთოდს. დახაზეთ ანალოგიური დიაგრამა თქვენთვისაც და ყოველ ხაზს, რომელიც გამოდის წრიდან „თვითობა“, მიაწერეთ თქვენი იდენტობის სხვადასხვა მახასიათებელი შემდეგი კატეგორიების შესაბამისად:

- **ზონი (Background):** საიდან მოდიხართ? იდენტიფიკაციის რა ნიშნები გერგოთ მეტყვიდრებით (მაგ.: გერმანელი, ზულუსი, მუსლიმანი, ქრისტიანი, მაღალი კასტა, მუშათა კლასი)?
- **როლები:** რა როლი ან პოზიცია გაგაჩნიათ? რას წარმოადგენთ სამუშაოზე (მაგ.: დედას, მეუღლეს, მასწავლებელს, ადმინისტრატორს, ადამიანის უფლებათა დამცველს, თავმჯდომარეს)?
- **მისწრაფებები:** ვინ ხართ არასამუშაო დროს ანუ მაშინ, როცა ისვენებთ ან ერთობით (მაგ.: ფეხბურთის მოთამაშე, პიანისტი, მძერწავი, მთამსვლელი, პოეტი)?
- **მიზნები:** რა გინდათ გახდეთ, რა გინდათ გააკეთოთ ან რას გინდათ მიაღწიოთ ცხოვრებაში? როგორ დაახასიათებდით თქვენს დამოკიდებულებას საკუთარ ღირებულებებთან და მიზნებთან; როგორ ცდილობთ მათ



განხორციელებას (მაგ.: როგორც მშვიდობისმყოფელი, სამართლიანობისათვის მებრძოლი, საქმიანი ადამიანი, სულიერების მაძიებელი, ცოდნას დაწაფებული)?

ამ მოდელთაგან ერთ-ერთის გამოყენებით საკუთარ იდენტობაზე რომ აზრი შეგექმნებათ, შეეცადეთ უპასუხოთ ამ კითხვებს:

- თქვენი იდენტობის რომელი ასპექტია ამჟამად თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი? რატომ?
- როგორ შეიცვალა თქვენი იდენტობა, ვთქვათ, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში?
- მომავალში რამ შეიძლება გამოიწვიოს ასეთი ცვლილება?

კოლექტიური თვითიდენტობის ტიპები

ზმირად აღვწერთ საკუთარ იდენტობას იმისდა მიხედვით, თუ რომელ კონკრეტულ ჯგუფს ვეკუთვინით ან რომელს ვუკავშირდებით. **ეთნიკურობა** ან ეთნიკური იდენტობა გულისხმობს ჯგუფს, რომელთანაც გვაერთიანებს ენა, კულტურა, რელიგია და/ან რასა. **ეროვნება** ან ეროვნული იდენტობა გულისხმობს ტერიტორიული ან ნაციონალური ნიშნით გაერთიანებულ ჯგუფს. მაგალითად, კოლომბოში მაცხოვრებელმა ქალმა შეიძლება თქვას, რომ ეთნიკურად ის არის სინჰალი ან ტამილი, ხოლო ეროვნული ნიშნით ის არის შრი ლანკელი. თუმცა ეს სხვაობა ეთნიკურ კუთვნილებასა და ეროვნებას შორის ზმირად საკმაოდ ბუნდოვანია.

როდოღო სტავენჰაგენი თავის წიგნში „ეთნიკური კონფლიქტები და ეროვნული სახელმწიფო“ ეთნიკური ჯგუფების საიდენტიფიკაციოდ შემდეგ კრიტერიუმებს⁴ ასახელებს:

1. **„მნა** არის ეთნიკური ან ეროვნული იდენტობის უმნიშვნელოვანესი ნიშანი... როცა დომინანტური ენა (დომინანტური ეთნიკური ჯგუფის ენა) გამოდევნის სხვა ენებს, იცვლება დაქ-

ვემდებარებულ ჯგუფთა ეთნიკური იდენტობა.

2. „ისტორიულად **რელიგია** არის ეთნიკური კუთვნილების მნიშვნელოვანი მახასიათებელი. ურბანულ ინდუსტრიულ საზოგადოებაში ხალხის ურთიერთობაზე ნაკლებად აისახება მათი აღმსარებლობა; მათი ეთნიკური იდენტობა შესაძლოა სულაც არ იყოს ან მხოლოდ მცირედ იყოს განსაზღვრული რელიგიით. მაგრამ, რელიგია თუ მნიშვნელოვან როლს ასრულებს ... საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ის შეიძლება იქცეს... ეთნიკური კუთვნილების განმსაზღვრელ ნიშნად.“
3. **ტერიტორია** წარმოადგენს იმ ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემების საფუძველს, რომლებიც ეთნიკური ჯგუფების ან ერების ცხოვრებაში უმნიშვნელოვანეს ფაქტორად მიიჩნევა. მსოფლიოში ეთნიკურ ჯგუფთა უმრავლესობა ასოცირდება გარკვეულ ტერიტორიასთან, რომელიც მათთვის არამარტო სასიცოცხლო გარემოა, არამედ წინაპართა რეალური თუ მითიური სამკვიდროც.
4. **სოციალური ორგანიზაცია** განასახიერებს სოციალური ინსტიტუტების და ურთიერთობების რთულ ქსელს, რომელიც უზრუნველყოფს ეთნიკური ჯგუფის ერთიანობას მის წევრთა პიროვნული იდენტობის მიუხედავად... სოციალური ორგანიზაცია აწესებს ჯგუფის საზღვრებს; ეს ისეთი მოდელია, რომლის ფარგლებშიც ერთმანეთისაგან განირჩევა „ჩვენ“ და „ისინი“, „შინაური“ და „გარეშე“.
5. **კულტურაში** ზმირად გულისხმობენ ზემოთ ჩამოთვლილ ფაქტორებს (ენას, რელიგიას და სოციალურ ორგანიზაციას). მასში მოიაზრება სხვა ელემენტებიც: (1) კულტურის მატერიალური ასპექტები, კერძოდ, ხელოვნების ნიმუშები და (2) ღირებულებათა სისტემები, სიმბოლოები და მნიშვნელობები, ნორმები, მორალი და ადათ-წესები, რაც საერთოა ეთნიკური ჯგუფის ყველა წევრისათვის.

6. „**რასა** ეთნიკური იდენტიფიკაციის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მახასიათებელია, რადგან ის, როგორც წესი, მიანიშნებს ინდივიდთა არამართო ბიოლოგიურ თვისებებზე (მაგ., კანის ფერზე, სახის ნაკვთებზე, აღნაგობაზე და ა.შ.), არამედ მათთან დაკავშირებულ სავარაუდო სოციალურ, კულტურულ და ფსიქოლოგიურ თავისებურებებზეც... ეთნიკური სხვაობა ყოველთვის არ ნიშნავს რასობრივ სხვაობას, მაგრამ ეთნიკური განსხვავებანი უფრო ძლიერია და დროგამძლე, თუ რასობრივ კრიტიკრიუმებსაც მოიცავს“.

გამოცდილება გვეუბნება, რომ ბევრ კონფლიქტს ეთნიკურ კონფლიქტად ნათლავენ – თითქოს მათი გამომწვევი მიზეზი ეთნიკურობა იყოს. ამ საკითხის ჩადრმავებული ანალიზი გვიჩვენებს, რომ ასეთი თვალსაზრისი ზედმეტად ამარტივებს პრობლემას. რაც მართალია, მართალია, ადამიანები ცდილობენ უმთავრეს პრობლემათა გადაჭრას გარკვეულ ჯგუფებში გაერთიანების გზით, მაგრამ კონფლიქტურ სიტუაციათა უმეტესობაში ეთნიკური საკითხის წინ წამოწევა მხოლოდ მეთოდია, რომლითაც კონკრეტული ლიდერი ან მოძრაობა ახდენს ხალხის მობილიზაციას თავის მხარდასაჭერად. ეს რომ მოხდეს, მოსახლეობას ჯერ დაუცველობის ან საშიშროების შეგრძნება უნდა გააჩნდეს, შემდეგ უკვე შეიძლება მათი დარწმუნება იმაში, რომ კონკრეტულ ჯგუფს ან ლიდერს შეუძლია მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

გაიაზრეთ როგორია იდენტობა კონფლიქტის მხარეებისა იმ სიტუაციაში, რომელშიც თქვენ მუშაობთ:

- **სცემთ თუ არა პატივს მათ იდენტობათა განსხვავებულ ასპექტებს?**
- **აისახება ეს პატივისცემა ამ მხარეებთან თქვენს ურთიერთობაზე?**
- **როგორ შეგიძლიათ დაეხმაროთ მათ, უკეთ გაიგონ და პატივი სცენ იდენტობათა განსხვავებულ ასპექტებს?**

გენდერი

გენდერი ადამიანთა ურთიერთობების დინამიკაა; მისი ზემოქმედება ვრცელდება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ასპექტზე, მათ შორის – კონფლიქტურ სიტუაციებზეც. ამის მიუხედავად, ის ხშირად მხედველობის მიღმა რჩებათ. გენდერისა და გენდერულ როლთა გაცნობიერება გადამწყვეტ ფაქტორად მიიჩნევა RTC-ის პროგრამით მუშაობისას ქალებისა და კაცების შერეულ ჯგუფებთან. უფრო მეტიც, ჩვენ მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ ნებისმიერი მუშაობა, რომელიც მიმართულია სოციალურ ურთიერთობებზე ზეგავლენის მოსახდენად, აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს გენდერის საკითხს.

გენდერის განსაზღვრას ვთავაზობთ ორგანიზაცია Oxfam-ის მიერ გამოცემული „გენდერული ტრენინგის სახელმძღვანელოდან“.⁵

გენდერის სამუშაო განსაზღვრა

ადამიანები იბადებიან მდედრებად ან მამრებად, მაგრამ აღიზრდებიან გოგონებად და ბიჭებად, რათა საბოლოოდ ჩამოყალიბდნენ ქალებად და კაცებად. მათ ასწავლიან შესაფერის ქცევას და თავის დაჭერას, როლებს და მოქმედების ფორმებს, ურთიერთობის მიღებულ წესებს. ქცევის ეს ათვისებული ფორმები აყალიბებს გენდერულ იდენტობას და განსაზღვრავს გენდერულ როლებს.

ქალების და კაცების გენდერული როლები მეტ-ნაკლებად ნებისმიერ საზოგადოებაში განირჩევა. სხვადასხვა საზოგადოებაში და საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფშიც კი ეს როლები განსხვავებულია და დანაწილებული (მაგ., ზოგიერთ მიწათმოქმედ თემში შესაძლოა ქალებიც ხნავდნენ მიწას, სხვა თემებში ამას მხოლოდ მამაკაცები აკეთებენ). ისეთი ფაქტორები, როგორიცაა კლასობრივი კუთვნილება (საზოგადოებრივი მდგომარეობა, სიმდიდრე), ასაკი და განათლება ასევე გავლენას ახდენს გენდერულ როლებზე.

გენდერული როლები არ არის სტატიკური, ის იცვლება დროთა განმავლობაში ან პასუხად ისეთ აგებდით მოვლენებზე, როგორცაა ძალადობრივი კონფლიქტები და ომი. მაგალითად, ომის დროს ქალები ხშირად კარგავენ სახლ-კარსა და მამაკაც ნათესავებს; მაშინ მათ უწევთ ოჯახის მარჩენლისა და თემის დელეგატის ან წარმომადგენლის როლების შესრულება. არ არის გამორიცხვად, ომის შემდეგ კაცებმაც შეიცვალა იდენტობა, თუ მეომრის როლის შემდეგ რამე ნაყოფიერ საქმიანობას არ მოკიდეს ხელი. აი, ნიკარაგუელი ყოფილი მებრძოლის სიტყვები: „მე უკვე აღარ ვიცი, სინამდვილეში ვინ ვარ. მე ვიყავი მებრძოლი, ახლა კი სამუშაოსაც არავენ მაძლევს. აქამდე მიჩვეული ვიყავ, რომ სხვები პატივს მცემდნენ“.⁶

გენდერი და კონფლიქტი

მრავალ მიზეზთა გამო, განსაკუთრებით, განსხვავებული როლებისა და მოვალეობების გამო, ქალებსა და კაცებს შეიძლება სხვადასხვა თვალსაზრისი გააჩნდეთ ამა თუ იმ კონფლიქტზე, მათი საჭიროებანიც და ინტერესებიც შესაძლოა არ ემთხვეოდეს ერთმანეთს. ამდენად, ძალზე მნიშვნელოვანია, ჩვენს საქმიანობაში გენდერის გათვალისწინება, კერძოდ, სოციალური და პოლიტიკური კონფლიქტის გაანალიზებისას, მწვავე კონფლიქტის შედეგების შეფასებისას, მოქმედების შესაფერისი სტრატეგიის არჩევისას, აგრეთვე იმ ჯგუფებისა თუ აქტორების გამოვლენისას, რომელთაც უნდა დაუუკავშირდეთ ან მხარი დაუჭიროთ.

გენდერის პოზიციიდან პოლიტიკური და სოციალური კონფლიქტის ანალიზი გულისხმობს იმას, რომ კარგად ჩავიხედოთ კონფლიქტის სიღრმეებში და ამის საფუძველზე უკეთ გავიგოთ, რა ხდება ოჯახურ და საგარეულო დონეებზე. საბოლოოდ, ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ ქალებისა და კაცების არაერთგვაროვანი როლები და მოვალეობანი, აგრეთვე დახმარების ის ფორმები, რომელიც შესაძლოა მათ ჩვენგან დასჭირდეთ. მამაკაცე-

ბი შეიძლება აიძულონ საომარ ქმედებებში ჩაერთონ. ქალებს შეიძლება მოუწიოთ პასუხისმგებლობის აღება ოჯახის შენახვაზე პარტნიორის არყოფნისას და თავდაც იქცნენ ძალადობის მსხვერპლად.

მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოებაც, რომ გენდერული როლები შესაძლოა ცვლილებებს განიცდიდნენ. ეს შეიძლება ორგვარად იქნას აღქმული – როგორც რაღაც ახლის შესაძლებლობა და როგორც საფრთხის შესაძლებლობა. იქ, სადაც ქალებს საზოგადოების ღირსების მცველებად მიიჩნევენ, მათი როლი და საქმიანობა უფრო მკაცრადაა განსაზღვრული. ბევრი რამაა დამოკიდებული თემის შიგნით ძალთა ურთიერთობაზე – იმაზე, თუ ვის ხელშია თავმოყრილი ძალაუფლება და სუბორდინაციის თვალსაზრისით რა პოზიციები უკავია სხვადასხვა ჯგუფს, მაგალითად, ქალებს და ბავშვებს.

არაერთ საზოგადოებაში ქალთა მიმართ ძალადობას დიდი ხნის ისტორია აქვს. მაგალითად, მამრობითი სქესი ბევრ საზოგადოებაში განისაზღვრება როგორც ქალურობის საპირისპირო ცნება, ამდენად, ქალთა და ბავშვთა მიმართ ძალადობა მიიჩნევა ძალაუფლების განხორციელების მართლზომიერ ფორმად. აქ შეიძლება წამოიჭრას კითხვა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ხდება ოჯახში და მის გარეთ ბიჭების საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმირება.

ღია კონფლიქტმა შეიძლება საზოგადოებრივი დატვირთვა შესძინოს ისეთ ძალადობრივ ურთიერთობებს, რომლებიც ადრე ოჯახის ფარგლებს არ სცილდებოდა. ეს არის უხეში ძალის გამოვლინება (იხ. ზემოთ „უხეში და რბილი ძალა“, გვ. 48)

ზოგჯერ რბილი ძალა მხედველობის მიღმა რჩებათ ან სათანადოდ არ აფასებენ, რადგან ასეთ ძალას ფლობენ ისინი, ვისაც არ სცნობენ ძალაუფლების მქონედ. როცა ქალები იკრიბებიან და განიხილავენ ისეთ საკითხებს, როგორცაა საკვების ნაკლებობა, ბავშვების მოვლა ან მათი ქმრების გაუჩინარება, ისინი

ნი ამყარებენ მჭიდრო ურთიერთკავშირებს; ამას კი შეუძლია ხელი შეუწყოს სამომავლოდ მშვიდობის დამყარებას. მაგალითად, ნიკარაგუაში ქალებმა შეძლეს დაევიწყებინათ პოლიტიკური დაპირისპირება თავიანთი შვილების საკეთილდღეოდ და ერთობლივად მუშაობდნენ საერთო წუხილებისა და შეჭირვებათა დასაძლევად.

პოლიტიკური და სოციალური კონფლიქტების ანალიზისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ ადამიანთა თვალსაზრისის სრულად გაცნობიერებას, ვინც ხშირად მოკლებულია ხმის უფლებას; ასეთები არიან ქალები და ბავშვები, უმცირესობათა წარმომადგენლები და ხეიბრები.

ვიდრე შემდეგ საკითხზე გადახვიდოდეთ, შეეცადეთ პრაქტიკული თვალსაზრისით გაიზროთ განხილული პრობლემა. იფიქრეთ საკუთარ ან სხვა ისეთ საზოგადოებაზე, რომელსაც კარგად იცნობთ.


- ჩამოთვალეთ საქმიანობის ის ფორმები, რომელთაც ეწევიან ადამიანები თქვენს საზოგადოებაში. ამ საქმიანობებით ძირითადად დაკავებული არიან კაცები, ქალები თუ ორივე ერთად? – მაგ., სწავლება, მუშაობა ოფისში, ჯანდაცვა (ექიმები, ექთნები, ჯანმრთელობის დაცვის მუშაკები, ტრადიციული მკურნალები), სოფლის მეურნეობა (ვინ უვლის საქონელს, ვინ ხნავს, ვინ ასუფთავებს მიწას სარეველებისგან), ნადირობა, კულტურულ და რელიგიურ ღონისძიებებში მონაწილეობა, კანონის აღსრულება და ა.შ.
- ყველა ძირითადი საქმიანობა ჩამოთვალეთ?
- ხომ არ გამოგრჩათ რომელიმე ქვემოთ დასახელებულთაგან:
- საყიდლებზე სიარული, საჭმლის მომზადება, ცხობა, სახლის დალაგება, ბავშვების მოვლა, წყლის მოტანა?
- როგორ დააჯგუფებდით ყველა ჩამოთვლილ საქმიანობას მათი მნიშვნელობისა და აუცილებლობის მი-

ხედვით? ვის ხელშია ძალაუფლება („უხეში“ და „რბილი“) და ვის აკისრია მოვალეობები?

- შეგიძლიათ თქვათ, რომ მოვალეობანი თანასწორად (სამართლიანად) არის დანაწილებული?
- მათ, ვისაც მოვალეობანი აკისრია, გააჩნიათ თუ არა ძალაუფლება?

კონფლიქტურ სიტუაციაში ზემოთ მოყვანილ კითხვებს თქვენ ალბათ სხვაგვარ პასუხებს გასცემდით, რადგან ამ დროს ქალების პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე შეუდარებლად გაზრდილია, ხოლო კაცები დაკავებულნი არიან მტრის წინააღმდეგ სამომარი მოქმედებებით ან თავდაცვითი ღონისძიებებით. საბოლოოდ, ბევრი აღიარებს, რომ მრავალ სფეროში ქალებს მეტი მოვალეობანი გააჩნიათ, თუმცა ხშირად ვერ სარგებლობენ შესაბამისი ძალაუფლებით და ლეგიტიმური სტატუსით. როგორც ერთმა ჩვენმა კოლეგამ შენიშნა, „ქალები თავის მხრებზე ეზიდებიან ნახევარ სამყაროს და როგორც წესი, ამას არავინ აღიარებს“.

- როგორ წარმოადგენს მოცემული კარიკატურა ქალებს, კაცებს და კონფლიქტურ სიტუაციას?
- ეთანხმებით ამას?



ცარგვალის ნახევარი ქალების მხრებზეა. ჩინეთი

გენდერი და კლასობა

ძალადოვანი კონფლიქტების შედეგებს გენდერული განზომილება გააჩნია, რომლის ყოველი შემთხვევა გასაანალიზებელია. კაცები ამ დროს უფრო ხშირად იღუპებიან და ოჯახის გაძლოლა დაქვრივებულ ქალებს უწევთ. ომი ბავშვებზეც, მათი სქესისა და მიხედვით, სხვადასხვგვარად მოქმედებს. ბიჭებს აიძულებენ იარაღის ალებას, გოგონები კი შეიძლება შეიარაღებულმა პირებმა სექსუალური ექსპლოატაციის მიზნით გაიტაცონ. კაცები და ქალები, ბიჭები და გოგონები, ყველა შეიძლება იქცეს წამებისა და სექსუალური შეურაცხყოფის ობიექტად.

ცოცხლად დარჩენილებისთვის თავს დამტყდარი უბედურების გადატანა დამოკიდებულია არამარტო მათ საკუთარ შესაძლებლობებზე, არამედ მათი სათვისტომოს მხარდაჭერაზეც. გენდერს ამ შემთხვევაშიც შეუძლია მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს. ბანგლადეშში დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დამთავრების შემდეგ ბევრი ძალადობის მსხვერპლი ქალი სათვისტომოებმა დამნაშავეებად შერაცხეს. ერთთერაში ყოფილ მეომარ ქალებს უჭირდათ საზოგადოებაში რეინტეგრაცია, რადგან გადასწევოდნენ მათი სქესისთვის ტრადიციულ როლს (მამაკაც მებრძოლებს რომ ეკითხებოდნენ, რატომ ირჩევდნენ საცოლეებად გლეხის გოგონებს და არა თავიანთ თანამებრძოლებს, პასუხობდნენ, რომ მათ არ სურდათ „კაცზე“ დაქორწინება). ჩადში სამოქალაქო ომის დროს ქალები ქმრების გარეშე უძღვებოდნენ ოჯახებს; ამან მათ მეტი დამოუკიდებლობა და თავდაჯერებულობა შესძინა. ასევე შეიცვალა საზოგადოების დამოკიდებულებაც ქალების მიმართ. ქალებს ახლა მეტ პატივს სცემენ იმ ღვაწლისთვის, რაც მათ მიუძღვით ოჯახების და თემების გადასარჩენად.⁷

სასტიკი კონფლიქტების დროს ხალხი ხშირად იძულებული ხდება მიატოვოს თავისი საცხოვრებელი. UNHCR-

ის მონაცემებით, ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა 80 პროცენტს ქალები და ბავშვები შეადგენენ.

კაცების ხვედრითი წილის სიმცირე რამდენიმე მიზეზით შეიძლება აიხსნას: ისინი შესაძლოა საბრძოლველად იყვნენ წასული (ნებაყოფლობით ან იძულებით), შეიძლება ეძებოდნენ მკვლევებს, ან თავს არიდებდნენ ბრძოლას, წავიდნენ უკეთესი შესაძლებლობების საძიებლად, ან მოკლეს, ან უგზო-უკვლოდ დაიკარგნენ ბრძოლაში.

საცხოვრებლის მიტოვება მრავალ დანაკარგთანაა დაკავშირებული. ეს არის მატერიალური ზარალი – სახლის, ინფრასტრუქტურის, გზებისა და ხიდების, მიწებისა და საქონლის და სხვა საარსებო საშუალებების განადგურება. ზარალდება საზოგადოებრივი ორგანიზაციები, როცა ირღვევა მისი სოციალური სტრუქტურა და საჭირო ხდება მისი თავიდან აგება. არსებობს ფსიქოლოგიური მხარეც – ასეთ დროს ტრავმირებული არიან როგორც ცალკეული ადამიანები, ისე ფართო სოციალური ჯგუფებიც.

მხარდაჭერის პროგრამები ხშირად კონცენტრირებულია მატერიალურ დახმარებაზე, რაც ზოგჯერ უხერხულ მდგომარეობაში აყენებს ქალებს, ანუ მათ, ვის მხარდასაჭერადაც იყო გამიზნული ასეთი აქციები. მაგალითად, სუდანში ადგილნაცვალ პირთა ბანაკების თანამშრომლები აღნიშნავდნენ, რომ დახმარების პროგრამები „მამაკაცებს გადასცემდნენ ქალებისთვის ტრადიციულ საქმიანობას, როგორცაა საკვების დანაწილება, წყლით, საბნებით, კანისტრებით და სხვა აუცილებელი ნივთებით მომარაგება... ეს სრულიად აღმამფოთებელი იყო“.⁸

ძალადობრივი კონფლიქტების ფსიქოლოგიური ზეგავლენა დამოკიდებულია ისეთ გარემოებებსა და ფაქტორებზე, როგორცაა ასაკი და სქესი. მებრძოლთა რეინტეგრაცია სამოქალაქო საზოგადოებაში ბევრ სირთულეს უქმნის მათაც და იმ საზოგადოებებსაც, რომლებიც მიეჩვივნენ მათ გარეშე ცხოვ-

რებას. კამბოჯაში, სადაც მოსახლეობის ნახევარი დაიღუპა ან განდევნილ იქნა პოლ პოტის მმართველობის წლებში და სადაც სისტემატურად ნადგურდებოდა როგორც ოჯახური, ისე საზოგადოებრივი ურთიერთობები, დაკარგული ნდობის აღსადგენად ხალხი დახმარებას საჭიროებს. ბავშვებმა, რომელთაც არაფერი უნახავთ ომის, არეულობისა და ლტოლვილთა ბანაკების გარდა, უნდა გაიარონ არამართო ჩვეულებრივი სასწავლო კურსი, არამედ უნდა ისწავლონ საზოგადოებრივი ურთიერთობების აღდგენა და განახლება.

გენდერის პრობლემის ეს ასპექტები მრავალმხრივ საყურადღებოა სტრატეგიითა და მოქმედებათა შემუშავებისას. ზოგი მათგანი განხილულია ამ წიგნის მე-2 და მე-3 ნაწილებში.

უფლებები

რა არის ადამიანის უფლებები?

ადამიანის უფლებების ცნება ეფუძნება გარკვეულ ღირებულებებს და სათავეს უძველესი დროიდან იღებს. მიუხედავად ამისა, დღემდე არ წყდება კამათი, თუ როგორ უნდა განისაზღვროს უფლებები და ამ საკითხზე ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული საერთო პოზიცია.

ადამიანის უფლებები - პრე-პრე ბანსაზღვრება

„ადამიანის უფლებები უკავშირდება პიროვნულ ღირსებას – თვითშეფასების დონეს, რასაც ემყარება პიროვნების იდენტობა და რაც ხელს უწყობს საზოგადოების ჩამოყალიბებას“.⁹

ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტების შემუშავებაზე ყოველთვის ახდენდა ზეგავლენას შესაბამისი პოლიტიკური ვითარება. ორი საერთაშორისო შეთანხმება (რომელიც ეხება, ერთი მხრივ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებს) ასახვდა დასავლეთისა და აღმოსავლეთის გასხვავებულ პრიორიტეტებს ცივი ომის ეპოქაში.

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები, რომელსაც ხშირად პირველად უფლებებს უწოდებენ, გამოხატავს დასავლეთის ტრადიციულ ლიბერალურ თვალსაზრისს საზოგადოებაში ადამიანის ცხოვრებასთან დაკავშირებული უფლებების, აზრისა და სიტყვის თავისუფლების შესახებ. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები, ანუ მეორადი უფლებები, ესაა უმთავრეს საჭიროებათა დაკმაყოფილების უფლებები, როგორცაა: საკვები, თავშესაფარი და ძირითადი სოციალური მომსახურება – ჯანდაცვა და განათლება. აღმოსავლეთ ბლოკის ქვეყნების ეკონომიკურმა კოლაფსმა ამ უფლებათა გარეშე დატოვა ამ ქვეყნების მოსახლეობა – მანამდე აქ ეს უფლებები სახელმწიფოს მხრიდან იყო გარანტირებული. არსებობს მესამე რიგის ან კოლექტიური უფლებების ჩამონათვალიც, კერძოდ, უმცირესობების და მარგინალური ჯგუფებისა. დღემდე აზრთა სხვადასხვაობას იწვევს საკითხი, თუ რამდენად თანაბრად ეხება ყველა ადამიანს ეს უფლებები და თუ ისინი მართლაც განუყოფელი უფლებებია, ვინ უნდა უზრუნველყოს მათი დაცვა.

საერთაშორისო პრაქტიკაში ადამიანის უფლებათა დაცვა და მათი ცხოვრებაში გატარება დამოკიდებულია იმაზე, რამდენად იზიარებენ და იცავენ ამ შეთანხმებებს ცალკეული სახელმწიფოები.

საერთაშორისო პრაქტიკაში ადამიანის უფლებათა დაცვა და მათი ცხოვრებაში გატარება დამოკიდებულია იმაზე, რამდენად იზიარებენ და იცავენ ამ შეთანხმებებს ცალკეული სახელმწიფოები.

ძირითადი შეთანხმებები ადამიანის უფლებათა სფეროში

1948 წელს ხელმოწერილი ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის გარდა არსებობს მთელი რიგი შეთანხმებებისა.¹⁰ მათ შორისაა:

- კონვენცია გენოციდის თავიდან აცილებისა და მასზე პასუხისმგებლობის შესახებ, 1948
- კონვენცია ლტოლვილთა სტატუსის შესახებ, 1951

ადამიანთა მოდემის ყოველი წევრის თანდაყოლილი ღირსების გრძობისა და მათი თანასწორი და განუყოფელი უფლებების აღიარება არის თავისუფლების, სამართლიანობისა და მშვიდობის საფუძველი მთელ მსოფლიოში. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია

**არა პურიტა
ხოლო ცხონ-
დეს კაცი
ბიბლია**

- შეთანხმება ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების თაობაზე, 1966
- კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმის აღმოფხვრის შესახებ, 1979
- კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ, 1984
- კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ, 1989

ქვეყნების უმრავლესობამ ხელი მოაწერა ამ შეთანხმებებს. მიუხედავად ამისა, არსებობს საყურადღებო და მნიშვნელოვანი გამონაკლისებიც:

- აშშ-ს არ მოუხდენია ბავშვთა უფლებების, ქალთა დისკრიმინაციის საწინააღმდეგო და ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ კონვენციასთან რატიფიკაცია.
- არც შვეიცარია და არც ავღანეთი არ მიერთებიან კონვენციას ქალთა დისკრიმინაციის წინააღმდეგ.
- მსოფლიოს სახელმწიფოთა დაახლოებით ნახევარმა უარი განაცხადა მიერთებოდა კონვენციას წამებისა და დამამცირებელი სასჯელის წინააღმდეგ.

ძირითადი უფლებები

იმ პირობებში, როცა არ წყდებოდა კამათი ადამიანის უფლებათა სფეროსა და თვით ამ ტერმინის შესახებ, დამკვიდრდა გამოთქმა „ძირითადი უფლებები“, რაც გულისხმობდა ისეთი უმთავრესი უფლებების აღიარებას, რომელთა გარეშეც მიუწვდომელია სხვა უფლებები ან შეუძლებელია მათი დაცვა. ეს ძირითადი უფლებებია:

- უფლება არამართო სიცოცხლეზე, არამედ საარსებო საშუალებებზეც
- ძალადობისგან დაცვის უფლება
- უფლება უსაფრთხო წყალსა, საკვებასა და საცხოვრებელზე
- ჯანდაცვისა და განათლების უფლება

- როგორც ქალთა, ასევე კაცთა უფლება თავად განსაზღვრონ თავიანთი მომავალი.

Oxfam-ის მსგავსი განვითარების სააგენტოები მოსახლეობის ღარიბ ფენებთან მუშაობისას ძირითად მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების სტრატეგიას ცვლიან ძირითადი უფლებების სტრატეგიით, რადგან სწორედ ამ უფლებათა უარყოფა ან დარღვევა მიაჩნიათ სიღარიბისა და ექსპლუატაციის უმთავრეს მიზეზად. უფლებებზე ორიენტირებული სტრატეგიის საკვანძო ასპექტებია:

- ძირითადი უფლებების დაცვამ და უზრუნველყოფამ უნდა მიიღოს სახელმწიფოსა და საერთაშორისო საზოგადოების მხრივ დაკანონებული ვალდებულებისა და არა ნებაყოფლობითი ქველმოქმედების ფორმა.
- შესაძლებლობებით და უფლებამოსილებით უზრუნველყოფა ისევე მნიშვნელოვანია, როგორც საქონლით მომარაგება და მომსახურების გაწევა.
- ამ საქმიანობამ უნდა მოიცვას მოსახლეობის 100%. არ უნდა იქნას უგულებელყოფილი არც ერთი ადამიანის უფლებები. (მაგალითად, ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის პროგრამამ რომც განახორციელოს ბავშვთა 80%-ის ვაქცინაცია, ის ფაქტი, რომ ბავშვთა 20% დარჩა ვაქცინაციის გარეშე, უნდა მივიჩნიოთ მათი ძირეული უფლების – ჯანმრთელობის დაცვის – დარღვევად.)

უფლებები და სოციალური ურთიერთობები

სოციალური და კულტურული გასხვავება, კლასობრივი, კასტური ან ეთნიკური კუთვნილება შეიძლება ძალის გამოყენების ან მისი ბოროტად გამოყენების ფაქტორად იქცეს და მოხდეს უფლებათა უგულებელყოფა ან მათი უნეში დარღვევა. უფლებები, რომლებიც თეორიულად გარანტირებულია სახელმწიფოს კონსტიტუციით, პრაქტიკულად შეიძლება მიუწვდომელი იყოს მარვინალურ ჯგუფთა და იმ ადამიანთათვის,

ვინც დაშინებულნი არიან ძალაუფლების მქონე პირთაგან და ვერ ბედავენ საკუთარი უფლებების დაცვას.

ქალები არ წარმოადგენენ უმცირესობათა ჯგუფს, მაგრამ მათი დაქვემდებარებული მდგომარეობა, საზოგადოებრივ სფეროში საქმიანობის შეზღუდული შესაძლებლობა და პოლიტიკური გარიყულობა მინიმუმ იმაზე, რომ მათი უფლებები მნიშვნელოვნად ირღვევა ყველა დონეზე და რომ მათი მდგომარეობის გამოსწორების მცდელობები დღემდე სერიოზულ წინააღმდეგობას აწყდება. ქალთა დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმის აღმოფხვრის კონვენცია (CEDAW, 1979) უზრუნველყოფს ქალთა უფლებებს, ხოლო ვენის კონფერენციამ (1993) მიიღო არაორაზროვანი განცხადება იმის თაობაზე, რომ „ქალთა უფლებები არის ადამიანის საყოველთაო უფლებების განუყოფელი, არსებითი და ორგანული ნაწილი“. ორი წლის შემდეგ პეკინში შემდგარ კონფერენციაზე გაერომ აიღო ვალდებულება, რომ უზრუნველყოფილ იქნება ქალების და გოგონების უფლებები, როგორც ადამიანის ყველა უფლებისა და ძირეული თავისუფლების განუყოფელი, არსებითი და ორგანული ნაწილი“. მაგრამ ყველა ქვეყანა არ მიერთებია CEDAW-ს. კულტურული ტრადიციებიდან გამომდინარე, ბევრგან ირღვევა ქალთა უფლებები, ბევრი ქალი შევიწრობას განიცდის ოჯახში და მის გარეთ, ომისა თუ მშვიდობის პერიოდში.

ქალთა უფლებები შესაძლოა ირღვეოდეს მთელი ცხოვრების განმავლობაში: ჩასახვის მომენტიდან (მდედრობითი სქესის ნაყოფს ხშირად უფრო ადვილად ელევიან), ბავშვობაში არასრულფასოვანი კვებით (ექცევა რა უფრო მეტი ყურადღება ბიჭების კვებას), გოგონების განათლების უგულებელყოფით, ნაადრევი და ხშირად იძულებითი გათხოვებით, ოჯახური ძალადობითა და მკვლევლობებით უმზითვობის გამო.¹¹ ომისა და შეიარაღებული კონფლიქტის დროს ქალები ძალადობისა და სექსუა-

ლური შეურაცხყოფის მსხვერპლნი ხდებიან. კულტურული ტრადიცია ზოგჯერ იმასაც გულისხმობს, რომ გადარჩენის შემთხვევაში ქალები განიცდიან შევიწროებას და დევნას მათი სათვისტომოების მხრიდან.

უფლებები და ხშირობა

ხეირობას გაერო უფლებათა სფეროს პრობლემად განიხილავს. 1992 წელს მან მიიღო მოქმედების მსოფლიო პროგრამა, რომელიც ხეიბარ ადამიანებს ეხება, ხოლო 1993 წელს შეიმუშავა შესაძლებლობათა გათანაბრების სტანდარტული წესები. ეს წესები საერთაშორისო სტანდარტებს წარმოადგენს და მონიტორინგის სისტემასაც მოიცავს. მიუხედავად ამისა, არ არსებობს მათი განხორციელების საერთაშორისო სისტემა. ამ წესების ცხოვრებაში გატარება დამოკიდებულია კონკრეტულ მთავრობებზე.

უფლებები და კონფლიქტი

უფლებები იქცა უმთავრეს საკითხად განვითარებისა და დახმარების პროგრამებში ჩართულ პირთათვის; ის გადამწყვეტ როლს თამაშობს კონფლიქტებთან დაკავშირებულ საქმიანობაშიც. მრავალი ღარიბისთვის მათი ძირითადი უფლებების დარღვევა ჩვეულებრივი მოვლენაა. ნებისმიერი კონფლიქტის ანალიზისას აუცილებელია სტრუქტურული ძალადობის შესწავლა; შესასწავლია აგრეთვე იმ პირთა პოზიციები და მიდგომები, ვინც დაინტერესებულია უფლებებითა და თავისუფლებებით. მარგინალური ჯგუფების ბრძოლას თავიანთი უფლებებისთვის შეიძლება მოჰყვეს გარდაუვალი კონფლიქტი; ის, თუ როგორ იქნება აღქმული ეს ბრძოლა და კონფლიქტი, დამოკიდებული იქნება სხვადასხვა მხარის თვალსაზრისზე. განსახილველად გთავაზობთ რამდენიმე საკითხს:

➤ პიროვნების უფლებები, ჯგუფის უფლებები და საზოგადოების, რო-

გორც მთლიანობის, უფლებები: შესაძლებელია, რომ უფლებათა ეს დონეები ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოვიდეს? შეგიძლიათ განიხილოთ მაგალითები თქვენი პირადი გამოცდილებიდან? როგორ გესახებათ ამ წინააღმდეგობების გადაჭრა?

- უფლებები და კულტურა: შეიძლება თუ არა წარმოიშვას წინააღმდეგობა კულტურასა და უფლებებს შორის? შეგიძლიათ მაგალითის მოყვანა? როგორ წარმოგიდგინათ ამ პრობლემის მოგვარება?
- უფლებები და თანასწორობა: იზიარებენ თქვენს ქვეყანაში, თემში, ორგანიზაციასა და ოჯახში იმ მოსაზრებას, რომ ყველა ადამიანი თანაბარი უფლებებით უნდა სარგებლობდეს? თავად თქვენ ამას აღიარებთ? რამდენად უწყობთ ხელს თანასწორუფლებიანობის დაკვიდრებას თქვენ საქმიანობაში და სხვადასხვა რასის, ასაკისა და შესაძლებლობების ადამიანებთან მუშაობისას?

უფლებათა დარღვევა ფართოდ გავრცელებული მოვლენაა და მრავალი კონფლიქტის წარმოშობის საფუძვლადაც უნდა მივიჩნიოთ. უფლებების უგულებელყოფა ბოლოს და ბოლოს იწვევს წინააღმდეგობას; თუ თავიდან ამ წინააღმდეგობას არაძალადობრივი პროტესტის ფორმა აქვს, მისი გაუთვალისწინებლობისა და დათრგუნვის შემთხვევაში ის შეიძლება შეიარაღებულ კონფლიქტში გადაიზარდოს. როგორც ისტორია მოწმობს, ოფიციალური ზავი ვერ უზრუნველყოფს ძალადობის შეჩერებას. მართლაც, ქალთა მიმართ ძალადობამ შეიძლება იმატოს მას შემდეგ, რაც ნაომარი კაცები იმედგაცრუებულნი ბრუნდებიან შინ, სამშვიდობო ძალების ჩაყენებას კი შესაძლოა მოჰყვეს ვენერიულ დაავადებათა გავრცელება და პროსტიტუციის ზრდა.

ცხადია, თუ მშვიდობა გვსურს, უპირველეს ყოვლისა, უნდა ვეცადოთ

სამართლიანობის დამყარებას. სამართლიანობის იდეას ბოლომდე რომ ჩავწვდეთ, უნდა ვიფიქროთ ქალების, ბავშვების, პატიმართა, საპყართა და მარგინალიზებულ ადამიანთა უფლებებზე. კონფლიქტის მხარეები ვინმელო იზიარებდნენ მშვიდობისა და სამართლიანობის ერთნაირ პრინციპებს, მაგრამ სხვადასხვაგვარი პრიორიტეტები და საშუალებები იგააჩნდეთ მათი მიღწევის გზებზე. დღის წესრიგში უფლებების საკითხის დაყენებამ შეიძლება საერთო საფუძველი შექმნას ერთობლივი მომავლის ასაშენებლად.

- ადამიანთა უფლებების აღიარება რანაირად შეიძლება იქცეს კონფლიქტის ტრანსფორმაციისადმი თქვენული მიდგომის ნაწილად?
- რამდენად გეხმარებათ უფლებები თქვენი მიზნებისა და მისწრაფებების გამოხატვაში და თქვენი რეალური საქმიანობის შეფასებაში?

დასკვნა

ვფიქრობთ, ამ თავში განხილული ყველა ფაქტორი გავლენას ახდენს კონფლიქტზე, რომელზეც თქვენ მუშაობთ. თქვენთვის და თქვენთან მომუშავეთათვის ძალზე მნიშვნელოვანია ამ პრობლემების გაცნობიერება და მათ მიმართ გარკვეული თვალსაზრისის შემუშავება.


როგორც ჩანს, კონფლიქტის პირველად მიზეზთა შორის უნდა მოვიხსენიოთ სიმდიდრესა და ძალაუფლებაზე მისაწვდომობა, კონტროლი სამართლიანობასა და რესურსთა განაწილებაზე, აგრეთვე სიტუაციები, როცა სუსტი და არამდგრადი სახელმწიფო დაწესებულებები და საერთაშორისო სტრუქტურები უფრო მდიდარი ქვეყნებისა და მულტინაციონალური კორპორაციების მიერ ითრგუნება. უნდა შევეშვათ „მტრის“ შესახებ მითებს და პირველად მიზეზებს მივხედოთ; ხალხს ხელი უნდა მიუწვდებოდეს საიმედო ინფორმაციის სხვადასხვა წყაროზე.



ამ წიგნის მეორე და მესამე ნაწილებში ვთავაზობთ კონფლიქტების ტრანსფორმაციისა და მშვიდობის შენების პრაქტიკულ მეთოდებს და მოქმედებებს.

შენიშვნები

1. მარკ ჰოვარდ როსი, *კონფლიქტის კულტურა* (Marc Howard Ross, *The Culture of Conflict*, Yale University Press, New Haven and London, 1993, p. 21.)
2. Ibid., გვ. 183.
3. იუსუფ ბანგურა, *იდენტობის კვლევა: ეთნიკურობა, რელიგია და პოლიტიკური ძალადობა* (Yusuf Bangura, *The Search for Identity: Ethnicity, Religion and Political Violence*, Occasional Paper no.6, World Summit for Social Development, UNRISD / United Nations Research Institute for Social Development/, 1995, p. 16.)
4. როდოლფო სტავენჰაგენი, *ეთნიკური კონფლიქტები და ეროვნული სახელმწიფო* (Rodolfo Stavenhagen, *Ethnic Conflicts and the Nation-State*, Macmillan, 1996, pp. 25-32).
5. სუზან უილიამსი, იან სიდი, ადელინა მკაუ, *გენდერული სწავლების სახელმძღვანელო* (Suzanne Williams, Ian Seed, Adelena Mwau (1994), *The Oxfam Gender Training Manual*, Oxfam/UK and Ireland, p. 4.)
6. პატრისია არდონი, „კონფლიქტები ცენტრალურ ამერიკაში“ (Patricia Ardon, “Conflicts in Central America”, Internal Oxfam Document, 1997.)
7. ახტა ჯიბრინი საი, „კონფლიქტი და ქალები ჩადში“ (Achta Djibrine Sy, ‘Conflict and the Women of Chad’, in *Focus on Gender*, vol, 1, no. 2, Oxfam /UK and Ireland/, 1993.)
8. ბრიჯიტ უოლკერი, *ქალები და საგანგებო სიტუაციები* (Bridget Walker, in *Women and Emergencies*, Oxfam /UK and Ireland/, Internal document, 1994.)
9. აბდულ აზიზი, *ადამიანის უფლებები ისლამის პოზიციიდან* (Abdul Aziz, *Human Rights in Islamic Perspectives*, Praeger Publishers, 1980)
10. დეტალები ამ საკითხებთან დაკავშირებით იხ. გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისიის ვებგვერდზე – მე-10 თავი (გვ. 218).
11. ვინინ პერიერა, *არაადამიანური უფლებები* (Winin Periera, *Inhuman Rights*, The Other India Press, India, 1997.)



წიგნი ერთი გადახედვით